

**ბადრი პატარკაციშვილის  
მიგობარი 5 წლის შემდეგ  
ალაპარაკდა**

„განხორციელებული მუქარისა და ტერორის ფონზე დარწმუნდა, რომ მათ შეეძლოთ, ნებისმიერი პროვოკაცია მოეწყოთ მისი ვაჟისთვის, რომელიც გარეთ ელოდა“

**გოგი ჯაფარიძე  
საქართველოში ბრუნდება**



**იქედი**



**პარლამენტში სააკაშვილის  
რეზიგნაციის განსამართლების  
პროცედურა იწყება**

- არასრულწლოვანი შთაქმულუბავისთვის
- მოქალაქის, ნაგებობისა და არაადამიანური მოპყრობისთვის
- საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციისთვის
- მოქალაქის დაზარალებისთვის
- პატივრების ნაგებობისა და გაუპატიურებისთვის
- კერძო და სახელმწიფო ქონების განთავსებისთვის...

**EXCLUSIVE**

რატომ გახდა დავის ობიექტი გარო ახალაიას კლასის ხელმძღვანელი?

**7 ქართველი გმირი**



**ფატი განარაღია:**  
„მასწავლებლებს შორის გაჩნდნენ აბნეობები... გავიხსენებთ გაკვეთილებს დიქტოფონს ატანდნენ და ჩუმად იწარდნენ, მასწავლებელი რას ლაპარაკობდა“

**EXCLUSIVE**

ნაციონალური ამ კვირის საპრეზიდენტო კანდიდატად დავით ბაქრაძეს დაასახელებენ



„განიხილავოდა ვანო მერაბიშვილიც, თუმცა პარტიის უდიდესი უმრავლესობა მხარს ვუჭირებდა კლიერ კანდიდატს“

**EXCLUSIVE**

**ლევან ყიფიანი  
ფინანსურ  
სკანდალში ეხვევა**

**შეცვლიან თუ არა სპორტის მინისტრს?**



რატომ გამორჩია ყიფიანმა მრავალრიცხოვანი საფეხბურთო კლუბებიდან მერაბიშვილის ფავორიტი გორის „დილა“?



**I კლასის რიგითი  
ზვიად სულხანიშვილი**



**კავრალი  
გიორგი ადამოვი**



**I კლასის რიგითი  
გიორგი ღუჭავიძე**

**ასეთი ახალგაზრდები**


**SO YOUNG**



**კავრალი  
გორის ცუგოშვილი**



**I კლასის რიგითი  
ზურა გურგენაშვილი**



**კავრალი  
თეიმურაზ ორთავიკა**



**რიგითი  
მიხეილ ნარინდოშვილი**

**„ჩვენ ოკუპანტები არ ვართ. ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ საქართველოში არ იყვნენ რუსი ოკუპანტები!..“**



# კაპრალი თეიმურაზ ორთავეიძე



## ოჯახს გარდაცვალებამდე რამდენიმე წუთით ადრე დაუკავშირდა, დაამხვიდა და დაამხვიდოდა



ისეთი ახალგაზრდა, როგორც ის გვყავდა. რომ გაზრდი და იტყვი, კარგი შვილი გავზარდეო, ასეთი იყო. ყველა ამაყობდა ამ ვაჟკაცით. ამიტომაც ვერ წარმომიდგენია, რაც მოხდა, მაგრამ ეს არის გმირობა. ვაჟკაცი კაცი იყო და ვაჟკაცურად ნაწიდა ამ ქვეყნიდან. დამსახურებულად იწოდება გმირად ახალგაზრდა, რომელიც სამშობლოსთვის თავს ასე განირავს. ეს გვანუგეშებს. თავისი პრინციპით ნაწიდა იქ! ძალიან მწყინდა, იქ რომ მიდიოდა, თითქოს გული მიგრძობდა! მაგრამ ძალიან პრინციპული ახალგაზრდა იყო. რომ იტყოდა, თავის სიტყვას არ გადაუხვევდა!

მდილი მეომარი იყო და არასდროს არაფრის შიში არ ჰქონია. ჯარზე იმდენად იყო შეყვარებული, რომ ამბობდა, მთელი ჩემი ცხოვრება ჯარში უნდა გავატაროო. სკოლის დამთავრებიდან სულ სამხედრო ფორმაში იყო, - გვიყვება თემურის ბიძა.

კაპრალ თეიმურაზ ორთავეიძისთვის შეურაცხმყოფელი გახლდათ იმაზე საუბარი, თითქოს ავლანეთში ქართველი ბიჭები მხოლოდ ფინანსური დაინტერესების გამო მიდიოდნენ. მისი მთავარი მოტივაცია ქვეყნის სამსახური იყო. საკუთარი მოტივაციის შესახებ ბიძას ავლანეთში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ესაუბრა.

ვერ გეტყვით, წინათგრძობა იყო თუ უბრალო დამთხვევა, მაგრამ ოჯახს გარდაცვალებამდე რამდენიმე წუთით ადრე დაუკავშირდა, დაამხვიდა და დაემხვიდოდა.

„სანამ ნაწიდა, ერთი კვირით ადრე ვესაუბრე. სულ ჯარზე ლაპარაკობდა. ნა-

„ტელეფონით ესაუბრა მშობლებს და ახლობლებს. უთხრა: ჩემზე არ იფიქროთ, არ ინერვიულოთ, მე ძლიერად ვარ, კარგად ვარ და თქვენზე მეფიქრებო. მეუღლე ახალი მოყვანილი ჰყავდა, ჯერ ბავშვი არ შეძენიდა და ასე გავგვიუბედურდა ის გოგოც. ისეთ დღეში ვართ, არ ვიცი, როგორ გადავიტან ამ ყველაფერს. პაპის გაზრდილია და პაპამისი გადარეულია. ვეხვეწებოდი, არ ნახვიდეო და მეუბნებოდა, - არა, ნავალ და ჩვეულებრივ ჩამოვალ! რა ვიცი, ბედისწერის ამბავიც არის ალბათ!



**ირაკლი გზირიშვილი, თემურის ბიძა:**  
„სკოლა დაამთავრა თუ არა, ჯარში ნაწიდა. ავლანეთში ორი თვის წინ გაემგზავრა. დღეს თემოს გარდაცვალებას არამხოლოდ მთელი სოფელი, მთელი საქართველო გლოვობს. სანათესავოში იშვიათია

**მირიან ბოქლოშვილი**  
„რამდენიმე წუთში თავდაცვის სამინისტროში საგანგებო ბრიფინგი იგეგმება. წინასწარი ინფორმაციით, ავლანეთში დისლოცირებული ქართული ბაზა ტერორისტების მორიგი თავდასხმის სამიზნე გახდა. არიან გარდაცვლილები და დაჭრილები“, - იმ დღეს ამ სენსაციური ინფორმაციით დაიწყო დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები. რედაქციაში ყველა ტელევიზორს მიეუხსნედი და ნერვიულად ველოდით, როდის გვამცნობდნენ გარდაცვლილთა და დაშავებულთა შესახებ რაიმე ინფორმაციას. თავდაცვის უწყებაში განცხადების გაკეთებას არ ჩქ-

არობდნენ, სოციალური ქსელი მთლიანად ამ შემზარავმა ამბავმა მოიცვა... ხალხი დროულად ითხოვდა ინფორმაციის მიწოდებას. განცხადება მხოლოდ მას შემდეგ გაკეთდა, რაც თითოეული გარდაცვლილის ოჯახს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა მომხდარი პირადად შეატყობინეს.  
წინის სამხედრო ჩინოსნებმა ორთავეიძის კარზეც მიაკაკუნეს და ოჯახს თემურის გმირული გარდაცვალება შეატყობინეს. 24 წლის კაპრალი ყვარლის რაიონის სოფელ ენისელიდან გახლდათ. რამდენიმე წუთში ორთავეიძის სახლში თითქმის მთელი სოფელი შეიკრიბა. ამბა-

ეს გულგრილი არავინ დაუტოვებია. ოჯახის ახლობლები ყვებიან, რომ სამხედრო სამსახური თემურს ბავშვობიდანვე იზიდავდა, სკოლის დამთავრებისთანავე ჯარში ნაწიდა და შემდეგ „კომანდოში“ მსახურობდა. ახალგაზრდა ჯარისკაცმა ხანმოკლე სიცოცხლეში დაოჯახებაც მოასწრო, თუმცა... მას წ თვის ორსული მეუღლე და მშობლები დარჩა.



# მშენიშნის რიგითი მიხეილ ნარინდოშვილი

მირიან ბოქლიშვილი

იმ დღით მიხეილი დედას სკაიპის საშუალებით ელაპარაკა, გამხნევა და უთხრა, სიცოცხლის ბოლომდე ქართულ ჯარში ვაპირებ სამსახურსო. სიცოცხლე კი იმაზე ხანმოკლე აღმოჩნდა, ვიდრე წარმოდგენდა. გმირულ სიკვდილამდე მას სულ რაღაც რამდენიმე საათი აშორებდა.

6 ივნისს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები რუსთავეში, ნარინდოშვილებსაც ესტუმრნენ. ოჯახს მათ ჰელმანდის პროვინციდან მიღებული თავზარდამცემი შეტყობინება გააცნეს და საქართველოს სახელმწიფოს სახელით სამძიმარი გამოუცხადეს. 26 წლის რიგითი მიხეილ ნარინდოშვილი ერთ-ერთია იმ 7 ქართველ სამხედრო მოსამსახურეს შორის, რომელიც ავღანეთში თალიბანის თავდასხმას ემსხვერპლა.

როგორც მიხეილ ნარინდოშვილის დედა ამბობს, შვილს დღით სკაიპით ესაუბრა, საღამოს კი თავდაცვის სამინისტროდან მისი დალუპვის შესახებ შეატყობინეს. „დღით სკაიპით ველაპარაკე, ასე მითხრა, – კარგი შვილი გყავს, მე სამხედრო მოსამსახურე ვარ და პენსიაში გასულამდე, ან სიცოცხლის ბოლომდე ჯარში უნდა ვიმსახურო“, – ასე იხსენებს დედა შვილთან უკანასკნელ საუბარს.

ბევრი გეგმა ჰქონდა... სამშობლოს სადარაჯოზე სამშობლოდან საკმაოდ მოშორებით იდგა. დედა ერთ აგურს ქვეყნისა და საკუთარი შვილების მიმავლის შენებაში. მიხეილს ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. უფროსი გოგონა 2 წლისაა, ბიჭი კი – 9 თვის. ავღანეთში მსახურობის ვადა 3 თვეში ეწურებოდა. სამშობლოში დაბრუნებულს ბინის ყიდვა ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა სიკვდილი წამოეწია.

**მზია ცოფურაშვილი, დეიდა:**

„უაღრესად პატიოსანი ბიჭი იყო, გერმანიაში გაიარა სასწავლო კურსი, ორ კვირაში კი ავღანეთში გაემგზავრა. დედას ესაუბრა ნინა დღეს, არაფერზე ინერვიულო, ბავშვებს მიმიხედუო. ბოლომდე სამხედროში სამსახური ჰქონდა გადაწყვეტილი.“



ყველას უყვარდა. სამხედრო სამსახური მისი არჩევანი იყო, ძალიან უყვარდა ეს საქმე, თავის ქვეყანაზე იყო შეყვარებული. ოთხწლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული, მაგრამ კიდევ აპირებდა კონტრაქტის გაგრძელებას. რამდენჯერაც დაუკავშირდა ოჯახს“.

დღეს მიხეილისა და მასთან ერთად გარდაცვლილი ბიჭების საქმეს კვლავაც აგრძელებენ მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილში მყოფი ქართველი ჯარისკაცები. მათ იცოდნენ, რომ იქ ომი დახვდებოდათ, თუმცა ეს ნაბიჯი გადადგეს. და რომ არა სამშობლოს სიყვარული, ვერანაირი მატერიალური ანაზღაურებით ვერ დააყენებდნენ საკუთარ სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ. არც მიხეილ ნარინდოშვილისთვის ყოფილა ფინანსური დაინტერესება ავღანეთში ყოფნის მთავარი მოტივი. მისი და სხვა ქართველი ჯარისკაცების დალუპვის შემდეგ, ავღანეთში დარჩენილი თანამებრძოლები ერთ რჩევას აძლევენ მათ, ვინც მატერიალურ დაინტერესებაზე მიანიშნებს.

**ქართველი ჯარისკაცის წერილი ავღანეთიდან:**

„ისინი ჩემი თანამებრძოლები იყვნენ!!! ამიტომ, გთხოვთ, ნუ გვიწოდებთ ფულზე გაყიდულებს! მე და ჩემმა მეგობრებმა, აქ რომ მოვდიოდით, ვიცოდით, რომ ომი დაგვხვდებოდა – ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი იქნებოდა ჩასაფრებული, მაგრამ მაინც წამოვედით... მე მნამს, რომ აქ ჩემს სამშობლოს ვემსახურები... ეს თქვენ, უბრალო ადამიანები, ალიქვამით ასე სხეანაირად, ემოციურად ამ ყველაფერს, რადგან ქართველები ცოტანი ვართ, თორემ აქ ყოველდღე ერთი ამერიკელი მაინც იღუპება. უბრალოდ, ამაზე იქ, საქართველოში, არავინ ლაპარაკობს. აქ, ჩვენთან ახლოს, არის ქალაქი სანგინა, სადაც დღე-ღამის განმავლობაში რამდენიმე შეტაკება ხდება და უმსხვერპლოდ არ მთავრდება... დიას, ყველა მსგავს ტრაგედიაზე დანაშაულის გრძობა მაქვს ჩემი მეგობრების მიმართ, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მათ დანყბულ საქმეს გავაგრძელებ! ჩვენ ოკუპანტები არ ვართ. ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ საქართველოში არ იყვნენ რუსი ოკუპანტები!“



„ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ საქართველოში არ იყვნენ რუსი ოკუპანტები!“





# პირველი კლასის რიგითი - ზურაბ გურგენაშვილი



ხათუნა მგალობლიშვილი

ავღანეთში გამგზავრებამდე ზურა გურგენაშვილმა ყველა მეგობარი მოინახულა, ყველას სათითაოდ დაემშვიდობა და, აუცილებლად დაგბრუნდებითო დაუბარა... კარალეთში, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად, მან ყველაზე ძვირფასი ადამიანიც დატოვა - მომავალი მეუღლე. სექტემბერში ისინი დაქორწინებას აპირებდნენ...

ზურა გურგენაშვილმა სამხედრო სამსახური 2010 წლიდან დაიწყო. სამი წლის განმავლობაში ის საქართველოში მსახურობდა. მოხდელი ჰქონდა სავალდებულოც. ცხელ წერტილში საკუთარი ქვეყნის სამსახურს 2013 წლის 9 აპრილიდან

საკუთარი გადაწყვეტილებით შეუდგა. 31 წლის ჯარისკაცისთვის ავღანური მისია სექტემბერში უნდა დასრულებულიყო, რის შემდეგაც სამხედრო მოღვაწეობის გაგრძელებას ისევ საქართველოში აპირებდა. თუმცა სულ ეს იყო, რის შესრულებაც 31 წლის ჯარისკაცმა მოასწრო.

ზურას ორი და და ორი ძმა დარჩა. მისი ძმის განცხადებით, ზურა ამაცობდა საკუთარი არჩევანით. ოჯახის წევრები კი - მისი გადაწყვეტილებით.

**ოთარ გურგენაშვილი, ზურა გურგენაშვილის ბიძა:**

- ჯარში სამი წელი იმსახურა. კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული და ბოლო ორი თვეა, ავღანეთში წავიდა. ამბობდა, ახლა ავღანეთს რომ მოვივლი, მერე უნდა

დავექორწინდეო. პირველად წავიდა ავღანეთში. ორი თვის წასული იყო და სექტემბრის ბოლოს უკან ველოდებოდი...

2 თებერვალს ზურა გურგენაშვილი 32 წლის უნდა გამხდარიყო. ამ დაბადების დღეს ის ყველაზე მეტად ელოდა. მისი ახლობლების თქმით, ეს იქნებოდა პირველი წელი, როცა საკუთარ დაბადების დღეს ოთხი საკუთარ სახლში, საკუთარ მეუღლესთან ერთად შეხვდებოდა...

**ალექსი სუხიტაშვილი, ზურა გურგენაშვილის მეგობარი:**

- ზურა უსაყვარლესი ადამიანი იყო, ერთად გაზრდილები ვიყავით, გაჭირვებაში გაიზარდა, სანყალ ოჯახში, ჰყავდა დედა, მამა, ძმა და ორი და. ფიზიკურ სამუშაოსაც არ თაკილობდა, მუშად მუშაობდა, ხან ყანას მარგოლიდა, ხან ბარავდა, თონეშიც იმუშავა კარგა ხანს პურის მცხოველად. არაფერი არ უთაკილია ცხოვრებაში. ჯარში წასვლა საქართველოს სიყვარულით გადაწყვიტა. მეგობრებს გვითხრა, იქიდან რომ დაგბრუნდები დავექორწინდე და მსახურს აქ გააგრძელებო... შეყვარებული ჰყავდა, არ მინდა ცოლი ისე მოვიყვანო, რომ ვილაღის დასაჯინი გავხდეო. ამიტომაც ბინა იყიდა. წასვლის წინ გვითხრა, რომ ჩამოვალ, „ნოვოსელიეს“ გადავიხდი და თან ცოლსაც მოვიყვანო. დღეს მთელი საქართველო გლოვობს.

ავღანეთში გამგზავრებამდე ზურამ სახლი შეიძინა, რომელშიც ერთი ღამეც არ




დარჩენილა. ახალ სახლში გადასვლას სწორედ ჰელმანდიდან დაბრუნების შემდეგ გეგმავდა...

**ილია ტიელიძე, ზურა გურგენაშვილის სიძე:**

- ნოემბერში მისი პირველი ოთხნობიანი კონტრაქტი ამოიწურებოდა. სავალდებულო მოხდელი ჰქონდა. ავღანეთიდან სექტემბერში ველოდით. ბანკიდან გამოტანილი სესხით იყიდა სახლი. შეყვარებული ჰყავდა, კარალეთში სახლი იყიდა და ოჯახის შექმნას აპირებდა. მისი წაყიდ სახლში ერთი ღამეც არ გაუთენებია, რადგან-

აც რემონტს აპირებდა და რომ ჩამოვიდოდა, ცოლი უნდა შეერთო. ისე შემოტრიალდა მისი ცხოვრება, რომ ახლა იქ უნდა დავასვენოთ, მის სახლში. ძალიან გაჭირვებული ოჯახია. ვინც იცნობდა ამ ადამიანს, ვერავინ იტყვის მასზე ცუდს. ჩვენ ორ დღეში ერთხელ მაინც ვესაუბრებოდით. ცოტა ხნის წინ სამი ჯარი-სკაცი რომ დაიღუპა, მაშინ მეორე დღესვე დაგვირეკა და გვითხრა, ნუ გეშინიათ მე ცოცხალი ვარ! სანამ დაიღუპებოდა, წინა დღეს ვესაუბრეთ.



ზურა გურგენაშვილის მამა





# კაპრალი - გიორგი ადამოვი



ნათუნა მგალობლიშვილი

ავლანეთი, ჰელმანდის პროვინცია, 42-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ბაზა, საქართველოს დროით - 4 საათი... თვითმკვლელობა ტერორისტმა ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტი განახორციელა. თავდასხმას 7 ჯარისკაცი შეენირა. მათ შორის იყო გიორგი ადამოვი. გიორგი სამხედრო სამსახურში 2009 წლიდან მსახურობდა. ეს მისი პირველი გასვლითი მისიის შესრულება იყო, რომელსაც წინ მოსამზადებელი კურსების გაგლა უძღოდა. სპეცმომზადება ადამოვმა გერმანიაში გაიარა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო უფლება ავლანეთში მოეხდა საკუთარი ვალი ქვეყნის წინაშე.

ჯარისკაცობა გიორგის ბავშვობის დროინდელი ოცნება იყო. გმირობის შესახებ ისტორიებს მისი ბიძა უყვებოდა, რომელიც ასევე სამხედრო იყო და რომლის გამოც მისი მშობლები სულ ამყობდნენ. სწორედ ბიძის სიყვარულით და მისი ისტორიების გამო გადაწყვიტა პატარა გიორგიმ სამხედრო განმდარყო. მასაც უნდოდა მის მშობლებს საკუთარი მოღვაწეობით ეამაყათ. ის საქართველოს გმირია და მისით, არამხოლოდ მშობლები, მთელი საქართველო იამაყებს. გიორგის მამა ნუგზარ ადამოვი ყოველთვის სიამაყით ამბობდა, რომ მისი შვილი ავლანეთში მსახურობდა. გიორგი სწორედ ახერხებდა მშობლებთან დარეკვას და მათ დანყნარებას. ბოლოს მაშინაც

დარეკა, როცა ავლანეთში სამი ჯარისკაცი დაიღუპა. ოჯახმაც კიდევ ერთხელ ამოისუნთქა, ამჯერადაც გადაფრითო, თუმცა ეს ბოლო იღბლიანი დღე აღმოჩნდა... გიორგი ოჯახის ერთადერთი ბიჭი იყო...

**ზვიად ნადიბაიძე: - გიორგი ადამოვის მეზობელი:**

- ძალიან კარგი მშობლები ჰყავს, დაოჯახებული არ იყო და შესაბამისად, არც არაფერი დარჩენია. ახალგაზრდა მშობლები ჰყავს, წყნარი, ზრდილობიანი, კულტურული და შეუმჩნეველი ხალხი იყვნენ მთელს სამეზობლოში. ჯარში დიდი ხანი არ არის რაც მსახურობს. ავლანეთში ახლასან, აპრილი წავიდა. თავიდან სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა და შემდეგ უკვე კონტრაქტი გააფორმა. გიორგის ერთი და ჰყავდა და ერთი დისშვილი. 4 წელი მსახურობდა ჯარში და ახლა მოუნია ავლანეთში წასვლა.

**- რატომ გადაწყვიტა ჯარში წასვლა?**

- ყოველთვის უნდოდა სამხედრო სამსახურში ყოფილიყო. ბავშვობიდან იტაცებდა ეს საქმე, სულ ამბობდა, უნდა წავიდეო. როცა ავლანეთში გადაწყვიტა წასვლა, თავიდან ამბობდა, ოჯახის წევრებს არ ვეტყვი, ინერვიულებენო... მაგრამ ოჯახმა მაინც გაიგო და წინააღმდეგობა არც გაუწევიათ. პირიქით, ძალიან ამაყობდნენ თავიანთი შვილით.

**- ურეკავდა იქიდან ოჯახს?**

- კი, ურეკავდა, ბოლოს როდის ელაპარაკა ზუსტად არ ვიცი. აწყნარებდა დედას და მამას, სიმშვიდე და სამიში არაფერია... შეიძლება ისეც ეუბნებოდა ამ სიტყვებს, რომ დაემშვიდებინა ისინი. მამამისი ყოველთვის სიამაყით ამბობდა, ჩემი შვილი ავლანეთში მსახურობსო... დედამისი ძალიან მძიმედ არის, შვილის დაღუპვის ამბავი რომ გაიგო, თავის მოკვლა უნდოდა და ფანჯრები აუჭედეს, რომ ჩუმად არ გადაამხტარიყო. თვითონ გიორგი ძალიან წყნარი და უწყინარი ბავშვი იყო. ძალიან უყვარდა ყველას, ძალიან კეთილი იყო. ყველა იცნობდა როგორც კეთილს, ვერც გაიგებდი სახლში იყო თუ არა.





# გმირი

## პირველი კლასის რიგითი - გიორგი ლუჭაშვილი



ავღანეთში 6 ივნისს გმირულად დაღუპული 7 ქართველი ჯარისკაციდან მეორე, ყველაზე ახალგაზრდა გიორგი ლუჭაშვილია. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ის 18 წლიდან ირიცხებოდა. ჰელმანდის პროვინციაში მომხდარი ტერაქტის შემდეგ გიორგი ლუჭაშვილს თანამებრძოლები ნანგრევებში დიდხანს ვერ პოულობდნენ და რამდენიმე საათი დაკარგულად მიიჩნეოდა, თუმცა საძიებო სამუშაოების შემდეგ მისი ცხედარი ნანგრევებში აღმოაჩინეს. 22 წლის ახალგაზრდა გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფიდან იყო. სოფელში მას დედა

და ორი ძმა დარჩა. მამა მის გმირობას ვერ მოესწრო... მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მოვლა-პატრონობა გიორგიმ საკუთარ თავზე აიღო და თავისი მომავალი ქართულ ჯარს დაუკავშირა.

**გიული ლუჭაშვილი, გარდაცვლილი გმირის მამიდა:** „გიორგის ორი ძმა ჰყავს, ერთ ეზოში ორი დიდი სახლი ძმებს მამამ აუშენა. ერთ სახლში ერთი ძმა ცხოვრობს ოჯახით, გიორგიმ კი ვერაფერი მოასწრო. მამის გარდაცვალების შემდეგ დედაზე და უმცროს ძმასზე პასუხისმგებლობა თვითონ აიღო და ჯარში წავიდა. დედამის უთხრა, მენ ალარ იმ-უშაო და მართლა არაფერს აკლებდა ოჯახს. სამხედრო სამსახურისადმი ინტერესით ძმებს ძორის ყველაზე მეტად გიორგი გამოირჩეოდა. მეზობლის ბიჭებს, რომლებიც ჯარში მსახურობდნენ, ხშირად ესაუბრებოდა იქაურობაზე და ჩვენც ვამჩნევდით, რომ ინტე-

დედი გავდები ხვად უჩემოდ შეხვდები დიდი დედი ქათულ ივნანით გამოშვი მიწას დედი სამშობლო დავიცავი, სამშობლო ზოვას დედი პოლკე ჩაბოხეცე ნამძახს მიწას!

რესი დიდი ჰქონდა. როცა ხედავდა, მასზე დიდები მიდიოდნენ ჯარში, ამბობდა, მეც მალე წავალ. როდესაც სამხედრო სამსახურში წასვლა გადაწყვიტა, მე წინააღმდეგი წავედი, მაგრამ მის შეჩერებას ვერაფერ შეძლებდა და არაფერი გამოგვივიდა! ამბობდა, ჯარი ვაჟკაცების საქმეა და ვერ გაუჩერდები! მართალი აღმოჩნდა გიორგი, ჯარი მართლაც ვაჟკაცების საქმეა და დღეს ჩვენს ვაჟკაც ბიჭს მთელი ქვეყანა გლოვობს!

**სოსო ლუჭაშვილი, გიორგის ძმა:** „გიოს დაღუპვიდან სამი დღით ადრე ვესაუბრე სკაიპით. ძალიან კარგად გამოიყურებოდა. მითხრა, კარგად ვარ, არ ინერვიულოთ. რას წარმოვიდგენდი, თუ სამ დღეში ასეთი უბედურება დაგვატყდებოდა თავს. იდეალური ადამიანი იყო და ვამაყობ, რომ ასეთი გმირი ძმა მყავს, ვერაფერ ვერ იტყვის მასზე ცუდს.“

**ლევან იორდნაშვილი მამიდაშვილი:** „მიხარია, რომ ასეთი გმირია ჩემი ბიძაშვილი. გმირობა და ვაჟკაცობა უნდა ჯარში წასვლას და სამშობლოს სამსახურში ყოფნას. სანამ წავიდოდა, წინა დღეებში ვნახე. შიში არასდროს დაუფლავია. პირიქით, მეტი ინტერესი ჰქონდა, სულ ამბობდა, ნეტა, როდის წავალ. წავიდა და სამუდამო გმირად დაბრუნდა უკან!“

„ჩემი გამორჩეული შვილი, ჩემი გმირი ბიჭი, შვიი სახე მენატრება, დედი!“ – ასე ტირის დღეს გიორგი ლუჭაშვილის დედა, რომელსაც ავღანეთში მყოფმა ქართველმა სამხედროებმა, გიორგის მეგობრებმა ლექსიც კი მიუძღვნეს:

„დედი, გიკვდები, ხვალ უჩემოდ შეხვდები დილას, დედი, ქართველი ივენანით გამოშვი მიწას, დედი, სამშობლო დავიცავი, სამშობლო მიყვარს, დედი, ბოლოჯერ ჩამხეუტე, ნამძახს მიწას!“





# პირველი კლასის რიგითი-ზვიად სულხანიშვილი



**ზვიად სულხანიშვილი და გიორგი ღუჭაშვილი**

ნ ივნისს ჰელმანდის პროვინციაში მომხდარი აფეთქების შემდეგ მთავრდება პირველი კლასის რიგითის, 22 წლის ზვიად სულხანიშვილის სიცოცხლე და იწყება კიდევ ერთი გმირის ისტორია, რომელიც დამსახურებულ ადგილს დაიკავებს საქართველოს მომავლისთვის თავგანწირული გმირების გვერდით. ზვიად სულხანიშვილი მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში დაიბადა. სამხედრო სამსახურისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით ახლობლები და ოჯახის წევრები თავიდანვე გამოარჩევდნენ. პირველად სამხედრო სავალდებულო სამსახურში წასვლაზე მოსულმა სამედიცინო ექსპერტიზის უარმა ახალგაზრდა ბიჭი იმდენად გაანაწყენა, რომ გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ჯარისკაცი გამხდარიყო. მას შემდეგ რამდენიმე სამედიცინო შემოწმება გაიარა და სამი თვის წინ სურვილი მაინც აისრულა – სამხედრო მოსამსახურე გახდა.

სულხანიშვილების ოჯახმა ავღანეთში მომხდარი ტერორისტული აქტის შესახებ ტელევიზიით შეიტყო. მიუხედავად იმისა, რომ გმირის ოჯახი სულ მიმის ქვეშ იყო, მაინც იმედი ჰქონდათ, რომ დაღუპულ ქართველ მეომართა შორის მათი შვილი არ იქნებოდა. თუმცა... მძიმე მოლოდინის მიუხედავად, მათთვის შოკისმომგვრელი იყო ეზოს კართან სამხედრო ჩინოსნების გამოჩენა, რომლებმაც მშობლებსა და ძმებს ზვიადის გმირული გარდაცვალება შეატყობინეს.

**სულხან სულხანიშვილი, ავღანეთში დაღუპული ქართველი გმირის მამა:** „ზვიადი სამი თვის წინ წავიდა ავღანეთში. თავიდან პირველი ნაბიჯი იყო, როცა გერმანიაში წაიყვანეს. ჩემი შვილი, ალბათ, გმირად დაიბადა! თავიდან სავალდებულო სამსახურში წასვლაზე უარი უთხრეს, ფეხის ტერფი გაქვს ბრტყელიო, ამან იმდენად გაანაწყენა, რომ რამდენიმე სამედიცინო შემოწმება გაიარა. იმდენად მოწადინებული იყო, არ გაჩერდა და „კომანდოში“ წავიდა, სადაც საქართველოს ემსახურა ბოლომდე! იქ გაიარა წვრთნები და მერე ჩამოვიდა საქართველოში და 25 მარტს გაუშვეს ავღანეთში. რომ მიდიოდა, თითქოს გული რაღაცას მეუბნებოდა, მეთანხალრებოდა, მაგრამ თვითონ ძალიან მხნედ იყო. არ ვიცი, თუ ვიცოცხლებ, ეგ ჯერ კიდევ საკითხავია. მახსოვს, იმ დღეს რომ გავაცილეთ სახლიდან, გული მეთანხალრებოდა, მაგრამ თვითონ ძალიან მხნედ დამანყენარა, მალე ჩამოვალ, ნუ გეშინაო!“



იმ საღამოს სამსახურიდან სახლში რომ დავბრუნდი, ტელევიზორი ჩავრთე, გადმოსცეს, ავთანეთში ქართულ ბაზაზე შეტაკება მოხდა და თავდაცვის სამინისტროში ბრიფინგი ჩატარდებოდა, თავზარი დამეცა... გულში გავიელვე, ოღონდ ეგ არა-მეთქი და ამ დროს ეზოში ხმაური შემომესმა. გავედი და იქაურობა ხალხით, სამხედრო მოსამსახურეებითა და სამედიცინო პერსონალით იყო სავსე! მივხვდი, რომ ჩემი უბედურება დაიწყო! ორი ბიჭი მყავს კიდევ და მაგათზე ფიქრი მაჩერებს, თორემ ამდენი ხანი ვერ ვიქნებოდი ცოცხალი. 22 წლის ვაჟკაცი გამომისალმეს ნუთისოფელს.“

**ლილი სულხანიშვილი, მეზობელი:** „ავღანეთში წასვლის შიში

ნებისმიერ ჯარისკაცს შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცურად დაგვემშვიდობა. ჯარში იმისთვის წავიდა, რომ გმირული სული ჰქონოდა და დღეს სწორედ გმირად დაგვიბრუნდა ყველას!“





# გემიერი

## კაპრალი – ბორის ცუგოშვილი



2008 წლის ომი გამოიარა, დაჭრილი იყო და მეგობრებს ეხმარებოდა, მებრძოლები ამბობენ, რომ ის უშიშარი და თავდადებული ადამიანი იყო, რომ მისი იმედი ჰქონდათ. ომმა მაინც სხვანაირი მეგობრობა იცის. ომმა ისიც იცის, რას ნიშნავს ყოველდღე სიკვდილს უყურებდე თვალებში, მაგრამ, როგორც თავად ამბობდა, სამშობლოს სიყვარული და იმის შეგნება, რომ საკუთარ მინას საკუთარ ოჯახს და შვილებს ეხმარები უკეთეს ქვეყანაში იცხოვრონ, ამ მიზს გაძლევინებს.

ბორის ცუგოშვილს მხოლოდ მის სოფელში იცნობდნენ, მხოლოდ მისმა მეგობრებმა იცოდნენ, როგორი მამაცი იყო, მაგრამ ახლა მისი გამბედაობის ამბავი ყველამ გაიგო, ახლა ის გმირია, საქართველოს გმირი და მისი შვილი ყოველთვის იამაყებს. მის შვილს ეცოდინება, რომ მამა საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლას შეენირა, თავი გასწირა იმისთვის, რომ მის შვილს და მის თაობას ძლიერ ქვეყანაში ეცხოვრა.


ბორის ცუგოშვილის შესახებ კიდევ ბერევი დაინერება. ბავშვობიდან მამაცი იყო, საქართველო სხვანაირად უყვარდა, თითქოს არაფრით გამორჩეული არ იყო, მაგრამ ეს არის სამშობლოს განცდაც. ნებისმიერს შეუძლია მისთვის თავის განწირვა და ამისთვის, ამ გმირობისთვის, სიყვარულის დამტკიცებისთვის არ გჭირდება იყო განსაკუთრებული. უბრალოდ, უნდა გრძნობდე და ეს გრძნობა ბორის ბავშვობიდან ჰქონდა.

„მისი ერთადერთი ვაჟი, რომელიც ახლა 11 თვისაა, მამით იამაყებს. მიუხედავად იმისა, რომ ის არ ეხსომება, ეცოდინება მაინც, რომ გმირი ადამიანის შვილია“ - ასე იწყებს საუბარს კაპრალ ბორის ცუგოშვილის მამა, რომელიც გორის რაიონის სოფელ ორთაშენში შვილი ავლანეთიდან ჩამოუსვენეს. მისი გარდაცვალების ამბავი ოჯახმა ტელევიზიიდან შეიტყო. ტარიელ ცუგოშვილის თქმით, ავლანეთში მისი შვილი ორი თვის წინ წავიდა. ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ბორის ცუგოშვილი სამშობლოსთვის მონოღებულ პიროვნება იყო.

**ტარიელ ცუგოშვილი (კაპრალ ბორის ცუგოშვილის მამა):** - მეუღლე და 11 თვის ვაჟი დარჩა. მანამდე გერმანიაში იყო წასული. სამხედრო სამსახური, ეს თავისი პროფესია იყო. 2008 წლის აგვისტოს ომშიც კონტრაქტით იყო. სატანკო ბატალიონში მსახურობდა. ომის დროს დაიჭრა კიდევ. როცა აფეთქება მოხდა ორი თანამებრძოლი აქეთ-იქიდან მკლავებში მოუკვდა. მიუხედავად ამისა, მაინც უშიშარი იყო და ამბობდა, რომ სამშობლოსთვის თავგანწირული ჯარისკაცი იყო.

**ირაკლი ცუგოშვილი (კაპრალ ბორის ცუგოშვილის ბიძაშვილი):** - ბორისმა ნათესაობასაც და საახლობლოსაც თავი ვაჟკაცობით და ადამიანობით დაგვაჩვენა. იმდენად უშიშარი იყო, რომ სამშობლოსთვის თავს არ ზოგავდა, 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც ვიგრძენით ეს მისი სულიკვეთება. ჩვენ მამაცი და სამშობლოსთვის თავგანწირული ჯარისკაცი დავკარგეთ. ეს მხოლოდ ჩემი სიტყვები არ არის. მადლობის სიტყვებთან ერთად სხვა უამრავი ჯილდო აქვს მიღებული.

ორთაშენში მყოფი ნათესავების გარდა სამძიმრებს პარალელურად ბორის ცუგოშვილის ცოლ-შვილი, დედა და 23 წლის ძმა გორში, ყიფიანის ქუჩაზე იღებენ. გარდაცვლილის ცხედარს გორიდან სოფელ ორთაშენში გადაასვენებენ და მამაპაპეულ სასაფლაოზე დაკრძალავენ.



**„შემთხვევით ჩავრთა ტელევიზორი და მეხუთა ჩემი შვილი გამოაცხადეს“**

# Airzena

35 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!



სიასლემ ავიაკომპანია  
აირზენასთან!

1 აბვისტოდან  
ყოველდღიური ფრენები ბათუმში!

დაგვიკავშირდით 2 505 005  
ან ენვიეთ საიტს [www.airzena.com](http://www.airzena.com)

## ვინ დგას სკანდალ უკან, ვისი დაკვეთაა ტალიბების მუქარა და რატომ ჭიანჭურდა



რუსეთისთვის.  
 – ჩვენ დავრჩებით ავღანეთში, ნატოს ახალი მისიის ფარგლებში, 2014 წლის შემდეგაც... საქართველომ, აგრეთვე, დაადასტურა, რომ შესწევს უნარი, საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში. 1600-კაციანი შემადგენლობით, საქართველო ნატოს არანერვო ქვეყნებს შორის „აისაფში“ (ISAF) სამხედრო კონტინგენტის უმსხვილესი კონტრიბუტორია და ჩვენ დავრჩებით ავღანეთში ნატოს ახალი მისიის ფარგლებში 2014 წლის შემდეგაც. ჩვენ ვთავაზობთ მოკავშირეებს საქართველოს ინფრასტრუქტურას ავღანეთიდან მომავალი ფარებისა და ტვირთის ტრანზიტის უზრუნველსაყოფად. საქართველო უზრუნველყოფს უმოკლეს, ყველაზე ხელსაყრელ და რენტაბელ-

ტის დროს საქმეში ისევ მედვედევი ჩაერთო. რუსეთის პრემიერმა თქვა: „Всякие новые участники Североатлантического альянса, которые находятся вблизи нашего государства, в конечно счете, все-таки меняют паритет сил, и мы на это вынуждены реагировать“.  
 ახუ მედვედევმა ისევ აღიარა, რომ რუსეთი იძულებულია, რეაგირება მოახდინოს ნატოს გაფართოებაზე მის საზღვრებთან, რადგანაც ის ცვლის ძალთა კონფიგურაციას.  
 ამ ძალთა კონფიგურაციისთვის ბრძოლას რუსეთი საქართველოსთან უკვე 20 წელზე მეტია აწარმოებს. ეს სერიოზული გამოწვევაა საქართველოსთვის.  
 საერთოდ, რუსეთი საქართველოს ყველა პრეზიდენტისთვის სერიოზული გამოწვევა იყო. ზვიად გამსახურდია ძალიან სუსტი იყო იმისთვის, რომ ამ ზეწოლისთვის გაეძლო, იდუარდ შევარდნამდე – საკმაოდ გამოცდილი, მიხეილ სააკაშვილი კი – საკმაოდ მკაცრი და პრინციპული. როგორი იქნება ბიძინა ივანიშვილი?

ზვიად გამსახურდიას იარაღით ებრძოდნენ – ის დაამხვეს და რუსეთმა აქ გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი. მაშინ თითქმის ყველაფერს სწორედ ჩრდილოელი მეზობელი ფლობდა, ამიტომაც, ეს პროცესი მარტივი გახლდათ. დასავლეთი ვერ არ იყო საქართველოში შემოსული, ქვეყნის ეკონომიკა რუსეთზე იყო ჩამოკიდებული და სრულიად პარალიზებული გახლდათ, პოლიტიკოსებს არც ცოდნა ჰქონდათ და არც გამოცდილება და ცარიელ პოპულიზმს აყოლილებმა პანდორას ყუთი კი არ გაგხსენით, შეიძლება ითქვას, თავად ჩაეხტით მიწით.  
 შევარდნაძის დროს დასავლეთი უკვე აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებში. ისინი ენდობოდნენ ცივი ომის გმირს და ეხმარებოდნენ კიდევ, რუსეთს იმდენად აღიზიანებდა საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ამბიცია, რომ კონსტიტუციის მიღების დღეს, 1995 წლის 29 აგვისტოს შევარდნაძეზე ტერაქტი განხორციელდა. კონსტიტუციის მიღების შემდეგ შევარდნაძემ ნავთობის მილსადენი გაიყვანა და ესეც პირველი სერიოზული ნაბიჯი იყო დამოუკიდებლობისკენ, რადგანაც საქართველო არ იქნებოდა დამოკიდებული რუსეთზე.

ძველი რუსეთისგან განსხვავებით, პუტინი მიხვდა, რომ ახალი რეალობა ახალ წესებს კარნახობდა. ამიტომაც, მან ლიად გამოაცხადა ერთ-ერთი საახალწლო მიმართვაში, რომ რუსეთს ძალიან ძვირი უყვდება ამა თუ იმ ქვეყანაში სამხედროების ყოფნა და რომ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით მართვა გაცილებით იაფი და ეფექტურია. ამიტომაც, მოსკოვი ნავთობსადენების მშენებლობას ებრძოდა, თუმცა, ნააგო. შევარდნაძე ვერ მოერია კორუფციას. კრიტიკულ მომენტში მან არასწორი არჩევანი გააკეთა – კორუფციას და პოლიტიკას შორის მან ფული აირჩია და ნააგო კიდევ, სააკაშვილის ხელისუფლება სწორედ კორუფციას დაუპირისპირდა და კიდევ უფრო შორს წავიდა დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესში. თანაც იმდენად, რომ რუსეთის 2008 წლის ომი დასჭირდა იმისთვის, რომ

საქართველოს ნატოში შესვლის პროცესი შეეფერებინა. პუტინი სააკაშვილს ლიად დაემუქრა და ერთი ადგილით დაკიდებას დაჰპირდა. ზვიად გამსახურდია სისხლით დაამტკიცა, შევარდნაძეს ტერაქტი ორჯერ მოუწყვეს. პარადიქსია, მაგრამ მხოლოდ სააკაშვილი გადაურჩა ვედასხმას, არადა სწორედ ის ნავიდა დასავლეთისკენ უფრო გაბედულად და როგორც რასმუსენმა განმარტა: საქართველო არასოდეს ისე ახლოს არ მდგარა ნატოსთან, როგორც ახლა. მაშინ რატომ გადაარჩა სააკაშვილი? ეს ფაქტი მოწმობს, რომ ნატო და დასავლეთი ნამდვილად არის უსაფრთხოების ქოლგა და რომ ის ისეთი საფრთხეებისგანაც იცავს ქვეყანას, როგორც სამოქალაქო ომი და ტერაქტები. სააკაშვილმაც, თავის მხრივ, სისტემის კრიმინალური და ავტენტურული ქსელისგან ნმენდა დაიწყო. გამსახურდიას ეს არ შეეძლო, არც გავლენა ჰქონდა და არც გამოცდილება, შევარდნაძემ კორუფცია დაუშვა, ეს კი, თავის მხრივ, ყოველთვის გრძელდება სხვადასხვა სახის კრიმინალურ ფორმირებებში. ძალოვანი უწყებები ასეთ კრიმინალურ „ბანდებს“ თავად აკონტროლებდნენ. საქართველოს ამ სისუსტეს კი რუსეთი კარგად იყენებდა. შევარდნაძის დროს ძალოვნებმა რამდენჯერმე დაიჭირეს რუსეთის ავტენტები, მათ შორის ისეთ სტრატეგიულ ობიექტზე, როგორც ანტიტერორისტული ცენტრია, მაგრამ ისინი ჩუმად გაუშვეს, სააკაშვილმა კი ისინი დააკავა. შევარდნაძის ხელისუფლება არ ამწვავებდა რუსეთთან პოლიტიკურ ურთიერთობას, ისინი საკუთარი კორუფციული კავშირებით სწორედ რუსეთთან იყვნენ დაკავშირებული და ეწინააღმდეგებოდნენ „პრივილეგიის“ დაკარგვის. კორუფცია და კრიმინალი მაშინ საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობდა, სააკაშვილის დროს ამის საშუალება მაქსიმალურად შეიზღუდა, რუსეთის ავტენტურა თითქმის ყველა უწყებიდან იყო გამოღვენილი. ეკლესია იყო ერთადერთი ინსტიტუტი, სადაც მათ თავი შეაფარეს.

გამსახურდიას დროს დასავლეთი და ნატო იდუის დონეზე გაჩნდა, შევარდნაძის დროს იდეა განმტკიცდა და პირველი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა მხოლოდ კარზე დაკაკუნების დონეზე, როგორც ეს ერთხელ თავად შევარდნაძემ თქვა: ჩვენ ნატოს კარზე დავაკაკუნეთ. სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველოს განვერანების რეალური შანსები გაუჩნდა. რას იზამს ბიძინა ივანიშვილი? მას აქვს ისტორიული შანსი, საქართველო ნატოში შეიყვანოს. ჩვენ უკვე ღია კართან ვდგავართ.

დესტაბილიზაცია არის ერთადერთი რამ, რაც ამ პროცესს შეაფერებს. მცდელობა რუსეთს ყოველთვის ჰქონდა და ამას ახერხებდა კიდევ, იმის მიხედვით, რა სახის საფრთხეები მოეპოვებოდა საქართველოში. 17-მა მაისმა სწორედ ის აჩვენა, რომ რუსეთს მხოლოდ ეკლესიაში დარჩა დასაყრდენი. ბიძინა ივანიშვილმაც თქვა, რომ ეს პროცესი გარედან იმართებოდა. საუბარია ზოგიერთი სასულიერო პირის აგრესიულ ქმედებაზე „ელჯიბიტების“ აქციაზე.  
 ისევ პარალელები რომ გავავლოთ, გამსახურდიას დროს დასავლეთი დასავლეთისკენ გაველენას ფლობდა სახელისუფლებო სტრუქტურებში, შევარდნაძის დროს პარლამენტი გახდა ის სტრუქტურა, სადაც ამ გავლენებმა ვერ შეაღწია, იმიტომ რომ პარლამენტის თავმჯდომარე გახდა ზურაბ უფანი და არა ვახტანგ გო-

**ქვით ხატიაშვილი**  
 შეიძლება ზოგჯერ არ ეთანხმები, ზოგჯერ მისი განცხადება გაუგებარი ან მიუღებელიც კია, მაგრამ კრიზისულ ვითარებაში ბიძინა ივანიშვილის მესიჯი კონკრეტული, გასაგები და პროგრესულია. კრიზისულ სიტუაციებში პრემიერმა დაამტკიცა, რომ შეუძლია, ქვეყნის ინტერესები გაითვალისწინოს და არ აჰყვეს მუქარებს. ასე იყო 17 მაისს, როცა ლევან ვასაძე და მეუფე იაკობი კონკრეტული პოლიტიკური მუქარებით გამოვიდნენ და მილიონიანი მიტინგითაც დაიმუქრეს. ბიძინა ივანიშვილმა „ელჯიბიტების“ წინააღმდეგ სასულიერო პირების აგრესია დაგმო და თქვა, რომ ანაფორა არავისთვის იქნება კანონისგან გაქცევის საშუალება.  
 და ახლაც, ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვის შემდეგ, პრინციპული ტონით განაცხადა:  
 – მიუხედავად ამ თავზარდამცემი ტრაგედიისა, ჩვენ ვერაფერი გავგებხს და უკან ვერავინ დაგვახევინებს, უმძიმესი დღე გაუთენდა საქართველოს. გუშინ თავს დაესხნენ ნატოს ოპერაციის

მონაწილე საქართველოს ქვედანაყოფს. დაიღუპა 7 და დაჭრილია 9 სამხედრო მოსამსახურე. უდიდესი მწუხარება მიზნად გამოვთქვა ამ შემზარავი ტრაგედიის გამო, ქედს ვიზირი დაღუპული ჯარისკაცების წინაშე, სამხედრო ვეცხაძებ მთელ საქართველოს, ვიზიარებ თითოეული ჯარისკაცის ოჯახის ტკივილს, რომელსაც ვერაფერი გაანელებს. მათთან ერთად გლოვობს მთელი საქართველო... ტერორიზმი 21-ე საუკუნის უდიდესი გამოწვევაა, მასთან ბრძოლა ურთულესი და ამავე დროს მეტად საბატიო მისიაა, რომელსაც ქართველი სამხედროები ღირსეულად ასრულებენ. ეს ბიჭები უცხო მიზანზე ჩვენს სამშობლოს იცავენ, ჩვენი სახელმწიფოს სტაბილურობის, ჩვენი უსაფრთხოების სადარაჯოზე დგანან. ჩემი დავალებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრი უკვე ავღანეთშია. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას მშვიდობიანი მსოფლიოსა და მშვიდობიანი საქართველოსთვის.  
 ეს, ნესით, რუსეთისთვის გამოწვევა უნდა ყოფილიყო, ხოლო ის, რაც მანამდე ნატოს კვირულის ფარგლებში თქვა საქართველოს პრემიერმა, უკვე დიდი სიურპრიზი იქნებოდა, რა თქმა უნდა, ისევ

ურ მარშრუტს, – განაცხადა ივანიშვილმა სასტუმრო „ქორთიარდ მერიტში“ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ორგანიზებით მიმდინარე „რო-უზ-როს“-ის 83-ე სესიონარზე.  
 მოსკოვისთვის ეს სიტყვები ნამდვილი შოკი იქნებოდა. ეს რეალურად უკვე იმასაც ნიშნავს, რომ ივანიშვილი მზად არის, ნატოს სამხედრო ბაზა გაუხსნას საქართველოში. ერთ-ერთი ინფორმაციით, ამ თემაზე მოლაპარაკებას დასავლეთი ვერ კიდევ მიხეილ სააკაშვილთან აწარმოებდა, ფაზის დისლოკაციის ადგილიც კი შეირჩა, ფოთის სახით. ყველამ, ვისაც ეს ინფორმაცია ჰქონდა, ვერ კიდევ რამდენიმე თვის წინ იზინასწარმეტყველა პროვოკაციების მთელი სერია.  
 მედვედევის სკანდალური აღიარების შემდეგ – 2008 წლის ომზე რუსეთის ვერ კიდევ პრეზიდენტმა აღიარა, რომ ომი რუსეთმა დაიწყო, იმისთვის რომ ხელი შეეშალა საქართველოს ნატოში გაწევრიანებას. და თუ ახლა ბიძინა ივანიშვილი ისევ ნატოს იმეორებს, მოსკოვიდან მას დიდი საყვედური საგარეო საქმეთა მინისტრის პირით უკვე „შემოუთვალეს“. მაშინ რა განსხვავებაა მასა და სააკაშვილს შორის? რამდენიმე დღის წინ ნორვეგიაში ვიზი-

**ამ კალთა**  
**კონფიდენციალურობის**  
**გარეშე რუსეთი**  
**საქართველოსთან უკვე**  
**20 წელზე მეტია ანარაობს.**  
**ეს სერიოზული**  
**გამოწვევაა**  
**საქართველოსთვის**

## უკრი კადრის ით დაიბეგება აქართველოში ბა გამომიება



შეიძლება ითქვას რომ, დასავლეთსა და ერთსქესიანების ქორწინებას შორის ტოლობის გავლენამ ვერ იმუშავა, ამიტომაც გვემამ კიდევ უფრო სახიფათო სახე მიიღო, როცა რამდენიმე დღის წინ სოციალური ქსელებით ეგრეთწოდებული „ვიჰაიდის“ სახელით ანტიქართული ვიდეოკლიპები გავრცელდა, სადაც ტერორისტები საქართველოს ემუქრებოდნენ. ეკა ბესელიამ რატომღაც თქვა, რომ YouTube-ზე თაღლიბების სახელით გავრცელებული ანტიქართული ვიდეორგოლები ავთენტურობის ხელაღებით უგულვებელყოფა არ შეიძლება

**ეკა ბესელია:**  
– თუ პირველ შემთხვევაში ვრცელდებოდა ვერსია, რომ ეს არ იყო რეალური, ამ ფაქტების დამთხვევამ დაგვაფიქრა, რომ შესაძლებელია, ვიდეოების გავრცელებასა და ავღანეთში ქართულ ბაზაზე თავდასხმას შორის რაღაც კავშირი იყოს. ყოველ შემთხვევაში, იმის გამოჩვენება, რომ ვიდეო და საღამოს მომხდარი აფეთქება ერთმანეთთან კავშირშია, რთულია...

ეკა ბესელია, პრორუსული ძალები (ფაქტია, ვინც ამ მიმართულებით პანიკას თესავს პოლიტიკურ სიმპათიებს სწორედ რუსეთის სასარგებლოდ აფიქსირებენ) აცხადებენ, რომ საქართველოს მონაწილეობა ISAF-ის მისიაში არ არის გამართლებული, ტერორისტები მოვლენ და შურის იძიებენ. საქმე ის გახლავთ რომ ამ კლიპის გამოჩენიდან რამდენიმე საათში ავღანეთში 7 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის პროპაგანდაც მაშინვე დაიწყო, თუმცა, თბილისშიც და ქუთაისშიც ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის მოთხოვნით გამართულ აქციებზე მხოლოდ ერთი ადამიანი გამოვიდა.

საქართველოში არსებული პრორუსული ძალები ამ კადრების დაზარალებასა და ატვირთვაში სააკაშვილის ხელისუფლებას აღნაშაულებენ, ექსპერტები კი რუსეთის და პრორუსულ ძალებს მას შემდეგ, რაც გაირკვა რომ მუქარის შემცველი კადრი საქართველოშია ატვირთული და არა ავღანეთში.

**შოთა უტიანოშვილის განმარტებით:**  
– იმის გამოძიება, თუ საიდან მოხდა კადრების ატვირთვა, არის უმარტივესი. ჩვენი ამერიკელი პარტნიორები ამას რამდენიმე საათში გაიგებენ და აუცილებლად მისცემენ ქართულ მხარეს, როგორც ეს აქამდე ხდებოდა. თუ უკვე არ არის IP დადგენილი, ალბათ, რამდენიმე საათში დადგინდება. რაც შეეხება იმას, ვის ანცობდა ამ კადრების ატვირთვა, ცხადია, ანცობდა იმას, ვისაც სურს საქართველოში გააღვივოს ნატოს სანაშაულოდ ეკონომიკა და ცდილობს, რომ ის სენტინელი, რომელიც ხალხში შეიქმნა, გამოიყენოს იმისთვის, რომ ქართველი ხალხი დაარწმუნოს, რომ სინაშაულოში მათი მტერი რუსეთი კი არა, ნატოა. ჩვენ ვიცით, როგორც წესი, ვინ დგას ხოლმე ამ კამპანიების უკან, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, რომელიც ათ წელზე მეტია, ამ კამპანიას აწარმოებს და პირველი ექვმიტანილი ამ საქმეში სწორედ ის არის.

რუსეთის მიმართულებით ეჭვები გია ხუხაშვილმაც დააფიქსირა. ახლა ძიება მიმდინარეობს იმ მიმართულებით, რომ ზუსტად დადგინდეს, ვინ არის საქართველოში ამ კლიპის დამკვეთი და შემსრულებელი. ძიებაში ნატოც ჩაერთო.

17 მაისზე ივანიშვილმა თქვა, რომ აგრესიას გარე ძალა იჩენდა. საინტერესოა, როგორ წარმოებდა გამოძიება. ეს რეალურად შესაძლებელია, თუ უბრალოდ პრეიერა (ცდილობს, საზოგადოებრივ აზრზე ისე იმოქმედოს, რომ თავად არ გამოჩნდეს. თქვას, რომ მე კი ვიყავი ნატოში ინტეგრაციის მომხრე, მაგრამ რეალობა შეიცვალა, ხალხს არ უნდაო.

გასარკვევია, ბიძინა ივანიშვილი შესაძლებლად ებრძვის და მათ განვიტარებებს ცდილობს, თუ მათი გამოყენებით დასავლური ორბიტებიდან საქართველოს ჩამოშორებას ეწინააღმდეგებიან. ერთმნიშვნელოვან პასუხი ექსპერტებსაც არ აქვთ. კანონიერი ქურდებისა და რუსი აგენტების განთავისუფლებით ის სწორედ ამ შესაძლებლად აძლიერებს და მათ მოქმედების თავისუფლებას აძლევს იმ სტატუსით, რომელიც მათ მიენიჭათ, მათი უმრავლესობა პოლიტპატიმარია. არადა, სერიოზულ ანტისაზოგადოებრივ ქმედებებში აქვთ მონაწილეობა მიღებული, მათ შორის ამბოხებულებსა და საიდუმლო ინფორმაციების გაყიდვებში. რაში სჭირდება ეს ხალხი ბიძინა ივანიშვილს? შეიძლება, რომ გარკვეული პროვოკაციები მოხდეს საქართველოში და ხელისუფლებამ ეს სწორედ ავღანეთში საქართველოს ჯარს დაუკავშიროს? ეჭვები და კითხვები რომ არ იყოს, ამიტომაც აუცილებელია, გამოძიება ბოლომდე მივიღო. არაოფიციალურად ექსპერტებმა უკვე დაამტკიცეს რომ თალიბების ეგრეთწოდებული კლიპი ფალსიფიციონებულია.

გუაძე. სხვა სერიოზული დემოკრატიული კუნძულები სახელისუფლებო დონეზე არ შექმნილა, სამაგიეროდ განვითარდა არასამთავრობო სექტორი, სააკაშვილის დროს კი თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში მაქსიმალურად შეიზღუდა რუსეთის გავლენები.

ბიძინა ივანიშვილმა ციხეებიდან კრიმინალებიც გამოუშვა და სხვადასხვა წყაროების თანახმად, რუსეთთან დაკავშირებულმა პირებმაც უკვე სახელისუფლებო სტრუქტურებშიც შეაღწიეს. შესაბამისად, საქართველოს პრეიერის უნდა გაუჭირდეს პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება. თუკი მისი მიზანი სტაბილურობაა და არა მართული ქაოსის მოწყობა.

ავღანეთში საქართველოს მონაწილეობა, ამ მხრივ, ახალი ხელისუფლებისთვის ნამდვილი გამოცდა იქნება.

ლია განცხადებებში ბიძინა ივანიშვილი ნატოსთან თანამშრომლობისთვის სრულ მზადყოფნას გამოხატავს. სწორედ მის ამ განცხადებებს ეყრდნობიან დასავლეთში, როცა უარანასთან პარალელურად არ ავლენენ. კიევი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რადამ დადგინდება კი მიიღო და ნატოში განუერთიანების პროცესი შეაჩერა. დასავლეთისთვის ეს სიგნალი იყო.

კიევისთვის ნატოს კარი დაიხურა, საქართველოსთვის ღია დარჩა. დასავლეთში ამბობენ, რომ ისინი ითვალისწინებენ ხალხის აზრს და პატივს სცემენ მათ არჩევანს. ამ კონტექსტში აგრძელებენ ისინი საქართველოში მუშაობასაც. ბიძინა ივანიშვილის განცხადებები ნატოსთან მიმართებაში მოსახლეობის უმრავლესობის შეხედულებებსაც გამოხატავს.

და კიდევ ერთი პარალელი: ზვიად გამსახურდიას დროს პროდასავლური პოლიტიკოსები, შეიძლება ითქვას, არც არსებობდნენ. ეს ღირებულებები მოგვიანებით გამოჩნდა პოლიტიკაში და სწორედ ზურაბ ჟვანიამ შექმნა პირველად, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს კი პრორუსული პოლიტიკოსები კეთროვანის როლში იყვნენ ლამის. პოლიტიკური სპექტრი მათ თავად არ იკარებდა. ნინო ბურჯანაძეც მარტო იყო და ზურაბ ნოლიდელიც. მათ სიახლოვეს გავლა სირცხვილად ითვლებოდა. ირაკლი ალასანიას რეიტინგი ნოლიდელთან ხელის ჩამორთმევის შემდეგ დაენია. ბიძინა ივანიშვილის დროს კი პრორუსული ძალები გააქტიურებას თითქოს ლეგიტიმური ხასიათი მიეცა. ვალერი ხაბურძანიამ თქვა, რომ ის პრორუსია, ამით ამაყობს, დასაბალი არაფერი აქვს და პარტიასაც მალე შექმნის, ვიღაცები საერთოდ ისე შორს წავიდნენ, რომ ევრაზიულ კავშირში განუერთიანებას უკვე ერთადერთი გამოსავლად სახავენ.

პოლიტიკურ სპექტრში ახლა პირველად გაჩნდნენ პრორუსული ორიენტაციის გულმემატკიორები. ამბობენ, რომ მათთვის რუსეთი დაფინანსებასაც არ დაიშურებს. მათი ამოცანა მარტოა: მოსახლეობაში პროდასავლური ღირებულებები დააკნინონ და მისი დეველაცია მოახდინონ. ამ მიმართულებით უკვე ორჯერ განვითარდა შეტევა. პირველი, სწორედ 17 მაისს, როცა ეკლესიურმა პირებმა და ზოგიერთმა ეგრეთწოდებულმა პოლიტიკოსმაც თქვა, რომ დასავლეთი, ევროსაბჭო და ევროკავშირი – ეს ერთსქესიანების ქორწინებაა და თუ ევროსა გინდა, მაშინ ქართულ ტრადიციებზე უნდა თქვათ უარი.

მეორე – ეს ნატოს სამხედრო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობა გახლავთ. აქაც ეკლესია და პრორუსული ფიგურები გამოჩნდნენ, ეკლესია – გაცილებით პასიურად, პრორუსები – აქტიურად.

**ნინო ბურჯანაძე, ვლადიმერ პუტინის პირადი მეგობარი:**

– ისმის კითხვა, რა ვალდებულება აქვს ადგილობრივი საქართველოს ხელისუფლებას, მიხილ სააკაშვილს და რის ფასად, რომლის გამოც საუკეთესო ვაჟაკები, პრაქტიკულად, ყოველდღიურად იხოვებიან ავღანეთში, მით უფრო მაშინ, როდესაც სა-

ქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტზე ოკუპირებულია. რა ვალდებულებების ფასად აგრძელებს იმავე გადაწყვეტილებების მხარდაჭერას დღევანდელი ხელისუფლება. მდგომარეობა არის ნამდვილად ძალიან საგანგაშო, ჩვენ ყოველდღიურად ვკარგავთ ქვეყანაში ტერიტორიებს, ხოლო ავღანეთში – ჩვენი ტერიტორიების საუკეთესო, პოტენციურ დამცველებს. მთავრობა ვალდებულია, ამაზე საგანგებოდ მიიღოს გადაწყვეტილებები და გააკეთოს ყველაფერი იმისთვის, რომ ჩვენი ბიჭები არ იღუპებოდნენ იქ, სადაც მათი ადგილი არ არის

**საინტერესოა, რომ კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ ბურჯანაძის პოზიციები ეკა ბესელიამაც გაიზიარა:**

– ვფიქრობ, საქართველოს მხრიდან ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცების გაგზავნით დიდი მსხვერპლია გაღებული. დიდი გარდაცვლილთა რაოდენობა. ბუნებრივია, ამ საკითხს უნდა შეეხებოდეთ კომპლექსურად. ქვეყნის თავდაცვის სამინისტრო, მთავრობა და პარლამენტი უნდა დაფიქრდეს, რამდენად გამართლებულია ამ კონტინგენტის იქ ყოფნა. გასაგებია, რომ ზოგადად მსოფლიო პოლიტიკაში ჩვენი როლი გვაკისრია, მაგრამ იქნებ გადაიხედოს ჩვენი ჯარისკაცების ამ რაოდენობით და ამ მასშტაბით მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციებში.

**საერთოდ, რუსეთი საქართველოს ყველა პრეზიდენტისთვის სერიოზული გამოცდა იყო**

კარგია, რომ ეკა ბესელიას პარლამენტში გავლენები არ აქვს და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი სრულიად განსხვავებულ პოზიციასზეა:

**დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე:**

– თუ ჩვენ ავღანეთს დავტოვებთ, მაშინ ევროკავშირის მონიტორები საქართველოს დატოვებენ... გასაგებია, ასეთი კითხვები ისმება ხოლმე. საერთოდ რატომ ვართ იქ, ღირს თუ არა და ა.შ. მაგრამ მე ფურჩვედი ყველას, გადაწყვეტილებები მივიღოთ არა ემოციურ ფონზე, წარმატების, წარუმატებლობის ან ტრაგედიის ფონზე, არამედ მშვიდად და სალი გონებით. უნდა გავიაზროთ ყველამ, რომ ჩვენი ჯარისკაცები არიან ომში. სამწუხაროდ, ომს ახლავს ასეთი რისკები. ის, რომ 3 წლის განმავლობაში ჩვენ ამდენი ჯარისკაცი დაგვეღუპა, ამდენი დაიჭრა, ის ომის შედეგია და რაღაცნაირად მზად უნდა ვიყოთ ასეთი მიმომე დღეებისთვისაც. არ მესმის იმ ხალხის, რომელიც ამბობს, რომ ამ მომენტზე ქართველი ჯარისკაცები ავღანეთიდან ბრძოლის ველის მიტოვება, ალბათ ვალდებულებაზე უარის თქმა მისაღებია? ეს ქვეყნისთვის ან მეომრებისთვის სწორი მიდგომაა? ეს არასწორი მიდგომაა... ჩვენ ავღანეთში იმიტომ ვართ, რომ ამით ვიცავთ საქართველოს თავისუფლებას. ამით ყოველდღიურად ხელს ვუწყობთ იმას, რომ საქართველომ დღეს თუ არა ხელაღმოახერხოს საკუთარი ტერიტორიული მთლი-

ანობის აღდგენა. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ დემოკრატიული მსოფლიოს გარეშე ჩვენი ეროვნული სტრატეგიული ამოცანების მიღწევა შეუძლებელია. თუ ჩვენ ავღანეთს დავტოვებთ, მაშინ ევროკავშირის მონიტორები საქართველოს დატოვებენ. მაშინ ხმის ამომღებიც არავინ იქნება, როდესაც მათეულხლართები 200 მეტრით კი არა, შესაძლოა, 100 კილომეტრით გადაინევა სადმე. ამიტომ ამ ყველაფერს ანგარიში უნდა გავუწიოთ... ანუ სხვა ქვეყნებშიც გვეხმარებიან. ჩვენი ჯარისკაცები და უსაფრთხოების სისტემა, რომელიც დღეს გვაქვს, ეს საერთაშორისო დახმარების შედეგია. ამიტომ გვინდა ნატოში განუერთიანება, რომ ჩვენ მათი დახმარებაც მივიღოთ. დღეს ემოციურად თქვა, რომ „მოდი, აღარ გვინდა ეს ამბავი“, მაშინ იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რა გვინდა, ვართ ჩვენ მზად იმისთვის, რომ მარტო გავუშვავდეთ ყველა საფრთხეს, თუ არ ვართ მზად, მაშინ ვისთან ერთად გავუშვავდეთ ყველა საფრთხეს...

„ქართული ოცნებები“ პოზიციების რადიკალიზაცია თითქმის ტრადიციად იქცა. გაგვიმართლა, რომ პარლამენტში სწორედ

რესპუბლიკელებს აქვთ სერიოზული გავლენები.

პრორუსულმა ძალებმა შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს და ტრაგიკული შემთხვევა სააკაშვილს დაუკავშირეს. თქვას, რომ სწორედ ის არის დამნაშავე ამ ინიციენტი.

**გოგი თოფაძე ცნობილია საკუთარი ანტიდასავლური განწყობებით:**

– პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, სად რა ილაპარაკოს. ავღანელებს ქართველი ჯარისკაცები მიზანში ამოღებული არ ჰყოლიათ და ამდენი წლის მანძილზე მსხვერპლი ძალიან მცირე იყო. ახლა კი ჩვენი ბაზა საშიხე გახდა.

**ზვიად ძიძიგური, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, კოალიცია „ქართული ოცნება“:**

– არ შეიძლება ახლა ამაზე საუბარი. ყველას შეიძლება, საკუთარი მოსაზრება შექმნდეს, მაგრამ მე ვფიქრობ, ღია სივრცეში პრეზიდენტის ბრალეულობაზე საუბარი არასწორია და საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯია. თვითონ ფაქტი ძალიან მიმივა და ძალიან გწუხვარ მომხდარის გამო.

# „დღეს რუსთაველი ან ჭავჭავაძე კანდიდატი ვარო, ისიც კი ვ



**my View**  
ნათიშა მგალობლიშვილი

დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რუსეთზე ზენოლის მოსახდენად დასავლეთის გამოყენება იდეალური არჩევანია. ეს გზა წინა ხელისუფლების არჩევანისგან არაფრით განსხვავდება. სხვაობა მარტო ისაა, რომ დღევანდელი ხელისუფლების რიტორიკა რუსეთთან მიმართებაში ბევრად უფრო მოზომილია. პოლიტიკური სპექტრის ნაწილი ამ მოზომილობას თავდახრის პოლიტიკას უთანაბრებს. ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, ეს არა თავდახრის, არამედ მოთმინების მაჩვენებელია... ისტერიული ნაბიჯის გადადგამდე ღრმად ჩასუნთქვასა და ათამდე დათვლას კი, როგორც ამბობენ, გარანტირებული წარმატება მოაქვს...

ლევან ბერძენიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:

– რუსეთს სჯეროდა, რომ საქართველოს გზა ნატომდე ძალიან შორი იყო, თანაც ჩათვალეს, რომ 2008 წელს ეს საკითხი იმით გადაწყვიტეს, რომ საქართველოს გაუჩნდა მოუგვარებელი თავსატეხე. ნატოს მეხუთე პუნქტი უნერია, რომ, თუ მის რომელიმე წევრ ქვეყანას თავს დაესხნენ, ნატომ ადეკვატური პასუხი უნდა გასცეს. რუსებმა იფიქრეს ნატომი შესვლაზე ფიქრი წარმოუდგენელია, მაშინ როცა ოკუპირებული ტერიტორიები. ფაქტობრივად, ნატომი ახლა განეწიანება უნდა ნიშნავდეს ნატოს მიერ რუსეთისთვის ომის ავტომატურად გამოცხადებას. სამწუხაროდ, ეს მექანიზმი შექმნეს რუსებმა 2008 წელს წინა ხელისუფლების დაუფიქრებლობისა და მოუთმინებლობის გამოყენებით. სიტყვა დახაშულს აღარ ვიტყვი, რადგან ჩატარდება გამოძიება და ის დაადგენს, გადაიზარდა თუ არა ჩვენი შეცდომები დახაშულში. ინიციატორი, რა თქმა უნდა, რუსეთი იყო. თუმცა ამის შემდეგ საქართველომ ჩააბარა ერთი სერიოზული ტესტი – ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები. საქართველომ ოქტომბრის არჩევნებით ისეთი რამ გააკეთა, რაც არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანას არ გაუკეთებია – არჩევნები მიიგო ოპოზიციან და ხელისუფლებამ მოულოდნელად მშვიდობიანად გადააბარა მას ხელისუფლება, ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე. ამ შემთხვევაში ყველა მხარემ, მათ შორის დამარცხებულებმაც, გამოავლინა პოლიტიკური კლასი, რომელმაც ევროპა დაარწმუნა, რომ საქართველო მიდის დემოკრატიისკენ და თავისთავად ნატოსკენ. ბოლო პერიოდში მე ვიყავი ნატოს საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად ლუქსემბურგში, სადაც ნატოს გაფართოებაზე იყო საუბარი. იქ მეც და დანარჩენებსაც მოგვეჩვენა, რომ საქართველოს სასარგებლოდ იყო შეცვლილი ინტონაციები, რიტორიკა. საქართველოზე საუბრისას რასმუსენმა იმაზე მეტი დრო დახარჯა თავის გამოცხადებაში, ვიდრე სხვა რომელიმე ნატოს წევრ ქვეყანაზე. ამავე შეხვედრაზე ჩვენი დელეგაციიდან დაისვა კითხვა, კიდევ რა უნდა გააკეთოს საქართველომ, რომ ნატოს დაუახლოვდეს. ასეთი პასუხი მივიღეთ: თქვენ წინ გაქვთ საპრეზიდენტო არჩევნები და ჩაატარეთ ის კარგად. ფაქტობრივად, გვითხრეს, რომ სწორ გზაზე ვდგავართ და თუ ასე გავაგრძელებთ, ისინი ხელდავენ საქართველოს ნატოს რიგებში. ჩვენ ვიცით ნატოს ცნობილი განცხადება, რომ საქართველო იქნება ნატოს წევრი, მაგრამ მე მინდა, რომ მე მოვესწრო ამას და არა ჩემი შვილი ან შვილიშვილი. მომეჩვენა, რომ ახლოს მივდივით ნატოსთან. ეს მარტო მე არა, რუსეთის დელეგაციის წევრებსაც მოეჩვენათ. ამიტომ ისინი წავიდნენ სახლში და ყველაფერი თქვეს. ვფიქრობ, რუსეთის განცხადების მიზეზი, სულ მცირე, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ბოლო შეკრება გახდა. რუსეთმა მინიშნება გააკეთა მავთულხლართებით და გვითხრა: ეს თქვენ იმისთვის,

## „მე ვფიქრობ, ბაქრაძე უნდა გასულიყო ამ თამაშიდან. მისთვის სააკაშვილის გვერდით დგომა კალიან ნამბეზიანი და დამლუხველია“

რომ მისწრაფთ ნატოსკენ, რა თქმა უნდა, სპეციალურად აკეთებენ ამას.

– რამდენად რეალური საფრთხის შემცველია ეს მუქარა?

– ბუნებრივია, საფრთხის შემცველია, რადგან მიუხედავად ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს რეაქციისა, მიუხედავად ჩვენი განდგომილი რეგიონების განწყობისა, საქართველოს მისწრაფება მაინც იქნება ნატო. ნატოსკენ სვლა ვერ შეჩერდება. რუსეთი თავისი მოქმედებით გვიდასტურებს, რომ ჩვენ სწორად მივდივართ. ყველაფერია მოფიქრებული იმისთვის, რომ ნატომი შესვლიდან მეორე დღეს რუსეთსა და ნატოს შორის ომი არ დაიწყოს. ასეთი რამ სხვა ქვეყნების ისტორიაშიც მომხდარა. მაგალითად, როცა გერმანია ერთიანდებოდა, გაკეთდა ჩანანერი, რომ კონკრეტულ ისტორიულ მომენტამდე არ ამოქმედდებოდა მესხეთე მუხლი. ასეთი რამის გაკეთება ჩვენს შემთხვევაშიც შეიძლება. როცა საუბარი დაიწყო დეტალებზე, რომ თურმე შეიძლება ისე მოვხდეთ ნატომი, რომ ომი არ დაიწყოს, ძალიან ბევრი ქვეყნის დამოკიდებულება შეიცვალა საქართველოს მიმართ, რომლებიც, სხვათა შორის, ადრე ნატომი ჩვენი განეწიანების წინააღმდეგნი იყვნენ.

– რომლის?

– მაგალითად, იგივე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის. არ ვიცი, რა ხდება, შეიძლება მისილ სააკაშვილი არ მოსწონდათ და ჩვენ მოვზონებართ... ფაქტია, რომ სიმპათიები ძალიან დიდია.

– თქვენ ამბობთ, რომ ყველაფერი მზად აქვს ხელისუფლებას, რომ ომი არ დაიწყოს, მაგრამ მასე წინასაარჩევნოდაც კოალიციის ყველა ლიდერი, თავად ზიძინა ივანიშვილიც ირწმუნებოდა, რომ არსებობდა რუსეთთან ურთიერთობის დალაგების დეტალური გეგმა, რომელიც ხელისუფლებამ მოსვლისთანავე ამოქმედდებოდა. თუმცა დღეს ივანიშვილი ამბობს, რომ ამის რესურსი არ არსებობს...

– ეს გეგმა არსებობს. სხვათა შორის, საქართველოს ნატომი ინტეგრაცია არის სწორედ ამ გეგმის შემადგენელი ნაწილი. რუსეთი გაცილებით უკეთ აიტანს უკვე ნატომი შესულ საქართველოს, ვიდრე საქართველოს, რომელიც მისწრაფის ნატოსკენ. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას, ბუნებრივია, მოსალოდნელია ასეთი კაზუსები მათი მხრიდან. სხვათა შორის, ამ ბოლო დღეებით ჩვენი ხელისუფლებაც გამოიცადა. ჩვენ რომ ისტერიული ხელისუფლება გვეყოლოდა, სხვა ნაბიჯები გადაიდგებოდა და ის იქნებოდა არასწორი.

– და გაჩუმება სწორია?

– ეს არ ყოფილა გაჩუმება. ჩემი აზრით, ეს იყო მოთმინება. მე თვითონაც გაურული და ფიცხი ვარ და ვიცი, რომ საუბრამდე ათამდე უნდა დაითვალო. ჩვენც დავითვალეთ ათამდე და ამასობაში ჩაერთო დასავლეთი. ჩვენი ერთადერთი იარაღი არის დასავლეთი და არა იარაღი და არმია. ჩვენს ურეაქციობაზე საუბრობენ ის ოპონენტები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ტერიტორიის საერთოდ ნაგებაზე. ხანდახან ძალიან წყნარად უნდა ვიყოთ, სანამ ისტერიკას ავტებთ. ჩვენ წლობით ვითმენდით მავთულხლართებს კი არა, სახელმწიფო საზღვარს ჩოლოქზე. თურქეთში გადასვლა

**„სასამართლოს რომ ვანო პერაბიშვილი გამოეხვა, დარწმუნებული ვარ, კუბლაშვილისგან ცოცხალი ნაწილი არ დარჩებოდა“**

უფრო ადვილი იყო, ვიდრე აჭარაში მოხვედრა ასლან აბაშიძის დროს. ჩვენი ინტელიგენცია კი მაინც ჩადიოდა და უმღეროდა იქ... არ დაგვავიწყდეს, ესეც საქართველოს ისტორიაა. ახლა კი ისტერიკის მოწყობა, – აი, რუსეთმა 200 მეტრი გადმოიხია, ასე თუ გაგრძელდა, თბილისამდე მოვლენ, – არ არის სწორი. ძალიან ადვილია, თქვა: ოხ, ეს გათამბორებული... მაგრამ ჩვენ ჩავსუნთქეთ ღრმად და მოვითმინეთ, სანამ არ ჩაერთო საერთაშორისო თანამეგობრობა. ჩვენი და თანამეგობრობის გაფრთხილების მიცემას შორის ძალიან დიდი სხვაობაა. სხვადასხვა წონისაა. ამ შემთხვევაში კი საუბარია 200 და 300 მეტრის გადმოწევაზე, ადგილებში კი, უბრალოდ, შეხვევაზე. ჩვენ გვახსოვს მიხეილ სააკაშვილის სიტყვებიც, ორ-სამი სოფელი დავკარგეთ, რა მოხდაო... კიდორი და ახალგორი სააკაშვილმა დაკარგა.

– თუმცა ეს ვერ გაამართლებს იმას, რომ ამჯერად მხოლოდ 200 ან 300 მეტრი დავკარგეთ...

– რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს ამას. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი შეცდომის გამო არ მომხდარა 200-300 მეტრით საზღვრის გადმოწევა. ეს თუ მოხდა, იმის გამო, რომ ნატოსკენ ვისწრაფით, ვიტყვი, რომ ნატოსკენ სწრაფვა მაინც დავაკავებდით. ჩვენ არ შეგვიძლია რუსეთთან დაპირისპირებაში შესვლა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება თავი წავაგოთ, ანუ ქვეყანა დავკარგოთ. ჩვენ ორი რთული ამოცანა გვაქვს: რუსეთთანაც უნდა დავაგვაროთ ურთიერთობა და ნატოსკენაც უნდა ვიაროთ. „ნაციონალური მოძრაობა“ ამბობს, რომ ეს შეუძლებელია. ჩვენც ვიტყვით ასე, რომ არ არსებობს ამის მაგალითები. ნაციონალურმაც კი აღიარეს უკვე, რომ მოლაპარაკებები რუსეთთან ლეგიტიმურია. კიდევ კარგი, რომ რუსეთის აგენტებად აღარ ვითვლებით. თუ ვინმე არ იცოდა, რომ ივანიშვილი რუსეთის კაცი არ არის, ანი ეცოდინება, რადგან რუსეთი ასეთ პრობლემებს არ უქმნის თავის კაცებს.

– თუმცა შეიძლება პირიქითაც ვიფიქროთ...

– კი, არის ხალხი, რომლებიც ფიქრობენ, რომ რუსეთმა სწორედ ამიტომ მეუქმნა პრობლემები, რომ დაიფაროს... ასეთ ადამიანებს ან აზროვნებაში აქვთ დეფექტი, ან ზნეობაში, ან ორივეში ერთად ან, უბრალოდ, ეშლებათ. ყველაწიანი ადამიანი არსებობს. ინტელექტუალური შეცდომაც ყველას შეიძლება მოუვიდეს. სხვათა შორის, რუსეთი საქართველოში სამართლიანობის აღდგენის წინააღმდეგისაა, რადგან ესეც გვაახლოებს ნატოსთან.

– ანუ მერაბიშვილის დაკავება შეგნებულად ასხენეთ...

– დიახ, სააკაშვილს ჰგონია, რომ ვანო მერაბიშვილს თუ დაიჭერ, ევროპა არ მივიღებს. ევროპა კი ამბობს, რომ, თუ კორუფციაზე, მკვლელობის დაგეგმვაზე მაღალი თანამდებობის პირს იჭერ, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ქვეყანაში არავინ არ დგას კანონზე მაღლა და ის ახლოს არის დემოკრატიულ ქვეყანასთან. ევროპარლამენტის წევრებმა ჩამოგვითვალეს ქვეყნები, სადაც პრემიერები დაჭერილი. თუ დანაშაული ჩადენილია, პრემიერს კი არა, პრეზიდენტებს იჭერენ. ვანო მერაბიშვილმა რომ დანაშაულები ჩადინა,



**„მეტოქეა ახლა კალიან კარბ სიტყვებს ვაგვძობ, ვაგვრამ არ მივირს იმიტომ, რომ ბაქრაძე ნამდვილად იქნება კარგი კანდიდატი“**

# ქი რომ გაცოცხლდეს და თქვას, ერ ბაიბარჯვებს არჩევნებში“

# EXCLUSIVE



**„ბოკერია პოლიტიკაში არ არის, მას ასე ჰგონია, უბრალოდ, ბოკერია არის სახელმწიფოს მართვაში“**

ვარო, ზოგი ორივეს ერთად იტყვის... ამ დროს ჩვენი კანდიდატი გულუბრად კრედიტული არ იქნება. ჩვენს კანდიდატს წარსულზე უფრო მეტი დასაყრდენი მომავალში აქვს. იცით, რა მნიშვნელოვანია, რომ წარსულში ბევრი პოლიტიკური შეცდომა არ გაქვს დაშვებული? ჩვენს კანდიდატს წარსულში დაშვებული შეცდომები საერთოდ არ გააჩნია. ჩვენს კანდიდატს დღეს 60% აქვს დაახლოებით, ეს პროცენტები კიდევ გაიზრდება. სხვა ფაქტორებთან ერთად, გათვლა იქნება ქართულ ფაქტორებზეც: გარეგნობა, ოჯახი, ოჯახივილობა. ჩვენი კანდიდატი თავის თავში ატარებს კიდევ ბევრ დამატებით პოტენციალს. აი, ბაქრაძეზე კი ჩვენ უკვე ყველაფერი ვიცით.

ამას ვერ ვიტყვი, რადგან უდანაშაულობის პრეზუმფცია იცავს. თუმცა არ შეიძლება ეჩვენებოდეს ყველას. სასამართლო დადასტურებს, რომ მერაბიშვილმა ჩაიდინა უპატიებელი დანაშაული 2007 წელს, „იმედის“ დარბევა, საკუთარ ხალხს რომ დასდევდა მთელი ქალაქის მასშტაბით; ვანო მერაბიშვილს ედება ბრალი 2011 წლის ამბებში, მაგრამ ვანო მერაბიშვილს ჩადენილი აქვს უპატიებელი დანაშაული, ეს დამტკიცებულია ევროპის სასამართლოს მიერ. ის ხელს აფარებდა მკვლელებს და ხელი შეუშალა გამოძიებას. ეს ოცდაათწლიანი მუხლია. ვანო მერაბიშვილს რომ დაიჭვრდნენ, ეს ვიცოდი მისი ბავშვობიდან. ის თავიდანვე გადაიხარა ცუდ მხარეს. თავიდანვე, როცა პიტერ მოუსთან ერთად საეჭვო მანიპულაციებით გამოიდრდა, უკვე მაშინ ვიცოდი, როგორ დაამთავრებდა და მაშინვე ვეუბნებოდი ამას. ეს მე მისთვისაც მაქვს ნათქვამი. ის ჩემი ძალიან ახლო მეგობარი არ იყო, მაგრამ არც შორეული. ის, რაც მან გააკეთა გირგვლიანთან დაკავშირებით, უპატიებელია. ამას ვერასოდეს ვერავინ აპატიებს. სასამართლოს რომ ვანო მერაბიშვილი გამოეშვა, დარწმუნებული ვარ, კულბაშვილისგან ცოცხალი ნაწილი არ დარჩებოდა. ამას ხალხი არ მოითმენდა.

## ლევან ბერკენიშვილი: „ყველაფერია მოფიქრებული იმისთვის, რომ ნატოში შესვლიდან გეორგი დღეს რუსეთსა და ნატოს შორის ომი არ დაიწყოს“

**– ფიქრობთ, რომ მერაბიშვილის დაკავება საზოგადოების ზნობით იყო გამოწვეული? ნანა კაკაბაძე და მისი პოლიტიკტიმერები... ნინო ბურჯანაძის განცხადებები საზოგადოების იმედგაცრუებაზე...**

– ეს მოხდა ზუსტად მაშინ, როცა დაგროვდა მტკიცებულებები. არა მგონია, კაკაბაძე იყოს საჭირო სამართლიანობის აღსადგენად. მესმის, რომ თავისი საშუალო აქვს, ღმერთმა ხელი მოუშართოს ყველას, მაგრამ ჩვენ არ მივდით მათ ყრილობაზე.

**– თუმცა უმრავლესობიდან იყვენ...**

– ჩვენ არ მივდით და არც არავის უთქვამს, მიდითო. შეიძლება ვიღაცებს ისიც კი უთხრეს, მაინცდამაინც არ მიხვდებიო. საქართველოს ხელისუფლება იქ არ იყო წარმოდგენილი. თუ ვინმე იყო, იყო, როგორც ინდივიდი. სამართლიანობა, ფიქრობ, არის სახელმწიფოს და არა ჩაგრული მოქალაქეების ხელში. ყველამ იცოდა, რომ აქ კაპონი დამნაშავე იყო, მაგრამ ძლივს დაიჭირეს გადასახადების გადაუხდელობის გამო. ყველამ იცოდა, რომ გამზინიების მთელი ოჯახი დამნაშავე იყო, მათზე ვიღამ იღებდნენ, მაგრამ ვერ იჭერდნენ. მხოლოდ ცოდნა, რომ კონკრეტული პიროვნება დამნაშავეა, არ არის საკმარისი. ის, რომ მსხვერპლი არსებობს, რომელიც თითო იმერს დამნაშავეს, რომელიც არის არის საკმარისი. უნდა ამოქმედდეს სახელმწიფო კანონები და მხოლოდ ასე მოხდება დამნაშავეების დაკავება. ჩვენი ბედნიერებაა, რომ გენერალური პროკურორი ამ უწყებაში ნამუშევარი არ არის და სუფთა წარსული აქვს, არის პატიოსანი და ნელ-ნელა იძენს გამოცდილებას. სწორედ ამიტომ იყო რომ ვანო მერაბიშვილის საქმე დიდხანს მზადდებოდა. ნელ-ნელა მივალთ, ასევე, ვანო მერაბიშვილის მთავარ დანაშაულამდე – როცა დამტკიცდება, რომ მან უზრუნველყო სახელმწიფოს მხრიდან სასამართლო ხელისუფლების საერთო დემორალიზება. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ვანო მერაბიშვილმა ააშენა სახელმწიფო. სინამდვილეში პირიქით არის. მერაბიშვილმა, მიხეილ სააკაშვილთან შეთანხმებით, მთლიანად გააუქმა საქართველოში ერთი ხელისუფლება. გამოძიება შეწყვეტილი იმდენი, რომ საქმეში მისი ცოლი და მისი თანამშრომლები იყვნენ ჩართულები. ამ საქმით მერაბიშვილმა ჩვენ დაგვიცინა... ასეთი ცინიზმი დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, ეს ლოგიკური იყო.

**– სააკაშვილი ახსენეთ და პრეზიდენტამდეც მივა გამოძიება?**

– სააკაშვილი არის პრეზიდენტი, მის მიმართ ვერაფერი ვერ შევა ძალში. ის დამთავრებს მის ვადას ამ პოსტზე. ჩატარდება არჩევნები და პირველივე ტურში გამარჯვების შემთხვევაში, ახალი პრეზიდენტი არჩევნებიდან 21 დღეში დადებს ფიცს, ძველი პრეზიდენტი წავა სახლში. ამის შემდეგ სააკაშვილმა ძალიან უნდა იზრუნოს, რომ ის იმუნიტეტი, რომელიც მას ახლა იცავს, გააძლიეროს. დარწმუნებული ვარ, ვანო მერაბიშვილი გამოძიებას სწორედ სააკაშვილამდე გაიყვანს, რომლის ბრძანებითაც ის რაღაცებს აკეთებდა. იმის თქმა, რომ ვანო არის ღირსეული კაცი, არ გატყდებ, თავის თავზე აიღებს ყველაფერს და გადაეფარება მიხეილ სააკაშვილს, მაშატიეთ და, მე რომელ მერაბიშვილსაც ვიცნობ, ის ასე არ მოიქცევა. დარწმუნებული ვარ, ვანო მერაბიშვილი გამოძიებას სააკაშვილამდე გაიყვანს. ეს დანაშაული მარტო მას არ ჩაუდენია. მერაბიშვილი, სანამ მინისტრი გახდებოდა, მანამდე ხომ იყო ადამიანი? მასში ეს ადამიანი არ მომკვდარა და ახლა სწორედ ამ ადამიანს გააღვიძებენ მასში, როცა შეასვენებენ, რომ აღარც დაცვა ჰყავს, აღარც ის რეგალიები აქვს, რომელიც ჰქონდა.

**– როცა კონკრეტულად 26 მაისის ბრალულობაზე ვსაუბრობთ მერაბიშვილთან მიმართებაში, ლოგიკური არ არის, რომ ნინო ბურჯანაძის მიმართაც უნდა გაუჩნდეს გამოძიებას კითხვები?**

– ლოგიკური არის, მაგრამ, როგორც პროკურატურა ამტკიცებს, რაიმე კრიმინალს ვერ ხედავს. ფიქრობ, ეს იმდენად საბარტოლის საკითხი არ არის, რამდენადაც მორალის ან პოლიტიკური გემოვნების. ვილაყამ შეიძლება მორალური პასუხისმგებლობის საკითხი დაინახოს ბურჯანაძის ქმედებაში ან პოლიტიკური გემოვნების პრობლემა. თუ ბურჯანაძის აქვს დანაშაული, ის არის პოლიტიკური ხასიათის დანაშაული და არავითარ შემთხვევაში კრიმინალი. მისი ტაქტიკა არ იყო სწორი. თუმცა თავად 26 მაისის ორგანიზატორები ამბობენ, ჩვენ მოვითხოვთ ოქტომბრის გამარჯვებაო. ეს მათი შეფასებაა და ამ შეფასებასაც ჰყავს თავისი მონიშნალობა.

**– თქვენ როგორ ფიქრობთ?**

– არა, რა თქმა უნდა. ამ ძალს არ

ბა არც ერთი თვალსაზრისით – არც კრიმინალთან კავშირის, არც ადამიანური თვისებების, არც ინტელექტის, არც წარსულის, არც პოლიტიკური თვის მიღებადობის... მეტოქეზე ახლა ძალიან კარგ სიტყვებს ვამბობ, მაგრამ არ მიჭირს იმიტომ, რომ ბაქრაძე ნამდვილად იქნება კარგი კანდიდატი. თუმცა ის „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ძალიან ვერ ახტება. საშუალოდ, ახლა პერსონალური თვისებები არ წყვეტს. ვანო მერაბიშვილი რომ გამხდარიყო ნაციონალების კანდიდატი, იმ 10%-საც ვერ აიღებდა, რაც აქვთ ნაციონალებს, რადგან ნაციონალებშიც კი არიან ადამიანები, რომლებიც მერაბიშვილს ეწინააღმდეგებიან. სამაგიეროდ დავით ბაქრაძემ შეიძლება ოდნავ იმაზე მეტი მიიღოს, ვიდრე ნაციონალებს აქვთ.

**– მეორე ტური ახსენეთ ცოცხალი ნინო... ანუ არ გამოიციცხვება?**

– ღმერთები არ ვართ, რაიმე გამოვიციცხოთ, მაგრამ დღეს ეს გამოიციცხვია. ხვალ ეს კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენი იქნება. რადგან დღეს ჩვენს კანდიდატს კარგად არ იცნობენ, უფრო სწორად იცნობენ მხოლოდ მთავი პარტია, რომელიც მარგველაშვილის წინააღმდეგ მიმდინარეობს. ჩვენს კანდიდატში არის უზარმაზარი პოტენციალი, ის ელვარე პერსონაა, მას შეუძლია ისეთი გამოსვლენი ჩაატაროს და ისეთი გული, მეტყველება და ოუმორი აწვენოს ამომრჩევებს, რომ უცბად შეუყვარდეს ყველას. ყველას დასაყრდენი თავისი წარსულია. ერთი კანდიდატი იტყვის, რომ მე პარლამენტის თავმჯდომარე ვიყავი და ვცდილობდი მაქსიმალურად ყველაფერი გაკეთებას... მეორე კანდიდატი იტყვის, მე, გენაცვალე, ორჯერ ვასრულედი პრეზიდენტობის მოვალეობას და ასევე, ვიყავი პარლამენტის თავმჯდომარეო... მესამე კანდიდატი იტყვის, მე შესანიშნავი საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი, ჩემს დროს რუსებმა უკანასკნელი ჯარისკაცი გაიყვანეს, ლავროვთან მქონდა მოლაპარაკება და პირველი ვიყავი, ვინც ლავროვს რუსულად არ დაელაპარაკა უზრუნველ მიხეილის გამო – რუსული არ ვიცოდი... იმასაც იტყვიან, მონიშნული ქალი ვარ, ან ჰეკიანი ქალი

## მარიამ ნადირაძე

მას შემდეგ, რაც, 2008 წლის დეკემბერს „ტელეიმედის“ ყოფილ ოფიციალურ მფლობელს, გოგი ჯაოშვილს საქართველოს ტელეკომპანიის დათმობა და საქართველოს დატოვება მოუხდა, თანაც სახალხო დამცველისა და ჟურნალისტების დახმარებით, ის მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა. 2009 წლის 20 აპრილს მან ოფიციალურად განაცხადა, რომ მზად იყო ტელევიზიისა და მთაწმინდის პარკის თაობაზე ჩვენება მიეცა სასამართლოსთვის, ან პარლამენტის ანტიკორუპციული საბჭოსთვის, თუ ეს უკანასკნელი იშუამდგომლებდა დამნაშავე პირების პასუხისმგებლობაში მიცემაზე. ჯაოშვილმა მაშინაც განაცხადა მზადყოფნა, რომ დაასახელებდა ყველა იმ ჩინოსნის გვარს, ვინც ამ ტერორსა და მაქინაციაში მონაწილეობდა. თუმცა იმ ეტაპზე მას მათი გვარები არ გაუშვირავს.

4 წლის შემდეგ გოგი ჯაოშვილი „პრაიმტიმს“ თავისი ადვოკატის საშუალებით დაუკავშირდა.

ბესარიონ ქარცივაძე ჯაოშვილისგან უფლებამინიჭებული პირია, რომელსაც ამ ეტაპზე მისი სახელით კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლია. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც მკითხველი აქამდე არსებულ უამრავ კითხვაზე მიიღებს პასუხს ბადრი პატარკაციშვილისთვის სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩამორთმეულ იმ საკუთრებებთან დაკავშირებით, რომელიც წლების განმავლობაში პოლიტიკური სპეკულაციის საგანი გახლდათ.

მამ ასე, ვინ და რა ფორმით დაიყოლია გოგი ჯაოშვილი, დაეთმო „იმედი“? რა მოხდა ფინანსური პოლიციის შეფის, დავით ქარსელაძის სამუშაო ოთახში? რა პირობები წამოუყენა ვიცე-მერმა, მამუკა ახვლედიანმა ბადრი პატარკაციშვილის მეგობარს და რა როლი ითამაშა ამ ყველაფერში ცნობილმა ჯოზეფ ქეიმ, რომელიც უკანასკნელ ხანს ტელეკრანეზე სკანდალური განცხადებებით გამოჩნდა? სხვათა შორის, მის ამ განცხადებებს არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ერთ-ერთი ვერსიით, ის სააკაშვილის ჩინოსნებზე შეტყუების სანაცვლოდ მომავალში მეტი უფლებები უფლებებს აღიდგენს. ამ შესაძლო გარკვევას ვერსიის მხარდამჭერები იმიტაც ასაბუთებენ, რომ ხსენებული სატელევიზიო განცხადებები თურქეთში ქართველი პროკურორის თანდასწრებით გაკეთდა. თუმცა, ამ ეტაპზე ეს საუბრის სულ სხვა თემაა და ამიტომ, მკითხველი ძალიან შორს რომ არ წავიყვანოთ, ისევ ჯაოშვილის თემას მივუბრუნდეთ.

„იმედის“ დათმობამდე ის ბადრი პატარკაციშვილის იმპერიაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პირად აღიქმებოდა. ოლიგარქის საქართველოში რეგისტრირებულ თითქმის ყველა საკუთრებაში ის ან პარტნიორი იყო, ან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ან დირექტორი. ტელევიზიის მფლობელად კი ის ამ სტეპით აღიქმებოდა: გოგი ჯაოშვილი გახლდათ სააქციო საზოგადოება „ჯეიმ-ჯის“ 70-პროცენტული ნილის მფლობელი. ეს ფირმა ფლობდა „ი-მედიას“ აქციების 65 პროცენტს, ეს უკანასკნელი კი შპს „ტელეიმედის“ ერთადერთი დამფუძნებელი გახლდათ.

ერთი სიტყვით, აქ ვასრულებთ პრეისტორიას და შემოგვყავს ახალი მოქმედი პირი, გოგი ჯაოშვილის ადვოკატი, ბესარიონ ქარცივაძე:

– გოგი ჯაოშვილი და ბადრი პატარკაციშვილი ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ. უფრო მეტი ინფორმაცია ხომ არ გაქვთ მათი ურთიერთობის შესახებ?

– მათ ერთმანეთი გასული საუკუნის 70-იან წლებში გაიცნეს. ბატონი გოგი კომკავშირის მდივანი იყო. მოგვიანებით ის ბადრი პატარკაციშვილთან ერთად აღმოჩნდა მოსკოვში, იყვნენ პარტნიორები, ერთად



## ბადრი პატარკაციშვილის მეგობარი 5 წლის უემდეგ ალაპარაკდა



საქმიანობდნენ „ლოგოვაში“, „ო-ერთი“-ში... მოგვიანებით, როდესაც ბადრი პატარკაციშვილმა ინვესტიციები საქართველოში განახორციელა, გოგი ჯაოშვილი აქაც ყველგან მასთან ერთად იყო – ტელევიზიაში, მთაწმინდის პარკში, ცირკში, „მაუდში“ და ა.შ. ერთი სიტყვით, ეს ორი ადამიანი ყოველთვის ერთ ქრილში აღიქმებოდა.

– დაახლოებით 4 წლის წინათ მან გააკეთა განცხადება, რომ ყველაფ-

ერს იტყოდა მისი დენისა და ტერორის შესახებ. რა ხდებოდა მის თავს და როდის დაიწყო ეს ყველაფერი?

– 2007-ში, ნოემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ პატარკაციშვილის ყველა კომპანიაზე მიიტანეს იერიში, დაიწყეს რეპრესიები თანამშრომლების მიმართ. გასსოვთ, ალბათ, 7 ნოემბერს, დილით, ტელევიზიის დარბევამდე, „სპეცნაზით“ რომ გაივსო მთაწმინდის პარკი. სისხლის

სამართლებრივი დევნა დაიწყო თანამშრომლებზე. დაყადაღდა ყველა ფირმა, სადაც შეიძებოდა ბადრი პატარკაციშვილის ინტერესი ყოფილიყო.

– გოგი ჯაოშვილი მთაწმინდის პარკის დირექტორი იყო, არა?

– ის იყო შპს „ლინქსის“ დირექტორი, რომლის ერთადერთი დამფუძნებელიც გახლდათ ბადრი პატარკაციშვილი. პარკი 49-წლიანი იჯარით ჰქონდათ აღებული. მერიასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული 5-მილიონიანი ინვესტიციის ნაცვლად მათ უკვე 25 მილიონი ჰქონდათ ჩადებული ამ საქმეში. როდესაც „სპეცნაზმა“ ობიექტი თანამშრომლებისგან იძულების წესით დაცალა, იქ დარჩა სამშენებლო ტექნიკა, მასალები, ყველა ფინანსური დოკუმენტაცია. პარკში დაცვის პოლიცია ჩადგა და იქ არავის უშვებდნენ. გოგი ჯაოშვილმა სასამართლოსაც მიმართა და სახალხო დამცველსაც. სუბარის დასკვნა არავინ გაითვალისწინა. დაახლოებით 1 წლის შემდეგ, 2008 წლის 9 ოქტომბერს შედგა საუბარი ვიცე-მერ მამუკა ახვლედიანთან, რომელიც 4 საათი გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში პერიოდულად ურეკავდა მერი და ინტერესდებოდა, შედგა თუ არა შეთანხმება.

– რას სთავაზობდა ახვლედიანი?

– გადაამდგარიყო დირექტორობიდან. დირექტორობიდან მისი განთ-

ავისუფლება მხოლოდ დამფუძნებელს შეეძლო, რომელიც იმ დროისთვის უკვე გარდაცვლილი იყო. გოგი ჯაოშვილი ქალბატონ ინა გუდავაძესთან შეთანხმდა, რომ, რაკი მერიასთან ვერაფერს გაანცობდნენ, ბრძოლა სასამართლოს გზით გაეგრძელებინათ. ამიტომ, ახვლედიანის წინადადებას დასთანხმდა. იმავე დღეს, 9 ოქტომბერს გაფორმდა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც დაინიშნა ახალი დირექტორი, გიორგი კირცხაია, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, გიგი უგულავასთან მუშაობდა დაცვაში და იყო მისი მძღოლი.

– სასამართლოში შეტანილ სარჩელს რა ბედი ენია?

– სწორედ ამ გიორგი კირცხაიამ, დანიშნვიდან მეორე დღესვე გამოითხოვა სარჩელები სასამართლოდან. გოგი ჯაოშვილმა ისევ მიმართა სასამართლოს, რის საფუძველზეც მოხდა ძველი დირექტორის ახლით ჩანაცვლება. ორმა ინსტანციამ უარი თქვა მისი ახალი სარჩელის დაკმაყოფილებაზე, თითქოს ეს გადაწყვეტილება კომერციული საიდუმლო იყო. თუმცა, უკვე წელს, თებერვალში, უზენაესმა სასამართლომ დადგინებულ მიუთითა, რომ გოგი ჯაოშვილის განთავისუფლებისა და კირცხაიას დანიშვნის არც ერთი დოკუმენტი არ იქმნებოდა. ეს კი ნიშნავს, რომ ის თანამდებობის ბოროტად გა-

# რთველოში პრუნდება

მოყენებით ჩამოაშორეს საქმეს და მიაყენეს ფინანსური ზარალი, 4 წლის სახელფასო დავალიანების სახით.

- გამოდის, რომ გოგი ჯაოშვილს ამ თანამდებობაზე აღდგენის სამართლებრივი საფუძველი აქვს. თუმცა, ერთი მეორეს არ გამოირჩევა.

- ამ ეტაპზე ის პროკურატურას სთხოვს, მომხდარს სამართლებრივი შეფასება მისცეს, რა თქმა უნდა, გამოძიების საფუძველზე.

- მთანმინდის პარკთან დაკავშირებული ისტორია გასაგებია. მაგრამ რა მოხდა „იმედის“ შემთხვევაში? საქართველოდან გაქცევამდე მან განაცხადა, რომ ტელევიზიის დათმობის საქმეში ჯოზეფ ქეის ხელი ერია...

- ქეის ის მოსკოვიდან იცნობდა და იცოდა, რომ ის ბადრი პატარკაციშვილის ახლო ნათესავი იყო. 2007 წლის მოვლენების შემდეგ, უკვე მოგახსენეთ, რომ გოგი ჯაოშვილის სააკაშვილის ხელისუფლება ძალიან ავიწროებდა. ამ ფონზე, ბატონი ბადრის გარდაცვალებიდან სულ ცოტა ხანში ქეის საქართველოში ჩამოვიდა და გოგი ჯაოშვილს პრობლემების მოგვარება ასეთი გზით შესთავაზა: მას უნდა გადაეფორმებინა მისი წილი, ქეის ამ წილს გადასცემდა სამთავრობო წრეებს და „ტელეიმედის“ დათმობა მოხდებოდა მხოლოდ 5

წლით. იქვე დაარწმუნა, რომ მას პირადი საუბარი ჰქონდა პრეზიდენტთანაც და ამ გზით მოხერხდებოდა ტერორის დასრულება. ჯაოშვილმა ის ნოტარიუსში წაიყვანა იმისთვის, რომ დამტკიცებინა ამ წინადადების აბსურდულობა, რადგან წილის გასხვისების შემთხვევაში მას აქციები ჯერ სხვა აქციონერებისთვის უნდა შეეთავაზებინა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებდა მესამე პირისთვის მის მიყიდვას. 2008 წლის 19 თებერვალს სანოტარო ბიუროში მათ 10-12 სამოქალაქო ფორმირი სამართალდამცველი დახვდათ, მათ შორის თბილისის საგადასახადო პოლიციის უფროსი ჯაფარიძე და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები: კოტე ყიფიანი და ლევან გელოვანი. სწორედ მათ აიძულეს ის, ხელი მოეწერა აქციების გასხვისების აქტზე. იქვე წარმოადგინეს მათ ფორმებზე ყადაღების მოხსნის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებები.

- ეს იძულება რაში გამოიხატებოდა?

- ამას, ალბათ, მოგვიანებით, თავად ბატონი გოგი უფრო დანერვილებით გაიამბობთ...

- ამ იძულებას ქეის ესწრებოდა?

- ის თითქოსდა პრეზიდენტს უნდა შეხვედროდა, ადრე წავიდა სანოტარო ბიუროდან. როდესაც ღამით გოგი ჯაოშვილი მას დაუკავშირდა,

## დაიჭერს თუ არა პროკურატურა მამუკა ახვლედიანს?



## დაბრუნდება თუ არა ოლიგარქის ყოფილი პარტნიორი მთანმინდის პარკის დირექტორად?

# EXCLUSIVE

ჯოზეფ ქეიმ უთხრა, რომ ის უკვე აეროპორტში იყო და ლონდონში მიფრინავდა. სწორედ მის შესახებ რად ნასულ ჯაოშვილს ამოაყოფინეს თავი ფინანსურ პოლიციაში.

- როგორ?

- როგორც თავად აღნიშნავს, მას სისტემატურად უთვალთვალებდნენ და დაჰყვებოდნენ მანქანებით. როდესაც ის აეროპორტისკენ დაიძრა, რამდენიმე მანქანა აედევნა. გააჩერეს და სთხოვეს ვიღაც „უფროსობას“ დალოდებოდა. რამდენიმე წუთში მის მანქანაში უცხო პირები ჩასხდნენ და ვაკისკენ წასვლა უბრძანეს. ასე მოხვდა ფინანსურ პოლიციაში, კაბინეტში, რომლის კარზეც დავით ქარსელაძე ეწერა (ფინანსური პოლიციის შეფი. - მ.წ.). კაბინეტში ოცამდე თანამშრომელი დახვდა. დაიწყო მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, რათა დაენერა განცხადება „ჯეი-ემ-ვისა“ და „ი-მე-დიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობიდან გადადგომის თაობაზე. ეს ფსიქოლოგიური ზეწოლა მოგვიანებით უფრო მეტად დაამძიმა თავად ქარსელაძის გამოჩენამ. ასე გრძელდებოდა დღის 7 საათამდე.

- საბოლოოდ ის მაინც გადადგარა?

- ის იქ განხორციელებული მუქარისა და ტერორის ფონზე დარწმუნდა, რომ მათ შეეძლოთ, ნებისმიერი პროვოკაცია მოეწყობათ მისი ვაჟისთვის, რომელიც გარეთ ელოდა. მხოლოდ ამის შემდეგ დასთანხმდა გადადგომაზე.

- მახსოვს, გოგი ჯაოშვილი საზღვრამდე სოზარ სუბარმა და ყურნალისტებმა მიაცილეს. რაში სჭირდებოდა მას ამის გაკეთება?

- მას კუდი არ აძლევდა ქვეყნის დატოვების უფლებას და ემუქრებოდნენ, რომ, თუ წასვლას ეცდებოდა, დააკავებდნენ.

- რაც უნდოდათ, ყველაფერს მი-

ვმჯდომარეობიდან გადადგომის თაობაზე. ეს ფსიქოლოგიური ზეწოლა მოგვიანებით უფრო მეტად დაამძიმა თავად ქარსელაძის გამოჩენამ. ასე გრძელდებოდა დღის 7 საათამდე.

- საბოლოოდ ის მაინც გადადგარა?

- ის იქ განხორციელებული მუქარისა და ტერორის ფონზე დარწმუნდა, რომ მათ შეეძლოთ, ნებისმიერი პროვოკაცია მოეწყობათ მისი ვაჟისთვის, რომელიც გარეთ ელოდა. მხოლოდ ამის შემდეგ დასთანხმდა გადადგომაზე.

- მახსოვს, გოგი ჯაოშვილი საზღვრამდე სოზარ სუბარმა და ყურნალისტებმა მიაცილეს. რაში სჭირდებოდა მას ამის გაკეთება?

- მას კუდი არ აძლევდა ქვეყნის დატოვების უფლებას და ემუქრებოდნენ, რომ, თუ წასვლას ეცდებოდა, დააკავებდნენ.

- რაც უნდოდათ, ყველაფერს მი-

ვმჯდომარეობიდან გადადგომის თაობაზე. ეს ფსიქოლოგიური ზეწოლა მოგვიანებით უფრო მეტად დაამძიმა თავად ქარსელაძის გამოჩენამ. ასე გრძელდებოდა დღის 7 საათამდე.

- საბოლოოდ ის მაინც გადადგარა?

- ის იქ განხორციელებული მუქარისა და ტერორის ფონზე დარწმუნდა, რომ მათ შეეძლოთ, ნებისმიერი პროვოკაცია მოეწყობათ მისი ვაჟისთვის, რომელიც გარეთ ელოდა. მხოლოდ ამის შემდეგ დასთანხმდა გადადგომაზე.

- მახსოვს, გოგი ჯაოშვილი საზღვრამდე სოზარ სუბარმა და ყურნალისტებმა მიაცილეს. რაში სჭირდებოდა მას ამის გაკეთება?

- მას კუდი არ აძლევდა ქვეყნის დატოვების უფლებას და ემუქრებოდნენ, რომ, თუ წასვლას ეცდებოდა, დააკავებდნენ.

- რაც უნდოდათ, ყველაფერს მი-



„**9 ოქტომბერს გაფორმდა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც დაინიშნა ახალი დირექტორი, გიორგი პირცხაია, რომელიც, რომორც მოგვიანებით გაირკვა, გიბი უგულავასთან მუშაობდა დაცვაში და იყო მისი მძღოლი...**“

აღნიშნა და საქართველოში ის რაში სჭირდებოდა?

- ის ბოლო მომენტამდე საშიში იყო წინა ხელისუფლებისთვის, რადგან საკმარის დიდ და მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა. საქართველოში მისი გაკონტროლება უფრო ადვილი იქნებოდა. თუმცა, საზღვარგარეთაც არ ანებებდნენ თავს. 2011 წელს მთავარი პროკურორი, ზოდელავა ცდილობდა მოლაპარაკებას გოგი ჯაოშვილთან, რომ მას ოფიციალურად ეთქვა უარი „ტელეიმედზე“ და ეს დოკუმენტურად დაედასტურებინა. მაგრამ ეს მოლაპარაკება არ შედგა.

- მაგრამ მოლაპარაკება მოხერხდა პატარკაციშვილის ქერივთან...

- ეს ცალკე მსჯელობის საგანია. რა მოხდა რეალურად, ამის შესახებ საზოგადოება მოგვიანებით შეიტყობს.

არადა, სწორედ იმ პერიოდისთვის გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქალბატონმა ინა გუდავაძემ ტელევიზია მეტალურგიული ქარხნის, მთანმინდის პარკისა და სხვა ქონების აქციების დაბრუნების სანაცვლოდ დათმო.

როგორც „პრაიმტიმის“ გარკვევა, გოგი ჯაოშვილმა ცოტა ხნის წინ საქართველოს პროკურატურასაც მიმართა განცხადებით, სადაც სწორედ ის თემბია განხილული, რომლის შესახებაც მკითხველს მის ადვოკატთან საუბრით ვაუწყებთ. ბადრი პატარკაციშვილის ყოფილი პარტნიორი და მეგობარი პროკურატურას გამოძიების დაწყებას სთხოვს.

„მისი მიზანი ამ ეტაპზე არის, რომ გაირკვეს, რა ქვედინებებს ჰქონდა ადგილი „იმედთან“ დაკავშირებულ იმ სამ ისტორიაში, რომელსაც, ერთი მხრივ, გოგი ჯაოშვილი, შემდეგ ჯოზეფ ქეის და ბოლოს „ოჯახისთვის დაბრუნება“ ჰქვია.“ - აცხადებს „პრაიმტიმის“ საუბრისას გოგი ჯაოშვილის ადვოკატი ბესარიონ ქარცივაძე.

დაბოლოს, როგორც შევიტყვეთ, გოგი ჯაოშვილი საქართველოში სულ მალე დაბრუნდება და პატარკაციშვილის გარშემო არსებულ აქამდე დახურულ თემებს დიდი ალბათობით ტაბუ აეხსნება.



**ჯანდაცვის სამინისტრო მუშაობის მომდევნო ეტაპზე გადადის. პირველი ივლისიდან უმწეოთათვის სოციალური დახმარება ორმაგდება. საყოველთაო დაზღვევის პაკეტი კი, უკვე სამ კვირაში, გულის ოპერაციების დაფინანსებას ჩაიღებს. რას მოიცავს საყოველთაო დაზღვევის მეორე ეტაპი, რა კონტროლს აწესებს სახელმწიფო მედიკამენტებზე, რა ცვლილებები იგეგმება უწყებაში და როგორ აპირებს მთავრობა ბოლო პერიოდში ზავებზე გახშირებულ სიკვდილთან ბრძოლას – ამ საკითხზე „პრაიმტიმე“ ჯანდაცვის მინისტრს, დავით სერგეენკოს, ესაუბრა.**

**– ბატონო დავით, საუბარი მინდა დავიწყო ორი დღის წინ, სიღნაღის რაიონში მომხდარი ფაქტით, როდესაც ნაგავსაყრელზე ნაპოვნი მედიკამენტების მიღების შედეგად 5 წლის ბავშვი გარდაიცვალა. ბოლო პერიოდში, უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც სოციალურად დაუცველი ოჯახის მცირეწლოვანი წევრი იღუპება – ეს ხომ არ იქნება თქვენთვის სიგნალი, რომ ამ პრობლემისადმი სახელმწიფოს მიდგომის გადახედვა მოხდება.**

**დავით სერგეენკო:** „ეს, ალბათ, ყველაზე მთავარი საკითხია, რაც საქართველოს მნიშვნელოვან ცვლილებებს და გარემოებს ეხება. მე გეტყვით რას ვგეგმავთ და რის გაკეთებას ვაპირებთ – პირველი ის, რომ იანვარში ჩვენ შევექმნით დედათა და ბავშვთა საკითხების საბჭო. ამ საბჭოს ყველა იმ საკითხის განხილვა დაევალება, რაც დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობას ეხება, რა თქმა უნდა, სიკვდილიანობის შემთხვევაში დეტალურად შეისწავლება თითოეული შემთხვევა. ასევე, ჩვენ შევცვალეთ ინფორმაციის ოპერატიული მონიტორინგის სისტემა, რომელიც მანამდე არ იყო მოქნილი და მონაცემების აღება ხდებოდა, თვის ბოლოს, საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზიდან. ახლა, უკვე შემთხვევიდან ერთი საათის განმავლობაში მოდის ინფორმაცია, მომდის პირადად მე, ელექტრონულ ფოსტაზე, მოდის საგანგებო მდგომარეობის დეპარტამენტი, ასევე ჯანდაცვის დეპარტამენტი და 24 საათის განმავლობაში მოდის დოკუმენტაცია. პირველი – იმისთვის, რომ გვეზრუნა ამ პრობლემის მოგვარებაზე, ვეცადეთ გაგვეყო რეალური სურათი, რა ხდება ამ მიმართულებით. აღმოჩნდა, რომ დინამიკა რასაც გვაჩვენებს, ახალი მეთოდით მიღებული სიკვდილიანობის მონაცემები, შეიძლება განსხვავდებოდეს აქამდე არსებული სტატისტიკისგან, რომელიც ასევე ძალიან იყო. წელსნაგამდე საქართველოში იღუპება 700-მდე ბავშვი. ძალიან საშინაოა და საჭიროა მაღალი ციფრია. კიდევ ერთი ნაბიჯი, რაც ჩვენ გადავდგით, არის ის, რომ ამ საკითხში ყველაზე უფრო კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაცია, გავროს ბავშვთა დაცვის ფონდი ჩაერთო ამ საკითხში. მათთან უკვე გაავფორმეთ მეორხანდელში და ახლა, 11 ივნისს არის მაღალი სამთავრობო დონის შეხვედრა და დავიწყებთ ერთობლივ პროექტს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას. ბავშვთა ჯანმრთელობა არ არის მხოლოდ სამედიცინო დანერგვა, ეს არის სწორი კვება, სწორი აღზრდა, სწორი გარემო, უამრავი ფაქტორია... ყოველდღე ჩემს საფოსტო ყუთში შემოდის რამდენიმე ასეთი შემთხვევა გარდაცვალებაზე და თითოეულს ვსწავლობთ.“

**– როდის იგეგმება უმწეოთათვის შემწეობის გაზრდა?**

– ეს, უკვე სამ კვირაში, პირველი ივლისიდან განხორციელდება, ისე, როგორც გაცხადებული იყო. მაგალითად, ოჯახის პირველ წევრზე ხომ არის 30 ლარი და ყველა მომდევნოზე – 24, პირველი ივლისიდან ეს გაორმაგდება და ოჯახის პირველ წევრზე იქნება 60 ლარი და ყოველ მომდევნოზე 48 ლარი.

**– პრობლემა იყო სოციალურად დაუცველთა ბავშვთა დაკავშირებით, თუ აღმოიფხვრა ეს პრობლემა და რას აკეთებთ ამ მიმართულებით?**

– სოციალურად დაუცველთა ბავშვთა დაკავშირებით ორი სახის პრობლემა იყო. საკუთრივ ის მეთოდოლოგია, რითიც ხდებოდა სარეიტინგო ქულების მინიჭება, არ იყო იდეალური. უნდა აღვნიშნო, რომ ამ მეთოდოლოგიამ უკვე 2009 წელს განიცადა ცვლილებები, მე ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ ვართ ინოვაციორები. ეს არის მეთოდი, რომელსაც სულ დახვეწა სჭირდება. ჩვენ ვფიქრობთ,



**„ბულის ოპერაციაზე, ვეხმარებოდით, ცალკე ფონდით, ცალკე ბიუჯეტით, პირველი ივლისიდან კი ეს შიშვასხალი პაკეტის შემაღლებას უკავშირდება.“**

რომ წლის განმავლობაშიც შეცვლით და კორექტივებს შეიტანთ ამ მეთოდოლოგიაში. ეს არის ერთი თვისობრივი მხარე, ახლა, რაც შეეხება რაოდენობრივ მხარეს – ამ თემის განმავლობაში ჩვენ აღმოვაჩინეთ უამრავი შემთხვევა, როდესაც სისტემა ხარვეზებით მუშაობდა, არასწორად ხდებოდა მონაცემების შეგება. ეს დახმარებები დანიშნული ჰქონდათ ადამიანებს, რომლებსაც არა თუ მაღალი, არამედ ძალიან მაღალი შემოსავლები ჰქონდათ. სამწუხაროდ, ერთეული არ იყო ასეთი შემთხვევა. ახუ, სისტემას ჰქონდა, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი ხარვეზები. მე ვერ ვიტყვი, რომ ყველა ხარვეზი მოგვარებულია, თუმცა ხარვეზების აღმოფხვრა მოხდა, აღმოვაჩინეთ სუსტი ნერვები და ახლა ვმუშაობთ, რომ ეს გამოვსწორდეს.

**– რა კატეგორიის გაეზრდება შემწეობები და როგორ მოხდება ეს, ეტაპობრივად თუ ერთიანად?**

– პირობითი ზღვარი, რომელიც გავლენილია ამ სარეიტინგო ქულებით, კერძოდ, 57 000 ან უფრო მაკლები ქულის მქონე, ეს გავრცელდება მათზე, თუმცა 57 000-დან 100 000 ქულამდე მქონეც დამატებითი ხელშეწყობა ხორციელდება. მხოლოდ თბილისის მოსახლეობის ფარგლებში და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გაფართოვდეს. ეს არ უნდა გამოიხატოს მხოლოდ ციფრებში, რომ მხოლოდ მეტი ფული მივცეთ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ თანხას აუცილებლად თან მივყოლოთ შესაძლებლობები, რომ ეს ადამიანი არ გახდეს მხოლოდ სოციალურ პენსიაზე დამოკიდებული, არამედ მივცეთ მას, რომ დასაქმდეს. რომ უკვე არა ხელგანვდილი იყოს სოციალური დახმარებისთვის, არამედ თვითონ, ღირსეულად შეძლოს ამის მოგვარება. ამ მიმართულებით ჩვენ კიდევ სხვა მოსაზრებებიც გვაქვს. მაგალითად, დაუშვავთ ის, რომ, თუ სოციალური დახმარების მიმღებს შევთავაზებთ კარგად ანაზღაურებადი სამსახური, მაგრამ მან მანინჯ უარი თქვა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ გავეკეთოთ ინიციატივა და ასეთ ადამიანს შეუწყდეს სოციალური დახმარება, იმიტომ რომ ეს უკვე სტრატეგიულად მიუღებელია.

**– ასეთი შეთავაზებები არის?**

– სამსახურის შეთავაზებები, რა თქმა უნდა, იყო, თუმცა როდესაც სთავაზობ ისეთ სამსახურს, რომელიც რამდენიმეჯერ არ აღემატება სოციალურ დახმარებას, ადამიანს უარეყვია, რომ უარი თქვას და დანიშნოს მხოლოდ სოციალური დახმარება. ჩვენ ამ პროექტზე ვმუშაობთ და ვფიქრობთ, რომ ამდენივე თევში საზოგადოებას შევთავაზოთ განსახილველად, რომ არა მხოლოდ ფული მივცეთ, არამედ იმის შესაძლებლობაც, რომ ამ ადამიანმა ღირსეულად იცხოვროს.

**– საზოგადოებრივი იყო საუბარი და მოლოდინიც, რომ უმუშევართათვის სოციალური დახმარებები დაინიშნებოდა, რამდენად დგას ეს დღის წესრიგი?**

– ხანგრძლივ პერსპექტივაში უმუშევრობის შემწეობა ეს არის ცივილური პრობლის კოდექსისა და პრობლემის ურთიერთობების განუყოფელი ნაწილი, ოღონდ, პირველი დაშვება, რომ ეს შემწეობა აქტიურდება იმ შემთხვევაში თუ ადამიანმა სამსახური დაკარგა და მქონეობის მიზეზით, ვთქვათ, მოხდა სანარმოს ლიკვიდაცია, ან კადრების მასობრივი შემცირება. იმისთვის, რომ ეს განხორციელდეს, პირველი ნაბიჯი არის, რომ ადამიანებს მივცეთ დასაქმების საშუალება, ანუ არა შემწეობა, არამედ დასაქმება და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ჩვენ ვისაუბროთ უმუშევრობის შემწეობაზე. იმიტომ რომ, თუ ჩვენ დასაქმებამდე გავაქტიურებთ ეს პროექტი, ეს, უბრალოდ, სტატისტიკის ნაყვანს ქვეყანას. სტიმული უნდა იყოს დასაქმება და არა უმუშევრობისთვის შემწეობის მიღება.

**– რაც შეეხება საყოველთაო დაზღვევის თემას, საბოლოოდ, როგორ გადაწყდა, რა ურთიერთობა ექნება სახელმწიფოს საჯარო დაზღვევასთან, როგორ მოხდება რეგულირება. თქვენ თქვით, რომ ეს არის ნარმატიული პროექტი, თუმცა მინიმუმ არსებულ ხარვეზებზეც, თუ გამოვსწორდა ეს ხარვეზები?**

– ძირითადად, ინფორმაციის გაცვლისა და აქტივობის ხარვეზები იყო. თავიდან ეს იყო საგნობრივი რაოდენობა, ეს უკვე მოგვარდა და ახლა შეიძლება მხოლოდ ერთი შემთხვევა იყოს. პრაქტიკულად ეს თემა მოგვარებულია. რაც შეეხება ხანგრძლივ პერსპექტივაში როგორ განვითარდება ეს ყველაფერი, დავიწყებ სამედიცინო დანერგვების მიხედვით. თავისთავად არანაირი საკითხი არ დგას,

რომ სახელმწიფო მმართველობაში იქნება თუ კერძო მმართველობაში. პრივილეგია არ ნარმოადგენს, იყოს კერძო მმართველობაში, ოღონდ უზრუნველყოს იმ სარისხისა და იმ ხარვეზების სერვისების მიწოდება, რასაც სახელმწიფო თავის ქვეყანაში აწესებს. ახუ ასეთი რაიმე მიმდინარეობა და სტრატეგია, რომ კერძო კლინიკები წამოვიღოთ სახელმწიფო მმართველობაში, ასეთი რამ არ არსებობს. თუმცა ნებისმიერ ქვეყანას და ჯანდაცვას აქვს თავისი სტრატეგიული მიმართულებები და ძირითადად, ეს არის ის მიმართულებები, რომლებმაც შეიძლება მოსახლეობას შეუქმნას საფრთხე. ეს არის ინფექციური და გადამდები დაავადებები, რომლებიც მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფოს მართვაში დარჩეს, როგორც პროგრამულად, ასევე, ინფრასტრუქტურულად და გამოჩნდა ახალი რისკი, როცა საუბარია გადაუდებელი, კრიტიკული მდგომარეობების მართვაზე, რამდენიმე წელსნაგამდე შეიძლება არ აღმოჩნდეს ამისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა საქართველოში. მოგესხებათ, რომ სამედიცინო დანერგვების 90%-ზე მეტი არის გასხვისებული. მესაკუთრეებს აქვთ ვალდებულება 5-7-10 წლის განმავლობაში შეინარჩუნონ სამედიცინო პროფილი და შემდეგ თავისი შეხედულებისამებრ შეცვალონ. გადაუდებელი დახმარება, როგორც წესი, ბიზნესის კუთხით არის წამგებიანი და ხარვეზები ბალანსდება მომგებიანი მიმართულებიდან. ჩვენ კერძო კომპანიებს ვერ მივუთითებთ რა დარგები განავითარონ, მაგრამ ამავე დროს ვალდებულები ვართ, რომ ვიზრუნოთ ჩვენ მოქალაქეებზე. შესაბამისად, ინფექციურ და გადამდებ დაავადებებთან ერთად, ჩვენ ვიზრუნებთ იმაზე, რომ გადაუდებელი, კრიტიკული მდგომარეობების მართვის საკმარის ინფრასტრუქტურა იყოს სახელმწიფოს მმართველობის ხელში.

**– ექსპერტები გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ საყოველთაო დაზღვევით, რომელიც ძალიან იაფია, სახელმწიფო გახდება მონოპოლისტი ამ ბაზარზე, რაც კერძო სადაზღვევო კომპანიებს გააკოტრებს...**

– ერთი შეხედვით, იქნება ეს ერთი შეხედვა სუბიექტური თუ ზედაპირული, ჩანს ისე, რომ სახელმწიფო ხელს უშლის კერძო ბიზნესის, კერძოდ, სადაზღვევო კომპანიების განვითარებას. სინამდვილეში ეს ასე არ არის და რეალობისგან შორს დგას. შედარებითთვის გეტყვით, მაგალითად, კერძო ინვესტირება გადაწყვიტა, რომ გახსნას ვთქვათ, ლიმონათის ქარხანა, სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ამაში ხელს არ შეუშლის და პირიქით, ხელს შეუწყობს, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში ეს არის სახელმწიფო შეკვეთა, ახუ სახელმწიფო იხდის იმაზე ფულს, რომ ამ ქარხანამ ხარისხიანი ლიმონათი აწარმოოს, რადგან მოსახლეობა დამოკიდებულია ამ ლიმონათზე და სხვა არჩევანი არა აქვს. ამიტომ ჩვენ ვხდებით უკვე პასუხისმგებლები, რომ ჩვენმა მოსახლეობამ ეს სერვისები მიიღოს. ახუ ამ შემთხვევაში კერძო სადაზღვევო კომპანიები არაინ სახელმწიფო შეკვეთის განმხორციელებლები და არა იზოლირებული კერძო ბიზნესის ერთეულები. კერძო ბიზნესის ერთეულები ისინი არიან კორპორაციულ დაზღვევაში, როდესაც ადამიანები თავის ფულს, თავისი სურვილით უფიქრად მათ და ისინი მთლიანად მართავენ ამ სფეროს და არანაირი შეხება ამაზე არ გვაქვს. ჩვენ ვსაუბრობთ სახელმწიფო ფუნდის ადმინისტრატორზე, სახელმწიფოს შეკვეთის განმხორციელებელზე. ეს არ არის კერძო ბიზნესის ჩახშობა, ეს არის რუწყვა მენს მოქალაქეებზე. კერძო ბიზნესი მათ შეუძლიათ ძალიან წარმატებულად განავითარონ კორპორაციულ დაზღვევაში, არა სახელმწიფოს ფულით, არამედ იმ ფულით, რასაც თვითონ მათი სერვისის მსურველი გადაუხდის.

**– იყო დაპირება, რომ დაზღვევით მოხდებოდა ისეთი ოპერაციების დაფინანსება, როგორიცაა გულის ოპერაციები, ამ მიმართულებით რა ხდება?**

– სამ კვირაში ცეცხ მოხდება, ახუ პირველი ივლისიდან, როდესაც მეორე დიდი, უნივერსალური ნაბიჯი იგეგმება. პირველი ნაბიჯი გადაიღვა 28 თებერვალს და დაფარა გადაუდებელი მდგომარეობები, თუმცა გულის ოპერაციებს, ჩვენ ვეხმარებოდით, ცალკე ფონდით, ცალკე ბიუჯეტით. პირველი ივლისიდან კი ეს შევა ახალი პაკეტის შემადგენლობაში. ასე რომ, ამას სახელმწიფო დააფინანსებს.

**– იმის გამო, რომ აქ არ არის სათანადო სერვისი, ინკოლოგიურ პაციენტებს ხშირად უცხოეთში უნებთ სამკურნალოდ წასვლა, რაც დიდ ხარვეზთან არის დაკავშირებული.**

**„სტიმული უნდა იყოს დასაქმება და არა უმუშევრობისთვის შემწეობის მიღება“**

## ჯანდაცვის სამინისტრო ბაეროს გაზუმთა დაცვის ფონდთან ერთად ახალ პროექტს ინყებს

# EXCLUSIVE

### „წელიწადში საქართველოში 700-მდე გაზუმის ილუზია. კალიან სამუნაროა და საკმაოდ მაღალი ციფრია“



ირებული; როგორია ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს მონაწილეობა და კიდევ ერთი, როდის იქნება საქართველოში შესაძლებელი ხარისხიანი დიაგნოსტიკა, რომ ამისთვისაც უცხოეთის კლინიკებს არ მიმართონ ონკოლოგიურმა პაციენტებმა?

– ონკოლოგიაზე, მთელი ამ წლების განმავლობაში, სახელმწიფო გამოყოფდა გარკვეულ თანხას და ეს თანხა არ არის ცოტა. ის საკმარისია იმისთვის, რომ ონკოლოგიური სერვისები საქართველოში კარგად იყოს განვითარებული. ამ თანხას უბრალოდ, სწორი ადმინისტრირება და სწორი განაწილება სჭირდება. თანხის არსებობა აუცილებელია, მაგრამ მისი მართვა არანაკლებ მნიშვნელოვანია.

გეგმვებით, რომ გვაქვს პრობლემა, თუნდაც ის, რომ ჩვენ ვისაც საზღვარგარეთ ვაფინანსებთ, ამით ყოველ თვე-ნახევარი მილიონ მარტო ჩვენგან ვადის საზღვარგარეთ და აქედან 90% ონკოლოგიური პაციენტებია, რომლებიც მიდიან არა მარტო სამკურნალოდ, არამედ დიაგნოსტიკისთვისაც. ჩვენ ახლა, ერთი თვის წინ, დავინყეთ პირველი მოლაპარაკება ჰარვარდის სამედიცინო სკოლის დანა ფარბერის სიმსივნის ინსტიტუტთან, რომელიც არის ფუძემდებელი, სათაო დაწესებულება მთელს მსოფლიოში. პირველი, ყველაზე მწვავე რაც იყო, ეს არის ბავშვთა ონკოპათოლოგია და ფიქრობ, რომ ეს პროექტი წარმატებულად განხორციელდება მათი პატრონაჟით, მათი ამ დარგის სწორი დაგეგმვებით და სახელმწიფოს მონაწილეობით; მე ვფიქრობ, რომ ეს წარმატებული პროექტი იქნება და წლის ბოლოდან უკვე პირველ შედეგებს დაფინანსებთ.

მეორე – ყველაზე სერიოზული პრობლემა იყო და ჯერჯერობით კვალავაც რჩება ყველაზე მძლავრ დაწესებულებაში – საქართველოს ონკოცენტრში, რომელიც ლიონის ტბაზე მდებარეობს. ძალიან დიდი ალბათობით, ონკოცენტრი ისევ სახელმწიფო მართვაში დაბრუნდება და სახელმწიფო განხორციელებს იმ სტრატეგიას, რაც არის საჭირო ქვეყნისთვის და არა რაღაც კერძო ინტერესისათვის.

რაც შეეხება მესამე მიმართულებას, არც ერთ ქვეყანას არ აქვს იმის საშუალება, რომ ე.წ. პიკური მოთხოვნები, ფინანსური მოთხოვნები უზრუნველყოს. საუბარია იმეოთ, მაგრამ ძალიან ხარჯიან ოპერაციებზე, როგორც არის ძვლის ტვინის და ლეიოზანი უჯრედების გადანერგვა. მაგალითად, საფრანგეთი არის ლიდერი ისეთი ფონდის შექმნაში, რომელიც არის კერძო და სახელმწიფო ფონდების თანამშრომლობის, სოლიდარობის ფონდი. მას აქვს 12 ინოვაციური დაფინანსების მექანიზმი და მისი თვისება სწორედ ეს არის, რომ უზრუნველყოს თანხების დაგროვება და პიკური საჭიროებების დაფინანსება. მე ვფიქრობ, რომ ამ ფონდის შექმნაც არ არის მთებს მიღმა, ჩვენ უკვე გვაქვს ძირითადი შეთანხმებები და დეტალებს გავდევრთ ეკონომიკურ ბლოკთან. მოუხდევად იმისა, რომ ეს ყველაზე რთული მიმართულება, მე პირადად, ძალიან ოპტიმისტურად ვუყურებ. განსხვავებით სხვა მიმართულებებისგან ჯანდაცვაში, სადაც ერთი აუნერგელი სამუშაო ჩასატარებელი, მაგალითად, პირველადი ჯანდაცვა, სასწრაფო დახმარება და ა.შ.

– რა სახის პრობლემებია ამ მიმართულებით?

– პრობლემა არის ის, რომ მთლიანად განსაკუთრებით პროექტების ადმინისტრირება გადაეცა კერძო სადაზღვევო კომპანიებს, ეს თავისთავად არაფერია პრობლემა არ იქნებოდა, რომ სახელმწიფოს დაეტოვებინა ორი მთავარი ბერკეტი, ან თუნდაც ერთი – ხარისხის კონტროლი, რომელიც არ არსებობს და ახლა ვინცები ამის შექმნას. მოგეხსენებათ, სადაზღვევო კომპანია არის ყოველთვის მოგებაზე ორიენტირებული, ანუ არის ხარვეზი რაღაც რაღაცები და არის იაფიანიც. როდესაც სახელმწიფო ან კლინიკა ხარ, ვალდებული ხარ, რომ ხარვეზი ქვეყნიდან განახორციელო ყოველთვის, კერძო სადაზღვევო კომპანია კი ეცდება ყოველთვის იაფიანი ტექნოლოგია განახორციელოს. ამის შედეგები უკვე მივხვდით. ის რომ ვაქცინებით აცრების პროცესები მკვეთრად არის ჩამოსული ქვემოთ, მე არ ვიტყვი, რომ ეს ნორმალსაა ავითქება ამის შედეგი იყო, უფრო წინა ფეხებზე ჰქონდა ამას, მაგრამ ამ ვარდნის შედეგებს ჩვენ რამდენიმე თვეში დავიინახავთ, ვნახათ რა დროში... ანუ მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ არ დაიტოვა ხარისხის კონტროლის ბერკეტი და დარჩა ამორფული ადმინისტრაციული ორგანოდ. ამან გამოიწვია ის, რომ პირველადი ჯანდაცვა საერთოდ სტიქიური გახდა. ერთადერთი მოთხოვნა პირველადი ჯანდაცვის ექიმებისა არის – მოგვცით მეტი ფული. როგორც კი ვინცები საუბარს იმაზე, რომ კი, რა თქმა უნდა, მოგვცით, ოღონდ ხარისხიანი მომსახურება, ბინაზე მისვლა, პატრონაჟი უნდა ხდებოდეს, აქ უკვე ვანყვებით დიდ კედელს – რას ითხოვთ ჩვენგან ასეთი თანხითო. პირველადი ჯანდაცვა, დედათა და ბავშვთა საკითხების მერე, ალბათ, ყველაზე დიდი პრობლემა ჩამოხვდება. პრობლემატურია იგივე სასწრაფო დახმარება, რომელიც საერთოდ დიფიულური სისტემა შეიქმნა, არაბარი მართვა არ არის. ეს არის ცალკეული სტრუქტურები,

რომელსაც აქვს ორნაროიანი დაფინანსება – კერძო სადაზღვევო და სახელმწიფო. აქ სახელმწიფოს კონტროლი საერთოდ წულობს. თბილისის სასწრაფოში ახლა რაღაცები შეეცალეთ, რაიონების სასწრაფოებში სრული უკონტროლობაა. ახლა დაგასრულეთ აღწერა ავტოპარკებისა და კადრების... ახლა ვცდილობთ, რომ ასეთი სტრატეგიული მიმართულება, რაც არის სასწრაფო დახმარება და პირველადი ჯანდაცვა, რაღაც კონტროლს დაეცემდებაროს.

– ინვესტიური საავადმყოფოზე მინდა გკითხოთ, იყო ბოლოს ერთი განხილვა-ბუიტი შემიხვევა, როდესაც ერთ-ერთ ცნობილ მსახიობს ინვესტიურში მომსახურების სერვისთან და პაციენტთან დასაქმებულებში პრობლემები შეექმნა. გაქვთ ინფორმაცია, რა ხდება ინვესტიურ საავადმყოფოში?

– ამ შემთხვევის შესახებ ვიცი, მე მოვიძიე ინფორმაცია და მთლად ასე დრამატულად არ იყო სიტუაცია, როგორც ითქვა, მაგრამ ეს არის ზუსტად ერთ-ერთი ნაწილი იმისა, რაზეც მე ცოტა ხნის წინ ვისაუბრე. ეს არის ხარისხის კონტროლის ნაწილი, ანუ ხარისხი არ არის მართვად კარგად აღჭურვილი და გარემონტებული კლინიკა და არ არის ექიმი, რომელსაც კარგი უნიფორმა აცვია. ხარისხის კონტროლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი არის პაციენტის კმაყოფილების ხარისხი, რომელსაც თავის ინსტრუმენტები აქვს საზომი და ნორმალურ სისტემაში სადაც ხარისხის კონტროლი მოქმედებს, ყველა დაწესებულება ვალდებულია, რომ ეს მაქსიმუმ ამოქმედებული ჰქონდეს, ანუ ზრუნავდეს იმაზე, რომ არამარტო კარგი სერვისი გაუწიოს, ანუ ავადმყოფი მოარჩინოს, არამედ სწორად გაწუმარტოს რა ხდება, შეუქმნას მაქსიმალური კომფორტი, მაქსიმალური ინფორმირება,

ულობა, რას უკეთებს, რა გამოსავალი აქვს. ხარისხის ტოტალური მენეჯმენტი, ბევრ სხვა მიმართულებასთან ერთად, ამ საკითხს მოგვარებასაც მოიცავს. სხვა მხრივ, ეს დამოკიდებული იქნება ინდივიდებზე, ერთ დღეს მორიგე ერთი ექთანია, კარგი ოჯახის შვილია და კარგად მოექცა, მეორე დღეს სხვა მორიგეობს და სხვანაირად მოექცა. აი, ამის სისტემაში მოყვანას ვცდილობთ ჩვენ.

– რაც შეეხება მედიკამენტების ხარისხსა და ფასს, როგორ კონტროლდება ეს მიმართულება?

– მედიკამენტის ფასი და ხარისხი ზოგადად შეჭიდული ცნებებია და გამოდის ღირებულება. საერთოდ, მიღებულია, რომ მედიკამენტების ხარისხი კონტროლდება ოდეს 5-ნაბიჯიანი სისტემით. პირველი ეს არის, როდესაც აპარატი ჩართდება სანარმოში, ის თვითტესტს გადის, მეორე ეს არის, საკუთრივ სანარმოში არსებული ხარისხის კონტროლის ლაბორატორია, რაც არის საქართველოში... მესამე ეს არის ის, რაც არ კეთდება საქართველოში, ლაბორატორიათა შორის კონტროლი, ანუ ერთი მწარმოებელი უფხავსის მეორეს თავის ნაწარმს და პირიქით. ცვლიან და ჯვარედინად ამოწმებენ. მეოთხე დონე, ეს არის რეფერალური ლაბორატორია საქართველოში და ეს მუშაობს, მედიკამენტების სელექციის თავისი წესი აქვს და ეს არის სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო, სადაც ეს კეთდება და ჩვენ ახლა დავამატეთ მე-5 დონე, ეს არის ე.წ. რეფერენს-ლაბორატორია. ეს არის საერთაშორისო ლაბორატორია, რომელიც სპეციალიზირებული და ლიცენზირებულია სწორედ მედიკამენტების ხარისხის შემოწმებაში. ახლა ვინცები პირველი სინჯების გაგზავნას. რას ნიშნავს საერთოდ მედიკამენტის ხარისხი, პირველი ის არის, რომ ის აქტიური ნივთიერება, რაც მითითებულია,

მართლა იმდენი არის შიგნით, თუ უფრო ნაკლები? მეორე – რამდენად თანაბრად არის განაწილებული ტაბლეტში ან კაფსულაში, რაც ჯერჯერობით აქ არ კეთდება. მესამე – რა არის მინარეგები? კი არის ვთქვით, ის 20 მილიგრამია, მაგრამ დანარჩენი 80 რა არის, რომელიც შესაძლოა, სიცოცხლისთვის საშიშიც იყოს... აქამდე ეს კეთდებოდა, თუმცა კეთდებოდა პირველი, მეორე და მეოთხე დონე და ჩვენ დავამატეთ ახლა მეხუთე და ამით პასუხი გავცემა იმ კითხვებს, რომელიც ძალიან ხშირად გვესმის.

რაც შეეხება ფასებს, ამაზე არის ორი ვექტორი. ერთი ის, რომ კერძო ბიზნესი არის კერძო ბიზნესი, მათ შორის ფარმაცევტიკა და სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ამაში. მეორე მხრივ, ფარმაცევტიკა არის ადამიანის ჯანმრთელობასთან უშუალო შეხებაში მყოფი და უამრავ სახელმწიფოს, როგორც წესი, არიან განვითარებული ქვეყნები, დასავლეთ ევროპა, ამერიკა, მათ გარკვეულ ჩარჩოებში აქვთ მოქცეული რეგულაციები. ჩვენ ვცდილობთ, რომ ეს კონსულტაციებით წავიყვანოთ და არა იმპერატიულად, ფასები და არ დავანსოთ რაღაც ზედა ზღვარი, ანუ უხეშად არ გვიყვანოს რომ გავაკეთოთ, გვინდა ცივილურად, პრეცედენტულად და შეთანხმებულად ვიმოქმედოთ. ასევე, გვინდა ფარმაცევტულ ბაზარზე გავაძლიეროთ კონკურენცია, ხელი შევუწყვიტოთ ახალი მოთამაშების შემოყვანას, რომ კონკურენციამ დააბალანსოს ეს ფასები.

– მარისხიანს დეკრიმინალიზაციის თემაზე მინდა გკითხოთ, როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხზე?

– ამასთან დაკავშირებით არის სამთავრობო კომისია, რომელშიც მინისტრები მონაწილეობენ, მათ შორის მეც. აქ მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში ტერმინი განმარტო – რა არის ლეგალიზაცია და რა

არის დეკრიმინალიზაცია. ლეგალიზაციაა, რომ გაიყიდოს მაღაზიებში. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ერთხელ, როდესაც ამ თემაზე ვისაუბრე, საინფორმაციო წყაროებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ მე პრომოციას ვუკეთებ იმას, რომ მარისხიან მაღაზიაში გაიყიდოს, არადა, ეს ასე არ არის. დეკრიმინალიზაცია არის სასჯელის შემსუბუქება მარისხიანს მომხმარებლებისთვის. ამაზე გამზადებულია საკანონმდებლო პროექტი და ამ ეტაპზე, რისკების შეფასების ფაზას ვადის, ხვალ იდნ რომ დაიწყოს ამან მოქმედება, რა დადებითი მივლენები და რა უარყოფითი. მე მგონი, რომ ეს არ იქნება ხანგრძლივი პროცესი და ალბათ, სულ მალე ნარგულდგენი საზოგადოებას ამ ახალ პროექტს.

– დაბოლოს, თუ იგეგმება სამინისტროში ცვლილებები და რას მოიცავს?

– დიას, იგეგმება, მრავალი მიზნის გამო. ერთი ასეთი ცვლილებების პერიოდი გავიარეთ. ზამთრის პერიოდში რამდენიმე მიმართულების რეორგანიზაცია მოხდა. ახლა ისევ იწყება ახალი ტალღა რეორგანიზაციისა და უფრო მეტიც, ჩვენ, ზაფხულიდან კონკურსის წესით ვინცები თანამშრომლების აყვანას. უკვე კახონი გვაკვალდებულებს, რომ წლის ბოლოდან ყველა თანამშრომელი იყოს კონკურსის წესით მიღებული. ეს პროცესები უკვე დაწყებულია, არა მარტო ამ კონკურსის გამო, არამედ იმის გამო, რომ გამოწვევები იცვლება და სტრუქტურა უნდა მოერგოს ამ ახალ გამოწვევებს, ეს აპირირი არ ნიშნავს, რომ აქამდე ცუდად მუშაობდნენ და ახლა კარგად იმუშავებენ, იცვლება გამოწვევები და იცვლება სტრუქტურა. ეს მიმდინარე პროცესია, რომელიც დიდ დროს დაიკავებს.

## my View მირიან გომოლივილი

„ნაციონალური მოძრაობა“ რამდენიმე დღეში საპრეზიდენტო კანდიდატს დაასახელებს. პარტიის უმრავლესობა მხარს დავით ბაქრაძის კანდიდატურას უჭერს. პარტიის კანდიდატურა კი უმცირესობაში უკვე აღარ განიხილება. პრინციპში, ლოგიკურია, რადგან ბოლო გამოკითხვებით ოპოზიციის ლიდერებს შორის საზოგადოების ყველაზე დიდი მხარდაჭერით სწორედ ბაქრაძე სარგებლობს (48 პროცენტი), ვანო მერაბიშვილის რეიტინგი კი, ბოლო ინფორმაციით, 36 პროცენტს შეადგენდა.

პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატზე, მთავარ კონკურენტებზე და შიდა პარტიულ დაპირისპირებაზე „პრაიმტაიმი“ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს, ნუგზარ წიკლაურს ესაუბრა.

### ნუგზარ წიკლაური:

– პარტიაში არის ასეთი პოზიცია: საპრეზიდენტო არჩევნებზე წარდგენილი იყოს ყველაზე ძლიერი კანდიდატი, ვისაც გამარჯვების უფრო მეტი შანსი და ყველაზე დიდი პოლიტიკური გამოცდილება აქვს. არსებობს კვლე-

ვითი ორგანიზაციების დასკვნები, რეიტინგები, რომლითაც, ცხადია, ვიხელმძღვანელებთ. არის მეორე ვარიანტიც, რომელიც ჩვენი პარტიის სხვადასხვა წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა, ანუ საპრეზიდენტო კანდიდატად ვანო მერაბიშვილიც განიხილებოდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის პარტიის იქნებოდა. ძირითადად ეს ორი პოზიცია დაფიქსირდა, თუმცა პარტიის უდიდესი უმრავლესობა, მათ შორის მეც, მხარს ვუჭერთ იმ მოსაზრებას, რომ საპრეზიდენტო კამპანიაში ჩავერთოთ ძლიერი კანდიდატი. დაპატიმრებული ადამიანის წამოყენება საპრეზიდენტო არჩევნებზე, პრაქტიკულად, წინასწარვე განსაზღვრავს არჩევნების შედეგებს. ეს უფრო გარკვეული ტიპის პოლიტიკური აქცია იქნება, რომელიც წარუმატებლობისთვისაა განწირული. ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებაზე საერთაშორისო აზრი ისედაც კრიტიკულია და საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელება მეტს არაფერს შემატებს ამ საკითხს. სწორად არ მიმაჩნია, რომ ცენტრალური პოლიტიკური მოვლენა – საპრეზიდენტო არჩევნები, ჩვენი პარტიის მხრიდან გაგებული იყოს ისე, როგორც დამხმარე საშუალება სხვა პოლიტიკური აქციისთვის. ასეთია პარტიის დიდი უმრავლესობის პოზიცია.

– „ენდიას“ გა-



## ნაციონალური ამ კვირეში საპრეზიდენტო კანდიდატად დავით ბაქრაძეს დაასახელებენ

მოკითხვებით „ნაციონალური მოძრაობიდან“ ყველაზე რეიტინგული პოლიტიკური ფიგურა მართლაც დავით ბაქრაძეა... ამ კვლევებმა განაპირობა მასზე არჩევანის გაკეთება?

– პოლიტიკური ვითარება და რეიტინგები არის ცვალებადი, მათ შორის პერსონალური რეიტინგები. გეთანხმებით, რომ ბაქრაძეს ჰქონდა ყველაზე მაღალი რეიტინგი „ნაციონალურ მოძრაობაში“, ახლა ველოდებით ძალიან ავტორიტეტული ორგანიზაციის კვლევის შედეგებს, ვნახავთ კვლევის დინამიკას და საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ. დიას, ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება მისი მხარდაჭერის კოეფიციენტი საზოგადოებაში, ასევე ის, რამდენად გამო-

ხატავს ეს ადამიანი „ნაციონალური მოძრაობის“ პრინციპებსა და იდეალებს.

– ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ „ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებულ შიდაპარტიულ დაპირისპირებაზე... პირადად თქვენ მოიაზრებით ახალაიას გუნდში. ამიტომ ხომ არ ხართ წინააღმდეგი ვანო მერაბიშვილის კანდიდატურის?

– ძალიან პრიმიტიულია ასეთი ხმების გავრცელება. უკვე რამდენიმე თვეა, ამ მითითებულ დაპირისპირებაზე მიმდინარეობს საუბარი, რეალურად რამე რომ ყოფილიყო, ეს არ დაიმალებოდა. ზოგადად, ნებისმიერ პარტიაში, ნებისმიერ ორგანიზაციაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ არ არსებობს არც ერთი ცე-

ნტრალური საკითხი, რომელზეც სხვადასხვაგვარი მიდგომაა „ნაციონალური მოძრაობაში“. ჩვენ ვუპირისპირდებით იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ქვეყანაში მოვიდა. ამ თვალსაზრისით, პარტია არის მონოლითური. რაც შეეხება დაპირისპირებას მერაბიშვილსა და ახალაიას შორის, ეს არის გაბუქებული თემა და თქვენი მკითხველი ნამდვილად არ იმსახურებს ასეთი სპეკულაციების მოთხრობას.

– რეიტინგებს რომ დაუბრუნდეთ... ბოლო გამოკითხვებით, „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი მაინცდამაინც სახარბიელო არ გახლავთ... რა გაძლევთ ოპტიმიზმის საფუძველს? ნაგებულ თამაშში ხომ არ შედიხართ?

– ნებისმიერ არჩევნებში პოლიტი-

**„ნებისმიერ პარტიაში, ნებისმიერ ორგანიზაციაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ არ არსებობს არც ერთი ცენტრალური საკითხი, რომელზეც სხვადასხვაგვარი მიდგომაა „ნაციონალურ მოძრაობაში“...“**

# უკონტაქტო ბარათები თიბისის ბანკისგან!

**უკონტაქტო ბარათები**  
გადახდის თანამედროვე ფორმა

☎ 227 27 27 | 📠 + 27 27  
www.tbcbank.ge

**თიბისი ბანკი TBC BANK**



**ამთვის, ვისაც სურს დაზოგოს დრო და გაიმარტივოს სასურველი ნივთისა თუ მომსახურების შეკენა, დღეიდან შეუძლია ისარგებლოს თიბისი ბანკის უკონტაქტო ბარათებით!**

ამიერიდან თიბისი ბანკის ნებისმიერი ვიზა ბარათი - საკრედიტო ან სადებეტო, შეგიძლიათ აქციოთ თქვენთვის ყველაზე კომფორტულ, უკონტაქტო ბარათად!

საჭიროა მხოლოდ ტერმინალზე ბარათის მიახლოება და სასურველი ნივთი თქვენს ხელშია.

ამისათვის, თქვენი ვიზა ბარათი, რომელსაც ყველაზე ხშირად იყენებთ შოფინგისას, უნდა განაახლოთ თიბისი ბანკში, რაც მოგცემთ საშუალებას ყველაზე მარტივად, კომფორტულად და სწრაფად განახორციელოთ გადახდა 700-ზე მეტ სავაჭრო ობიექტში.

უკონტაქტო ბარათების ღირებულება ბარათების არსებული ღირებულების ანალოგიურია.

გარდა ამისა, გახსოვდეთ, რომ გადახდის უკონტაქტო ფორმა არის სამჯერ უფრო სწრაფი ვიდრე ჩვეულებრივი, ტრადიციული ფორმა. ამასთან, თქვენი უკონტაქტო ბარათი გაცილებით უფრო დაცულია, ვიდრე სხვა ნებისმიერი ტიპის ბარათი, ვინაიდან მასთან კონტაქტი მხოლოდ თქვენ გაქვთ!

გადახდის სქემა შემდეგნაირია: მოლარე კრეფს გადასახდელი თანხის ოდენობას ტერმინალზე, რის შემდეგაც თქვენ გჭირდებათ ტერმინალთან ბარათის მხოლოდ მიახლოება.

თუ თქვენს მიერ დახარჯული თანხა 45 ლარს აღემატება, დაგჭირდებათ მხოლოდ პინ კოდის მითითება ტერმინალზე. უკონტაქტო ბარათით გადახდა შესა-

ძლებელია 700-ზე მეტ სავაჭრო ობიექტში.

ისარგებლეთ თიბისი ბანკის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, უკონტაქტო ბარათებით.

**გახსოვდეთ, რომ უკონტაქტო ბარათები დაზოგავს თქვენს დროს და გაიმარტივებთ ცხოვრებას - უკონტაქტო გადახდა გადახდის თანამედროვე ფორმა!**



**„სრულიად გამორიცხულია მარგველაშვილის განხილვა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურად. ის არის პირადად ბიძინა ივანიშვილის დანაშაულის ვიციტი, რომ თვით „ქართულ ოცნებაშიც“ კი არ არსებობს მისდამი ერთგვაროვანი დამოკიდებულება“**



### მას კონკურენტად?

– იყო ილუზიები, რომ არსებობს გზა, რომლითაც ჩვენ მოვანერგებთ ურთიერთობებს რუსეთთან. ამ ილუზიებს კვებავდა თავად ბიძინა ივანიშვილი, თუმცა ბოლო პერიოდში რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯებმა, მცოცავმა ოკუპაციამ ყველას ნათლად დაანახა, რომ რუსეთისთვის მნიშვნელოვანი არაა, სააკაშვილი იქნება საქართველოს ხელისუფალი თუ ივანიშვილი, მისთვის მნიშვნელოვანია, საქართველო არ შედგეს თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ. ამას კარგად აცნობიერებს ქართული საზოგადოება და არა მგონია, ამ საზოგადოებაში ისეთ პრორუსულ ბურჟუაზიას, რომელიცაა ქალბატონი ბურჟუაზი, რაიმე სახის მხარდაჭერა ჰქონდეთ. ნელ-ნელა ილუზიები იმსხვრევა.

### – ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ძირითადი ბრძოლა იქნება „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის?

– ეს არის სრულიად ცხადი. მე-სამე პოლიტიკურ ძალას მე ვერ ვხედავ ქართულ რეალობაში. შესაძლოა, ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ თვითონ სახელისუფლებო კოალიციას ეკლექტური ჯგუფი და ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები აქვთ. იქ არიან ადამიანები, რომლებსაც ამკარად გამოკვეთილი პრორუსული აზროვნება აქვთ, არიან ისეთებიც, რომლებიც პროდასავლურ განვითარებაზე აპელირებენ. სამწუხაროდ, პარლამენტსგარეთ აღარ არიან პოლიტიკური ძალები, რომლებსაც შეეძლებათ ამინდის შექმნა ქართულ პოლიტიკაში.

### – საპრეზიდენტო სურვილის გაცხადების შემდეგ ირაკლი ალასანიას ვიცე-პრემიერის პოსტიდან დააქვეითეს... რა მომავალს უწინასწარმეტყველებთ მას კოალიციის მიგნით?

– ალასანიამ, პირველ რიგში, უნდა განსაზღვროს, რა სურს. გასაგებია, მას და მის თანაპარტიელებს მაღალი პოსტები უკავიათ, მაგრამ მათ, ადრე თუ გვიან, მოუწევთ არჩევანის გაკეთება – ან დათმონ ეს პოსტები, განაცხადონ, რომ ფუნდამენტურად არ ეთანხმებიან იმ კურსს, რომელიც ადრეული აქვს ბიძინა ივანიშვილს, ან დარჩენენ იმ ეკლექტური გაერთიანების წევრებად, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, მოკლებულია დასავლურ ცივილიზაციასა და აზროვნებას. ჯერჯერობით, ალასანიას გუნდისთვის თანამდებობაზე ყოფნის კომფორტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარი პოლიტიკური მრწამსის ღიად დაფიქსირება. ის, რომ ალასანიას პოლიტიკური მრწამსი და ბიძინა ივანიშვილის მრწამსი არაა თანხვედრაში, ეს ჩემში ეჭვს არ იწვევს.

### – თქვა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მარგველაშვილის თანამდებობიდან დროულად გადაყენებას მოითხოვს, გამომდინარე იქიდან, რომ საპრეზიდენტო კანდიდატად წარდგენილია მოქმედი განათლების მინისტრი, რომელსაც გაცხადებული აქვს, რომ ყველა მოსწავლე უფასოდ მიიღებს სახელმძღვანელოს.

– ერთი მხრივ, გასაგებია, რომ სახელმწიფო ვერ შეწყვეტს ფუნქციონირებას. ჩვენ ყოველთვის ვეუბნებოდით ოპონენტებს, რომ გასაგებია, არჩევნები ახლოვდება, მაგრამ ქვეყანა უნდა ვითარდებოდეს. ისინი ყველაფერს უკავშირებდნენ წინასწარჩვენო კამპანიას. არის მეორე მხარეც, რაც შეეხება უშუალოდ მარგველაშვილს. იოტი-სოდენა ეჭვსაც კი არ იწვევს, რომ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგაა მიღებული, რაც განათლების მოქმედ მინისტრზე გადაწყდა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი გახდებოდა. მათ სწორედ ამის შემდეგ გადადგეს ეს პოპულისტური ნაბიჯი. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მთელი საგამომცემლო სექტორი გაკოტრების ზღვარზე მიიყვანეს. რა თქმა უნდა, მარგველაშვილი ისარგებლებს ამ პრივილეგიით, ეს არის არასაკადრისი პოლიტიკური ხერხი და ცხადია, ჩვენი ამაზე ყურადღებას გავამახვილებთ.

კური პარტია მიმართავს ხალხს მხარდაჭერისთვის, ამ პროცესის ბოიკოტირება იგივეა, რომ შენს ხალხს გამოუცხადო ბოიკოტი. რაც შეეხება რეიტინგებს, ბოლო არჩევნები 7-8 თვის წინ ჩატარდა. ეს დრო ჩვენთვის საკმარისი იყო, რომ გავგანალიზებინა შეცდომები, არსებული პრობლემები. ამ პროცესის გაანალიზება მოხდა, მომავალ არჩევნებზე ჩვენ გამოვალთ ახლებური ძალითა და ენერგიით, რასაც პრეზიდენტობის კანდიდატი გაცნობს ამომრჩეველს. იმ ფონზე, როდესაც „ქართული ოცნების“ ორი მთავარი დაპირებიდან – ეკონომიკური ვითარების სწრაფი გაუმჯობესება და რუსეთთან ურთიერთობების დალაგება – არც ერთი არ სრულდება და ხელისუფლების მხრიდან ცინიკურად არის უარყოფილი, ვფიქრობ, ეს რეიტინგებში სერიოზულ ცვლილებებს შეიტანს. ერთადერთი დაპირება, რასაც ისინი ასრულებენ, არის პოლიტიკური მონინა-ალმდეგების დაპატიმრება, რომელსაც დაარქვეს სამართლიანობის აღდგენა. ჩვენი საზოგადოება მალე გააანალიზებს, რა მოხდა მარშან ოქტომბერში. გარდა ამისა, კანდიდატი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ წარმოადგინა, მოკლებულია ყოველგვარ პოლიტიკურ წარსულს. შევეცდებით, მათ სუსტ კანდიდატს ჩვენი საკმაოდ ძლიერი კანდიდატი დაუუპირისპიროთ. არ ვთვლი, რომ დრამატული სიტუაციაა ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის, საარჩევნო კამპანიის სწორად წარმართვის

შემთხვევაში სერიოზული შანსი გვაქვს, წარმატებას მივალნიოთ.

### – მარგველაშვილის შანსებს როგორ აფასებთ?

– სრულიად გამორიცხულია მარგველაშვილის განხილვა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურად. ის არის პირადად ბიძინა ივანიშვილის დანაშაულის ვიციტი, რომ თვით „ქართულ ოცნებაშიც“ კი არ არსებობს მისდამი ერთგვაროვანი დამოკიდებულება. ეს უფრო ივანიშვილის ხუმტური მგონია, რომელიც ცდილობს, ქართულ საზოგადოებას დაუმტკიცოს, რომ, – აი, ასეთ ფიგურასაც კი გავიყვან პრეზიდენტადო. ეს არ არის სწორი დამოკიდებულება. ჩვენი ცნობილი მარგველაშვილის ერთი ინტერვიუ, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ გამოქვეყნდა. მაშინ ის პირდაპირ ამბობდა, რომ „ჩემთვის ბიძინა ივანიშვილი საინტერესო იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის რუსეთის სახელისუფლებო წრეებთან შეთანხმდება“. მან ამით ყველა კითხვას გასცა პასუხი. კანდიდატი, რომელიც მიიჩნევს, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მტრულად განწყობილ ქვეყანასთან უნდა იყოს შეთანხმებული, ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ნამდვილად ვერ წარმოადგენს.

### – საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს ნინო ბურჯანაძეც... განიხილავს თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“



**განიხილავოდა ვანო მერაბიშვილიც, თუმცა პარტიის უდიდესი უმრავლესობა, მათ შორის მეც, მხარს ვუჭერთ იმ მოსაზრებას, რომ საპრეზიდენტო კამპანიაში ჩავეართოთ კლიერი კანდიდატით**



**my View**  
თამარ  
გორთაშვილი

უფლებამცველ ნანა კაკაბაძეს და „ქართული ოცნების“ დეპუტატებს „ატსტუპნიკები“ გულგრილობაში ადანაშაულებენ და დანაპირების შესრულებას სთხოვენ. საქმე იმაშია, რომ, როდესაც საკუთარი პრობლემათი შეწუხებული „ატსტუპნიკები“ კაკაბაძის ორგანიზაციაში მივიდნენ, პირობა მიიღეს, რომ საკითხი, რომელიც ათეული წლებია გადაუჭრელია, ხელისუფლებამდე მივიდოდა და ამას სწორედ ნანა კაკაბაძე გააკეთებდა. სამაგიეროდ კი ასეულობით ადამიანი 21 მაისს გამართულ პოლიტპატიმართა ყრილობაზე წავიდა, სადაც მათი პრობლემა უნდა გაქვრივებულიყო. მოხდა ისე, რომ „ატსტუპნიკები“ თუმცა ყრილობის დღის წესრიგში არ აღმოჩნდა შეტანილი, უფრო მეტიც, მათ სიტყვით გამოსვლის საშუალებაც არ მისცეს. ბინათმოსარგებლებს არც ვახტანგ ხმალაძემ მოუსმინა, ვიქტორ დოლიძემ კი დაამშვიდა, რომ საკითხზე მუშაობდა, თუმცა მას შემდეგ დოლიძისგან არავითარი ინფორმაცია არ მიუღია.

**მაია სამჭკუაშვილი:** - როცა ნანა კაკაბაძემ თავისი გეგმები გააჟღერა, ავტომატურად მივიდით მის ოფისში, გავესაუბრეთ და დავრეგისტრირდით, მაგრამ სპორტის სასახლეში ჩატარებული აქციის შემდეგ ყველა ერთ აზრზე ვიყავით და დავრწმუნდით, რომ ნანა კაკაბაძემ გამოგვიყენა მასის შერევისთვის, რაოდენობისთვის ვფიქრობდით. ჩვენი არანაირი თემა არ გაქვრივებულა, არ ხართ ყრილობის დღის წესრიგში, შემდეგ იქ დარიგდა მომავალი გეგმების პროექტები. ჩვენ სულ 200 ადამიანი მივიყვანეთ. ბევრ რამეს დაგვირდნენ, მაგრამ არანაირი პრობლემა არ გვარდებოდა. ვიფიქრეთ, რომ ნანა შუამავალი იქნებოდა ჩვენსა და მთავრობას შორის, მაგრამ იმედი გაგვიცრუდა. პროექტი რომ დარიგდა, ვერ ვნახეთ მასში ჩვენი თავი. ქართული ხალხის ქონების უკანონო გასხვივება უნდა. კი, ეს ასეა, მაგრამ რატომ არ დაკოორდირდა ბინათმოსარგებლები, ე.წ. ატსტუპნიკების პრობლემებით? ამაზე ვართ ნაწყენები. ვითხოვთ, რომ ჩვენ პრობლემას მიექცეს ყურადღება. ჩვენ კაკაბაძესთან აღარ გავაგრძელებთ ურთიერთობას. არასამთავრობოები უნდა ემსახურებოდეს ხალხს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში საკუთარ ინტერესს ემსახურებიან. თბილისში 40 000 ოჯახის პრობლემა დგას. ვცდილობთ, იქნებ რაღაც შეეცვალოს, მაგრამ ჯერჯერობით არანაირი რეაგირება არ ყოფილა.

**- პარლამენტში გქონდათ შეხვედრა?**  
- ყველას შევხვდით ხელისუფლებიდან. ყველასგან იგნორირებულნი ვართ. ნულუკიანთან ათასი წერილი შევიტანეთ, ასევე კანცელარიაში. ერთადერთი პასუხი მოგვივიდა მოადგილისგან, რომელმაც გვითხრა, კარგი კანონია.

**- კანონის გადახედვას არ აპირებენ?**  
- არა, მით უმეტეს ვიქტორ დოლიძის პროგრამაში ჰქონდა „ატსტუპნიკების“ პრობლემის მოგვარება.

**- დაზარალებული რამდენია?**  
- დღითი დღე ასობით ოჯახი რჩება ქუჩაში. ძალიან ბევრი. ოჯახები შიშის ქვეშ არიან, რომ ქუჩაში აღმოჩნდებიან.

**- კომპენსაცია როგორ ითვლება?**  
- საბაზრო ღირებულების 75% შეფარდებული 25-თან. პირველი სიტყვა ეკუთვნის მესაკუთრეს, რომელიც არ ვიცით საიდან გამოჩნდებიან.

**- ვინ არიან ეს მესაკუთრეები, ვისგან იყიდეს ბინები?**  
- საბჭოთა წყობილების დროს, ჩვენმა წინაპრებმა იყიდეს ეს ბინები. მაშინ არ იყო კერძო საკუთრება, მინა იყო სახელმწიფოსი, ეს მესაკუთრეები ფართის მფლობელებად ითვლებოდნენ. ვისაც დიდი ფართი ჰქონდა, ეტაპობრივად ყიდდნენ, რომ სახელმწიფოს არ ჩამოერთმია. კანონში არის სამი კატეგორიის ბინათმოსარგებელი. მესამე კატეგორია არის ორდერი, როდესაც სახელმწიფომ ჩამოართვა ვილაცას ფართი და შეასახლა სხვა. მაგრამ პირველ და მეორე კატეგორიას ნაყიდი აქვს ბინები, მაშინდელი საბაზრო ღირებულებაც გადახდილი აქვთ. მეხუთე თაობა ცხოვრობს თითქ-



**მე ავირჩიე მთავრობა, რა უფლება აქვს გამასახლოს ჩემი სახლიდან. ისედაც გაღარიბებულები ვართ და კიდევ სახლსაც გვართმევენ?**



**EXCLUSIVE**

## „ატსტუპნიკებს“ გვარიკულავენ, „პრისტუპნიკები“ გავხდეთ“

მის ამ ბინებში. კანონი თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე შეცვალეს. მაშინვე ცუდად წარმართა ბინათმოსარგებლების საქმე და ნანა ხელისუფლებამ სულ გააუარესა.

**- თქვენმა წინაპრებმა რომ იყიდეს ეს ბინები, ამის საბუთი არ არის?**  
- ხელწერილი არის, მაგრამ ვისაც 100 წლის წინ აქვს ნაყიდი, დაკარგულია.

**- ბინის მესაკუთრეს აქვს საბუთი, რომ ეს მისია? თქვენ იყიდით თუ არა ვერ ამტკიცებთ?**  
- კი, ხელწერილით, მაგრამ ამ ხელწერილს სასამართლო არ ცნობს. მანდ ვართ ჩანერგულები ყველა. კომუნალური გადასახადები ისევე ჩვენს გარეგნულ ფიქსირდება და ისაა უბედურება, რეესტრში არ ვართ დარეგისტრირებულები. კერძო საკუთრების შესახებ რომ მიიღეს კანონი, მარტო ბინათმოსარგებლებზე რატომ გადატყდა ეს კანონი? მესაკუთრეობა მარტო უძრავ ქონებას ხომ არ ნიშნავს? მესაკუთრეები იყვენინ ისინიც, ვისაც ჰქონდათ ანაბრები სალაროებში, დადიანები, ჭავჭავაძეები, ბაგრატიონები, იმათ შემკვიდრეები ჰო ჰყავთ? დაუბრუნონ მაშინ იმათ ქონება. ოჯახში მაქვს სამი ანაბარი მენახული. კომუნისტების დროს ამ ანაბრებით სამი ბინა მოგვივიდოდა, მაგრამ არ შეიძლება, ვერ იყიდო.

ახლა, ე.წ. მეპატრონეებს ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ. ჩვენ კი ამ ხელისუფლებას მხოლოდ არჩევნების დროს ვახსოვართ. მხოლოდ საარჩევნო სიაში ვფუნქციონირებთ. მარტო საქართველოში არ იყო, მთელ სამტყობოთა კავშირში იყო ეს პრობლემა. რუსეთის უკრაინისა და სომხეთის გამოცდილება გვაქვს. მარტო საქართველოში დადგა ეს პრობლემა. იმ ქვეყნებში, ვინც, სულ მცირე, 15 წელი იცხოვრეს იმ ადგილას, ყველას დაუკანონეს. ეს მოხდა რამდენიმე წლის წინ. აღიარეს თავიანთი შეცდომები და დაუკანონეს. მხოლოდ საქართველო დარჩა ასე.

**მაინა დოლიაშვილი:** „ძალიან ცუდ პირობებში აღმოვჩნდით, იძულებული ვართ დავტოვოთ ეს სახლები და წავიდეთ. გაზს არ გვაყვანიან. დამამცირებელი მზერით გვიყურებენ. მე აქ 50-ზე მეტი წელია ვცხოვრობ. დავიბადე და გავიზარდე. ციგნებს რომ უყურებენ, ისე გვიყურებენ ჩვენც“.

**მაია სამჭკუაშვილი:** „ერთადერთი, ამ ხელისუფლებაში მხოლოდ ეკა ბესელიას იმედი გვაქვს, ეს ქალბატონი შეგვირდა და გვერდით გვიდგას. ამ ხელისუფლებაში ყველა ჩვენი მონინააღმდეგეა, მათ შორის ვახტანგ ხმალაძეც. შევხვდით ჩვენ მას და იქიდან სრულიად მოკირეულები გამოვდით. მიმართეთ სასამართლოს და ის გადაწყვეტსო. არ შეშინა, ვამხელ იმასაც, რომ მანანა კობახიძეც მათ შორისაა. მან თქვა, რომ სოფლიდან ჩამოსული ხალხი ვართ. ასევე ვახტანგ ხმალაძეც თავისი პირით აღიარა: ჩემმა ახლობელმა მესაკუთრემ რატომ უნდა დაკარგოს თავისი საკუთრებაო. სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო გვიფასებს სახლებს და ეს შეფასება ძალიან დაბალია. 10 000 დოლარს არ სცილდება. მაგალითად, მაღალმთიანის, რომელსაც მომაკვდავი დედა გარეთ გამოუდგეს, 7 000 გადაუხადეს და დღესაც, ეს ქალბატონი დედის და ბინას დაეძებს. ქირით არაფერ უშვებს. კეთილშობილი მეზობელი აღმოჩნდა, რომელმაც შეიფარა, მაგრამ როდემდე? მთელი ავეჯი ქუჩაში უყრია“.

**მანანა დოლიაშვილი:** „ჩვენ გვაქვს ეს პრობლემა და, ალბათ, ჩვენ შეიძლება ექნებათ. ნუთუ დრო აღარ არის ეს საუკუნოვანი პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას და ხალხმა ამოსუნთქოს“?

**მაია სამჭკუაშვილი:** „ჩვენი მოთხოვნაა გაითვალისწინონ მეზობელი ქვეყნების მაგალითები. ჩვენი დანაშაული ისაა, რომ ჩვენმა წინაპრებმა იცხოვრეს აქ“.

ბინათმოსარგებლები „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმომადგომელი ურთიერთობების შესახებ საქართველოს

კანონში“ (ცვლილების შეტანას მოითხოვენ, რომელიც მათ ფართის დაკანონების შესაძლებლობას მისცემს. ანალოგიური კანონი უკვე მოქმედებს მეზობელ ქვეყნებში, სადაც ყველა „ატსტუპნიკმა“ ფართი დაიკანონა. იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება მათ პრობლემას დღის წესრიგში არ დააყენებს, ბინათმოსარგებლები მოსალოდნელ გართულებებზე პასუხისმგებლობას იხსნიან. მათ მაგალითად მოჰყავთ 90-იან წლებში ბელისკის 5 ნომერში მომხდარი მკვლელობა, როდესაც „ატსტუპნიკმა“ ნუგზარ მისურაძემ ფართის მესაკუთრე დედი, მოხუცი დედის და ორსული ცოლის ქუჩაში გამოყრის გამო, ადგილზე დახოცა. როგორც ბინათმოსარგებლები აცხადებენ, შემთხვევა მოხდა ცოტა ხნის წინ ხომტარაის ქუჩაზე, სადაც ფართის მესაკუთრე დავით ილიაძე, ბინათმოსარგებელმა დაჭრა.

**ნატა ბურდული:** „ისეთი კანონია, რომ „ატსტუპნიკებს“ გავიძულებენ „პრისტუპნიკები“ გავხდეთ. არადა, ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი წინაპრების მიერ ნაყიდი ქონების დაკანონებას, ამის უფლებას კი დღეს საქართველოს კანონმდებლობა არ გვაძლევს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი საბუთი მხოლოდ ათეული წლების წინ დადებული ხელწერილია, რომელსაც ორიდოული ძალა არ აქვს. „ატსტუპნიკები“ აბსოლუტურად დაუცველები ვართ. კანონი უპირატესობას მესაკუთრეს ანიჭებს, რაც მათ უფლებას აძლევს ნებისმიერ დროს სახლიდან ისე გამოგვყარონ, არაფერი გვიკითხონ, სანაცვლოდ მოგვიგდებენ მიზერულ ფასს და ჩვენ ვალდებული ვართ, ამ მოქმედი კანონის მიხედვით ფართი დავტოვოთ. რამდენი წელია ამ პრობლემის მოსაგვარებლად ვიბრძვით, მაგრამ შედეგი არ გვაქვს. ახლაც, როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა, იმედი მოგვეცა, რომ ამ საკითხს საბოლოოდ დაესმებოდა წერტილი, რადგან მათი დამორჩევა ასეთი იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისევ მოგვატყუეს. ნანა კაკაბაძის ორგანიზაციაში მივიდით. კაკაბაძეც დაგვირდა, რომ ჩვენს პრობლემას ხელისუფლებამდე მიიტანდა, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ისმის. არადა, 21 მაისს სპორტის სასახლეში შეკრება რომ ჰქონდათ, მთელი „ატსტუპნიკები“ იქ ვიყავით და ჩვენ ცოტა არა ვართ. მანამდეც აქტიურად ვებმარებოდით მოსაწვევების დარიგებასა თუ სხვა საკითხებში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენი პრობლემა იმ ტრიბუნიდან არც კი გაუქვრივებულა. ერთადერთი, ეკა ბესელიას იმედი გვაქვს, ძალიან გვიდგას მხარში, დანარჩენებმა, ფაქტობრივად, ზურგი შეგვქციეს. კარგად გამოგვიყენეს არჩევნებზე და ახლა აღარც ვახსოვართ. ვიქტორ დოლიძესთან, რომელიც გვიპირდებოდა, რომ ჩვენს პრობლემას მიხედვად და ამბობდა, რომ მუშაობს ამ საკითხზე, ვერც კი მოვახერხეთ საუბარი. ვახტანგ ხმალაძემ აქტივობრივად გამოგვყარა ოთახიდან. ასეთი დამოკიდებულება აქვთ დღეს ჩვენს მიმართ. არადა, მხოლოდ იმას ვითხოვთ, რომ ჩვენი უფლება კანონით

## „სისხლისღვრა რომ დაიწყება, მაგათ სინდისზე იყოს“



**„ვიფიქრეთ, რომ ნანა შუამავალი იქნებოდა ჩვენსა და მთავრობას შორის, მაგრამ იმედი გაგვიცრუდა. პროექტი რომ დარიგდა, ვერ ვნახეთ მასში ჩვენი თავი“**



„სპორტის სასახლეში ჩატარებული აქციის შემდეგ ყველა ერთ აზრზე ვიყავით და დავრწმუნდით, რომ ნანა კაკაბაძემ გამოგვიყენა მასის შეგროვებისთვის, რაოდენობისთვის ვჭირდებოდით“



## „ნანა კაკაბაძემ, გამოგვიყენა“

იყოს დაცული, რომ მოგვეცენ საშუალება დავიკანონოთ ფართი, სადაც უკვე ათეული წლებია ვცხოვრობთ. აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობამ თავის მოსახლეობას ეს პრობლემა მოუგვარა და კანონით მისცა უფლება 15 წლიანი ხანდაზმულობის შემთხვევაშიც კი, ქონება დაეკანონებინათ. ჩვენ კი 15 წელი კი არა 50 წელია აქ ვცხოვრობთ და თავს მაინც დევნილებად ვთვლით.

თაობები ცხოვრობდნენ ამ სახლში და არავის არ ჰქონდა იმის პრობლემა, რომ აქედან გამოასახლებდნენ. დღეს კი ეს შესაძლებელია იმ კანონის მიხედვით, რომლითაც უპირატესობა აქვს მეპატრონეს, მას შეუძლია გადაგვიხადოს მიწისფერი თანხა და გავსასახლოს. დარბევა მიდის მთელ თბილისში და ბათუმში. მეც დაზარალებული ვარ. მე ვიყავი პარლამენტში, მაგრამ ნაბიჯიც არ გადადგმულა. ვიცით, რომ ძალიან ბევრი საქმე გასაკეთებელი, მაგრამ ეს ხომ სასწრაფოა?!

**- კანონში ცვლილებას ითხოვთ?**  
- აუცილებლად. ჩემი ტერიტორია საბურთალოს ქუჩაზეა. რამდენიმე დღის წინ გამოასახლეს ერთ-ერთი ადამიანი, რომლის დედაც კიბოს მეოთხე სტადიითა დაავადებული, მაგრამ სანოლით გამოიტანა აღსრულებამ და ქუჩაში დააგდო. ძალიან ბევრს ეშუაწერება ეს. გუშინ ვიყავი ერთ-ერთ ეზოში ვერაზე, სადაც 14 ოჯახია... გვეუბნებიან ცოტანი ხართ, არადა ძალიან ბევრნი ვართ. იმ 14 ოჯახიდან ვერც ერთი ცხვირს გარეთ ვერ ყოფს, იმიტომ, რომ ჩვენ წრეში არის მონათმფლობელობა და ბატონყმობა. ეშინიათ გამოსულა, იმიტომ, რომ მეპატრონემ არ გაიგოს, რომ თავის უფლებებს იცავენ, მაშინვე მეპატრონე წავა და გაასახლებს.

ეს მინა საბჭოთა კავშირის დროს არავის არ ეკუთვნოდა. დღევანდელი ე.წ. მეპატრონე, გამოდის თაღლითი. მას არ ეკუთვნოდა 60 კვადრატულზე მეტი. ეს ტერიტორია გაასახლეს. ჩვენ კი შევისყიდეთ. მაგრამ დაიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ეს ვითომ მეპატრონე დაზარალებულად ცხვს და ეს კუთვნილობის მყიდველები დამნაშავეები აღმოჩნდნენ. უამრავი ვართ. ჩვენ ეს იხფორმაცია ნანა კაკაბაძეს მივანდით, დაუდევით მხარში, მოსაწვევებზე ჩამოვარო-

## „ჩვენ კი ამ ხელისუფლებას მხოლოდ არჩევნების დროს ვახსოვართ. მხოლოდ საარჩევნო სიაში ვფუნქციონირებთ“

გეთ ყრილობისთვის. „ნაცმოძრაობა“ უნდა გასამართლდეს რომ ითხოვდნენ. ჩვენც ხომ დაზარალებულები ვართ, ჯერ კიდევ უსამართლობა ჩვენ ქვეყანაში. რეესტრში არ ვართ დარეგისტრირებული, მაგრამ კომუნალურ გადასახადებს ჩვენ თვითონ ვიხდით. იპოთეკაში გვიდებენ სახლებს, გვიყიდიათ.

**- ნანა კაკაბაძესთან რატომ მიხვედით?**

- ამ პრობლემის წარმოჩენა გვინდოდა. ის შეგებოდა, რომ მოგვეცემს საშუალებას, რომ პარლამენტთან ჩვენ ურთიერთობა გაამართლოთ. ის დაგვირდა, რომ პარლამენტთან ვაგვიმართლებს ურთიერთობას. ჩვენ სტატუსი არ გავაძინია, რეესტრში არ ვართ, მოქალაქეობა არ გავაძინია.

**- რატომ არ მიექცა ყურადღება ამ პრობლემას, გვერდი აუარეს?**

- როდესაც ნანა კაკაბაძე გამოვიდა, მან თქვა, რომ ჯერ კიდევ არ არის სამართლიანობა დამდგარი ჩვენ ქვეყანაში. ამ უსამართლობას კი ბევრი რამე ეწიება, მათ შორის ჩვენც. იმედი გვაქვს, რომ კაკაბაძეც და ყველა გვერდში დაგვიდგება. მე ჩემ ნაციონალურ სახლში, რომელიც ჩემი ბებია-ბაბუამ იყიდეს, აზრადაც არ მომივიდოდა, რომ ეს პრობლემა შემეჩვენებოდა. ალბათ, მთავრობაში ვილაც ძალიან დაინტერესებულია ამ საქმით, თორემ როგორ შეიძლება ასეთი უინტერესობა.

**- რა პრეტენზია გაქვთ კაკაბაძესთან?**

- ის, რომ არ გავაგმუქეს და ისიც, ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი უსამართლობები ითქვა იქ და ჩვენთვის დრო აღარ დარჩა. ერთადერთი, ეკა ბესელია დაგვიდგა გვერდით, რომელიც შეგვირდა გამოცდიებით. არჩევნებამდე ვიქტორ დოლიძემ სამებასთან დაგვიბარა და იქ შეგვირდა, რომ ეს სა-

კითხი უნდა მოგვარებულიყო. ბავშვები და მოხუცები გარეთ არიან გამოყრილები. მე იცით როგორ ვარ? ალა - მაჰმად - ხანი ხომ იცით, მოხსნა გუმბათი და დაჯდა. ასე არიან ისინი. ჩემს სახლში ჩაჯდა აზერბაიჯანი, მისიან აზერბაიჯანული მუსიკები, ფეხი ვერ შემეიდგამს ჩემ ნაყიდ, ამეხებულ სახლში და მეუბნებიან დაგიტყვევოთ. ჩვენ „ოცნებას“ მივცით ხმა, და პრემიერი დღესაც არ არის ჩვენს საქმეში გარკვეული. კაკაბაძეც და ვიქტორ დოლიძეც ჩვენს გვერდით უნდა დადგნენ. ვფიქრობ, რომ ბატონ პრემიერამდე არ მიდის ეს საქმე, ჩვენ მისი გვეჯერა. საბინაო ნიგამი უკვე 60 წელია დაფიქსირებული ვარ. მე ავირჩიე მთავრობა, რა უფლება აქვს გამასახლოს ჩემი სახლიდან. ისედაც გალარებულები ვართ და კიდევ სახლსაც გვეართმევენ? ჩემი ფართით „ნაციონალები“, კუდ-ის ხალხი იყო დაინტერესებული. ნარკომანთა დიდი ჯგუფის წევრია ერთ-ერთი მეპატრონე. მოვა დრო და გავაფლავებ. ეს ყველაფერი დავეწერე პროკურატურაში. ისიც კი ვთქვი, რომ მეპატრონის ადვოკატი ხელით შემეხო და მირტყამდა. საჩივარიც დავეწერე ადვოკატზე, მაგრამ გამოხმაურება არ ყოფილა. ადვოკატი რომ მოვა და სახში გირტყამს, ნომომყვით, გაჩვენებთ რა მდგომარეობაა. ეკა ბესელიასგან კი მოვიდა ბრძანება, რომ შეაჩერეთ გამოასახლება. მაგრამ ჩვენ უკვე გამოასახლებულები ვართ.

**- თქვენ ითხოვთ იმ დაპირების შესრულებას, რაც მანამდე მოგცეს, რომ არ შესრულდეს რას მოიმოქმედებთ?**

- აუცილებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში უამრავ ხალხს გამოვიყვანთ, ამის უფლება გვაქვს. ეკა ბესელიამ გვითხრა, რომ როდესაც საქმე და თუ ამ ორი მხრიდან რომელიმე ზარალდება ამ კანონით, გვაქვს



## „ჩვენ კაკაბაძესთან აღარ გავაგრძელებთ ურთიერთობას. არასამთავრობოები უნდა ემსახურებოდნენ ხალხს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში საკუთარ ინტერესს ემსახურებიან“

ზევით უნდა ვილაც ეს ტერიტორიები, სადაც შეიძლება 8-9 სართულიანი აშენდეს. ასეც მოხდა. ტერიტორია დღია. შეიმუშავეს ეს კანონი. ამ ხალხს სახლი უნდა, ფერი უნდა, მაშინ მოგვეცენ ლტოლვილების სტატუსი და გავვიშავ.

შემიდი ცხოვრება მინდა, რატომ მისული ხელს. მოიცადეთ მუშავდებაო. რას მუშავდება ამდენ ხანს? მე რა ვქნა, როცა ამ ქირით ჩემს შვილს გადასახადს ვუხდიდი და ახლა, მეოთხე კურსიდან გამოვიდოდი ბავშვი? რატომ მოგვეფერო ხელისუფალი, როცა არადერს მიკეთებ. მთელი ჩემი ხმები „ოცნებას“ მივეცი. სად არის ახლა ის?

რაზე უნდა ნავიდე სასამართლოში, რამე მოვიპარე, ვინმეს რამე წავართვი? არ მინდა სასამართლო. ჩვეულებრივი, ნესიერი ოჯახი მყავს.

არც ერთი „ატსტუპნიკი“ არ დავთმობს. მესაკუთრე კი ამბობს, კანონი მანიჭებს ამის უფლებას და რატომ არ გამოვიყენებო. ვერაზე რა ხდება იცით, უმეტესობას კერძო იპოთეკით უტვირთავენ სახლს და ეს ხალხი ქუჩაში რჩება.

შევარდნამ გამოსცა კანონი, რომ 15 წელზე მეტი ვილაც ჰქონდა ნაცხოვრები, შეეძლო დაეკანონებინა ეს მიწები, მაგრამ 6 თვეში შეჩერდა ეს კანონი. ჩვენ არ ვიცოდით. ცოტამ თუ მოასწრო. თვითნებური გამოშვებს ეს კანონიც, დაიკანონეს და მერე შეცვალეს. ვიქტორ დოლიძე შეგვირდა და ხმარებას, მაგრამ ველარ დავიჭირეთ. ზაზა პაპუაშვილთან შეხვედრა იყო და ახლა მოვიხდით ამ საუკუნოვანი პრობლემის გადაწყვეტა? არჩევნებამდე ყველა გვირდებოდა, ინიციატივას მანაც აყენებდნენ, ახლა კი აღარ, კარგად გამოგვიყენეს. არ ვიცი რა ხდება პარლამენტში. ჩანს, რომ ხალხის პრობლემა არ იხილება. ძალიან იმედგაცრუებული ვარ.



უფლება, რომ საკანონმდებლოში წინადადება შევიტანოთ.  
ცხოვრებაში ყველაფერი ვისწავლე, ყველაფერი გავაკეთე და რატომ უნდა გამომაგონ სახლიდან. ვახტანგ ხმალამდისთანაც ვიყავით და არ მიგვიღო კარგად. დარწმუნებული ვართ ბატონ პრემიერთან არ არის მისული ეს საქმე. კი ბატონო, ჩვენ თვითონ მიხვდებით ყველაფერს. სისხლისღერა რომ დაინწყება, მაგათ სინდისზე იყოს.

როგორ მოუარა სხვა ქვეყნებმა ამ პრობლემას და რატომ მოუარა იცით? ეს იყო სახელმწიფო ინტერესი. აქ კი ზოგიერთი პარლამენტარი თვითონ მეპატრონეა და არ სურს. რატომ მოხდა აბა, რომ ხმალამდისთან შევედი, მაგრამ შეურაცხყოფილი ტერიტორიით გამოვედი? ასე წელი არ მინდა მასთან მისვლა. კაციშვილი ჩვენი მომხდელი არ არის. არ გვინდა ეს მთავრობა ჩვენ წინააღმდეგ განვიწყობოთ. ჩვენ ვართ კანონის მსხვერპლი, რომელსაც ცოცხალი თავით არ ცვლიან. ადრე გამოვიდნენ და თქვეს, მერე რა შეკრულია „ატსტუპნიკებთან“. მერე კობა დავითაშვილმა გაამაგრა ეს კანონი.

**- დავითაშვილს რა ინტერესი ჰქონდა?**

- ალბათ, დამცველი იყო. თანხა გადაიხადეს და დაიცვა. გვითხრა, თქვენ რომ მოსულიყავით, თქვენ დაგვიცავდით. მაგრამ

„პრაიმტიმი“ ნანა კაკაბაძეს დაუკავშირდა, რომელმაც ბინათმოსარგებლეთა პრეტენზიებზე მოკლე კომენტარი გააკეთა.

**ნანა კაკაბაძე:** „ჩემთან არავინ მოსულა, არანაირი თხოვნით და არც არავისთვის არანაირი პირობა არ მიმიცია. მოვიდნენ და მითხრან რა პრობლემა აქვთ, მე ყველას ვხვდები“.

ბინათმოსარგებლეთან საუბრის შემდეგ ჩვენ ქართველ კანონმდებლებთან ვცადეთ დაკავშირება. არც ვახტანგ ხმალამდის და არც ვიქტორ დოლიძემ ჩვენს სატელეფონო ზარს არ უპასუხა. მხოლოდ მანანა კობახიძემ დაგვიდასტურა, რომ ამ პრობლემის შესახებ იცის, რადგან საკითხი სერიოზულია და დროულად გადასაწყვეტი. თუმცა დღის წესრიგში კანონში ცვლილებების გატარება ამ ეტაპზე არ დგას.

**მანანა კობახიძე:** „შესაძლოა, კომიტეტები იხილავენ ამ საკითხს, ეს საკითხი ნამდვილად გადასაჭრელია, მაგრამ ახლა, ამ ეტაპზე, მე ვერ გეტყვით, რომ დღის წესრიგში დგას, რადგან ბიუროსაც არ შემოსულა ამ ცვლილებების პროექტი“.

ავერსის კლინიკა პირველი მრავალპროფილური კლინიკა საქართველოში, რომელსაც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის დამადასტურებელი ISO სერტიფიკატი მიენიჭა.

5 ივნისს გერმანული ხარისხის მაკონტროლებელი ორგანიზაციის TÜV SÜD -ის რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელმა ლეონიდ გარშკოვმა ავერსის კლინიკას ISO სერტიფიკატი ოფიციალურად გადასცა.

როგორც კომპანია ავერსის დამფუძნებელმა პაატა კურტანიძემ აღნიშნა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატი არა მხოლოდ ავერსის კლინიკის გამარჯვებაა, არამედ თითოეული პაციენტის წინსვლა და სარგებელია, რადგან მათ ევროპული დონის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება გარანტირებულად შეუძლიათ მიიღონ ავერსის კლინიკაში:

- ჩემთვის, როგორც ავერსის კლინიკის დამფუძნებლისთვის მთავარია, მომხმარებელს უმაღლესი დონის სამედიცინო მომსახურება შევთავაზოთ. ამიტომ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ავერსის კლინიკაში მომსახურება მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამებოდეს. დღეს, ავერსის კლინიკა ISO სერტიფიკატს ფლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა პროცესი - როგორც სამედიცინო, ასევე მენეჯმენტის თვალსაზრისით - სტანდარტიზებული, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი გახლავთ.

ISO სერტიფიკატი არის, ერთის მხრივ, დიდი დაფასება და, მეორეს მხრივ, უდიდესი პასუხისმგებლობა, რადგან ხარისხის კონტროლი მუდმივად მიმდინარეობს - ყოველწლიურად ხორციელდება როგორც გეგმიური, ასევე არაგეგმიური შემოწმება - აუდიტორები პერიოდულად სტუმრობენ კლინიკას და ამოწმებენ, რამდენად შეესაბამება კლინიკის მუშაობა დადგენილ სტანდარტებს. ამასთანავე, კლინიკამ სამ წელიწადში ერთხელ რესერტიფიცირება უნდა გაიაროს - შესაბამისად, კლინიკის თანამშრომლებს არ აქვთ ხარვეზის დაშვების უფლება, პირიქით ხარისხი მუდმივად უნდა გაუმჯობესდეს.

კომპანია ავერსისთვის ISO სტანდარტები სიახლე არ გახლავთ. ავერსის შვილობილ კომპანიას ავერსი-რაციონალს შესაბამისობის სერტიფიკატი გახსნიდან ერთ წელიწადში 2006 წელს მიენიჭა და დღემდე ამ ნიშანს წარმატებით ინარჩუნებს, ავერსისთვის მიღებული გამოცდილება, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან კლინიკაში ISO სტანდარტების დანერგვა ისეთივე მკაცრი მოთხოვნების შესაბამისად მოხდა, როგორც თავის დროზე ავერსი-რაციონალში. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ავერსისთვის ეს ორი განსხვავებული რგოლია, ორსავე სეგმენტში ISO-სერტიფიკატის ფლობა ბრენდის პრესტიჟსა და სანდობაზე მეტყველებს. რას წამოადგენს თავად კომპანია TÜV SÜD, რას გულისხმობს ISO სერტიფიკატის ფლობა, რამდენად პრესტიჟული და სანდოა ეს ორგანიზაცია, რომელიც საერთაშორისო დონეზე ხარისხის მაკონტროლებელ კომპანიად არის აღიარებული, ამ საკითხების შესახებ დანვრილებით გერმანული ორგანიზაცია TÜV SÜD-ის რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელი ლეონიდ გარშკოვი გვესაუბრება:

- ევროპის ხარისხის კონტროლის სისტემა განსხვავდება იმ მოდელისგან, რომელიც თქვენს ქვეყანაში საბჭოთა პერიოდში არსებობდა. ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი პრინციპი ის არის, რომ ევროპაში აუდიტი, სერტიფიცირება და ხარისხის კონტროლი არა ს ა ხ ე ლ მ ნ ი ფ ო ს ტ რ უ ქ ტ უ რ ე ბ ი ს ა და მოხელეების, არამედ მხოლოდ კერძო კომპანიის მიერ ხორციელდება. ამ სტრუქტურის შექმნა და ამუშავება ბანალურმა აუცილებლობამ გამოიწვია - დაცული უნდა ყოფილიყო ბიზნესის და მომხმარებლის



ინტერესები, საზოგადოებისთვის კი თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო ხარისხის ნიშანი. დღეს მსოფლიოში შვიდი უმსხვილესი კომპანია რომელსაც ხარისხის კონტროლის და სერტიფიცირების უფლება აქვთ და ამ სფეროში ასწლოვან და მეტი ხნის გამოცდილებას ეფუძნებიან. ერთ-ერთი პირველი გახლავთ TÜV SÜD-ი, რომელიც გერმანული ხარისხის მაკონტროლებელი კომპანიაა და მისი ისტორია 150 წელს ითვლის. ფირმები, რომლებიც ევროპის ბაზარზე აპირებენ შემოსვლას, თავად გვთხოვენ აუდიტსა და სერტიფიცირებას, რადგან ამ ეტაპის გავლის გარეშე მათთვის ევროპაში გზა ხსნილი არ იქნება. უნდა აღვნიშნო, რომ კონტროლი საკმაოდ მკაცრია და მოთხოვნებიც ადეკვატური, თუმცა კომპანიები, რომლებსაც ჩვენი სერტიფიკატი აქვთ მინიჭებული უმეტეს შემთხვევაში წარმატებით ინარჩუნებენ ნიშანს. ISO სერტიფიკატი ხარისხის გარანტია.

რაც შეეხება ავერსის კლინიკის სერტიფიცირებას, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სტანდარტები აქაც არის ბაზისური: კადრები, აღჭურვილობა, სოციალური პასუხისმგებლობა, ეკოლოგიური პრინციპების გათვალისწინებაც კი... 5 წლის განმავლობაში ავერსის კლინიკა ეკლიან გზას თითქმის უშეცდომოდ გადიოდა. ჩვენ ლაფსუსები ვერ ვიპოვეთ - ავერსის მოქმედება იყო ზუსტი, გამართული, სინქრონიზებული. ავერსს ჰქონდა მიზანი და დასახული მიზნისკენ მთელი კლინიკის გუნდი ერთიანად მიისწრაფოდა. მე, როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც ერთ-ერთი პირველია შვიდ საერთაშორისო ხარისხის მაკონტროლებელ ორგანიზაციას შორის, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კომპანია ავერსი ევროპულ პრინციპებს სრულად იზიარებს. ვთვლი, რომ ამ კომპანიას აქვს დიდი პოტენცია იყოს საერთაშორისო სტანდარტების მატარებელი. ასე ვიტყვოდი: გაუმარჯოს საქართველოს და გაუმარჯოს ასეთ წარმატებულ და მიზანსწრაფულ ფირმებს, როგორც ხართ თქვენ, გისურვებთ წარმატებებს და ყოველივე საუკეთესოს.

ავერსის კლინიკის გენერალურმა დირექტორმა დიმიტრი ჯორბენაძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ყოველგვარი სერტიფიკატი თუ ჯილდო წარსულის შეფასება და დამსახურების აღნიშვნაა, ISO სერტიფიკატი კი ავერსის კლინიკისთვის არა მხოლოდ მაღალი შეფასება და დიდი პატივი, არამედ დიდი პასუხისმგებლობაც გახლავთ.

ავერსის კლინიკა გახსნის დღიდან პოპულარული და რეიტინგულია, რადგან აქ პროფესიონალიზმი და მაღალი ხარისხი პრიორიტეტი გახლავთ. ამ დამოკიდებულებისა და პრინციპების ერთგულება კი, კიდევ ერთხელ, ამჯერად საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შეფასდა და კლინიკა დღეს ყველაზე პრესტიჟული ევროპული ხარისხის კონტროლის ორგანიზაციის სერტიფიკატის მფლობელია. ანდეთ თქვენი ჯანმრთელობა პროფესიონალ ექიმებს.



**ავერსი გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიფხვიდს!**  
მისამართი: ვაჟა-ფშაველას ქ. №27ბ  
☎ 39 83 67; 39 48 53  
967-227

[WWW.AVERSI.GE](http://WWW.AVERSI.GE)

# „კარგია, რომ ეს განცხადება გააკეთა პრემიერ-მინისტრმა“

ნინო დათაშვილი

ეგრეთნოდებული თალიბანის მუქარა, რომელიც პარასკევს შუადღისთვის გავრცელდა, უკვე საღამოს ავღანეთში 7 ქართველი ჯარისკაცის სიკვდილით დასრულდა. რა კავშირია ამ ორ ფაქტს შორის და ვინ შეიძლება იდგას გავრცელებული ვიდეორგოლის უკან. საქართველოში თითქმის არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ გავრცელებული ვიდეო, სადაც თალიბები საქართველოს ემუქრებიან, ყალბია და მის უკან რუსეთი დგას. ამ თემაზე „პრაიტიმს“ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ანდრო ბარნოვი ესაუბრა:

– ერთი რამ ცალსახაა, ამ ორივე მოვლენის უკან დგანან ძალები, რომლებსაც სურთ, ჩამოგვაშორონ დასავლეთს, ჩამოგვაცილონ დასავლურ კურსს, დაგვკარგვინონ ჩვენი მეგობრები ამერიკასა და ევროპაში. ძალიან გამიჭირდება, კონკრეტულად ვინმეს ხელი დავადო, თუმცა გარკვეული დასკვნის საფუძველი ძალიან მალე შეიძლება ყველას ჰქონდეს.

– ზოგიერთმა ექსპერტმა ლიად დაასახელა რუსეთი. რამდენად შეიძლება ამ „მუქარის“ უკან რუსეთი იდგას?

– გამოირიცხვა შეუძლებელია. ამ დროისთვის გვაქვს ინფორმაცია, რომ ეს ვიდეო საქართველოდან არის ატვირთული. დამოუკიდებელმა ადამიანებმა კვლევები ჩაატარეს, რომლებიც კონკრეტული არგუმენტებით ირწმუნებიან, რომ საქართველოდან არის ეს ვიდეო ატვირთული. მე კარგად ვერკვევი ტერორისტების ხელნერაში, ვნახე თუ არა ეს ვიდეო, მივხვდი, რომ ეს ნამდვილად არ არის იმ ტიპის ჩანაწერი, რომელსაც თალიბანი ავრცელებს ხოლმე. საერთოდ, გაგიჭირდებათ, მოძებნოთ ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც ამ ტიპის ვიდეორგოლებს ამზადებს. განა იმიტომ, რომ ვერ ამზადებენ, არამედ იმიტომ, რომ მათ სხვანაირი ხელნერა აქვთ.

– რამდენადც მე მინახავს, ისინი თავად დგანან კამერის წინ და მიმართავენ ძირითადად საკუთარ ენაზე აკეთებენ...

– არ არის აუცილებელი, რომ საკუთარ ენაზე იყოს მიმართვა. თუმცა ბევრი კომპონენტია, რის გამოც ამ ვიდეოში არც ერთი ტერორისტული ორგანიზაციის ხელნერა არ მეცნო. ეს იყო ჩემი პირველი ეჭვის საფუძველი, რის გამოც მე გამოვედი და ვთქვი, რომ ეს იყო ფაბრიკაცია. ამის გარდა, არის სხვა ლოგიკაც: ძალიან უცნაურად არის გახშირებული ქართველების მიმართ თავდასხმები. როგორც ჩანს, გარკვეულ ძალებს გაუჩნდათ იმედი, რომ ახლა მოვიდა დრო, როდესაც ამ ტიპის ზენოლების ინტენსივობის გაზრდით შეიძლება მოახერხონ ქვეყნის კურსის ცვლა. ეს არგუმენტია, რის გამოც ვვარაუდობ, რომ ეს არ არის თალიბანის გადაწყვეტილება. საერთოდ, მინდა იცოდეთ, რომ თალიბანი არ არის იმ ტიპის ორგანიზაცია, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას. მის უკან დგანან სახელმწიფოები. ასე რომ, ბევრი მიზეზია, ვიჭვოთ, რომ ამ ქმედებების უკან დგას გარკვეული სახელმწიფოების ინტერესები.

– ბევრმა ეს შეტევა და ჯარისკაცების დაღუპვა დაუკავშირა პრეზიდენტის ბოლო ვიზიტს ავღანე-



**ანდრო ბარნოვი:**  
**„თუ კარგო პირები უფრო სწრაფი არიან კვლევაში, ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტრო, ეს კალიან სამსუხაროა“**

**თში. ამაზე რას იტყვით?**  
 – ეს არასერიოზულია. ამის არანაირი არგუმენტი არ არსებობს. ვერ ერთი, მანამდეც მომხდარა მსგავსი თავდასხმები და მიხეილ სააკაშვილი არ არის ერთადერთი პრეზიდენტი, რომელიც ავღანეთში ჩაიღეს.

– პრემიერ-მინისტრს თავის განცხადებაში ძალიან პრინციპული ტონი ჰქონდა, ივანიშვილმა განაცხადა, რომ საქართველო უკან არ დაიხვეს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ახალი ხელისუფლება მზად არის, ნებისმიერი სირთულისა და სიძნელის მიუხედავად, ნატოსკენ სვლა გააგრძელოს?

– მე მინდა მქონდეს ამის იმედი. დროგამოშვებით ვხედავ ხოლმე ამის ნიშნებს. თუმცა დროგამოშვებით ვხედავ ასევე ამის საპირისპიროს. ამ ხელისუფლების თანმიმდევრულობა ჩემთვის არ არის ცალსახა რაღაც. ნამდვილად არ მაქვს ამის შესახებ საბოლოო დასკვნა. კარგია, რომ ეს განცხადება პრემიერ-მინისტრმა გააკეთა. ის ამ ტონით რეალურად ეთანხმებოდა იმ განცხადებას, რომელიც პრეზიდენტმა მანამდე გააკეთა. თუმცა ჩვენ უნდა ვნახოთ, რამდენად თანმიმდევრული იქნებიან პრემიერი და მთავრობა. თქვენ იცით, რომ ძალიან ჭრელია კოალიცია და თვითონ პრემიერსაც ხშირად გაუკუთებია ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები.

– დამოუკიდებელი ექსპერტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ეს ვიდეო ატვირთულია საქართველოდან? რამდენადც ცნობილია, ოფიციალური კვლევაც მიმდინარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროში...

– დიახ, ერთ-ერთმა დეპუტატმა თქვა, რომ კვლევა დაიწყო. სამსუხაროდ, ხშირად მომისმენია ხელისუფლების მხრიდან, რომ მოკვლევა დაიწყო, მაგრამ შემდეგ არანაირი შედეგი არ ჩანს ხოლმე. ახლაც, თუ კერძო პირები უფრო სწრაფები არიან კვლევაში, ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტრო, ეს ძალიან სამსუხაროა.

– რას შეიძლება დაუკავშირდეს დაგვიანება?

– არ ვიცი, ალბათ, ისინი უფრო საფუძვლიანად ცდილობენ ამის გამოკვლევას. ყოველ შემთხვევაში იმედია, მოვისმენთ ამის პასუხებსაც. მე რაც ვიცი, არის ის, რომ ფორუმზე ინტენსიური კვლევა მიმდინარეობს ამ საკითხზე, „ფეისბუქზე“ დაოსტეს კიდევ ვილატებმა რაღაც არგუმენტები.

– დაბოლოს, მინდა გკითხოთ, რამდენად აუცილებელია საქართველოსთვის, რომ გაგრძელდეს ISAF-ის პროგრამაში ქართველების მონაწილეობა?

– ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვიყოთ საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური წევრი და თანამონაწილე ამ ტიპის ოპერაციებში. ეს არ არის ოპერაცია ვინმეს წინააღმდეგ. ეს ოპერაცია არ დაწყებული ავღანეთის წინააღმდეგ. პირიქით, ეს იყო ოპერაცია ტერორისტებისგან ავღანეთის გასათავისუფლებლად. მასში მონაწილეობდა მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა. ბუნებრივია, მაშინ საქართველოს ჰქონდა ძალიან კარგი შესაძლებლობა, რომ ამ მიმართულებით ჩვენი აქტიურობა გვეჩვენებინა. ჩვენთვის იზოლაცია დამოუკიდებლობის დაკარგვის ტოლფასია. მე არ ვლაპარაკობ, რომ ჯარი რეალურად იქ იქნება, ან იქ იქნება ის სულისკვეთება, რასაც ჰქვია მეზობლის სულისკვეთება და ასე შემდეგ. ეს არგუმენტები გავნით გვერდზე. ძირითადი პოლიტიკური მიზეზები, რის გამოც ჩვენ ამ ოპერაციებში ვმონაწილეობთ, არის საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურ წევრად ყოფნის სურვილი და იმის სრული შეგნება, რომ, თუ ჩვენ საზღვარგარეთ და რეგიონის გარეთ ძლიერი მეგობრები არ გვეყოლებიან, მაშინ რეგიონი ვერ ასცდება ქაოსს და ჩვენი დამოუკიდებლობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

**„საერთოდ, მინდა იცოდეთ, რომ თალიბანი არ არის იმ ტიპის ორგანიზაცია, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას. მის უკან დგანან სახელმწიფოები“**

**EXCLUSIVE**



თბილისში ჯერ კიდევ ეგრეთ-  
თნოდებული ავღანელი თალიბე-  
ბის მიერ გავრცელებული ვიდეოს  
ავთენტურობაზე მსჯელობდნენ,  
როდესაც ჰელმანდის პროვინცი-  
აში კამიკაძემ თავიც აიფეთქა და  
7 ქართველი ჯარისკაცის სიცოცხ-  
ლეც შეინირა. ჯიჰადის მუქარის  
ავტორებსა და ჰელმანდის ტერა-  
ქტის უკან ქართველი ექსპერტების  
ნაწილი რუსულ კვალს ხედავს. გია  
ხუბაშვილის განცხადებით, არ არ-  
ის გამორიცხვად, ეს სწორედ რუ-  
სული სპეცსამსახურების გეგმის  
ნაწილი იყოს. ეჭვი ლოგიკურია,  
რადგან ვიდეოს გავრცელებამდე  
ზუსტად ორი დღით ადრე რუსეთის  
პრემიერმა, ვლადიმერ პუტინმა სა-  
კუთარი ქვეყნის ვალდებულებები  
მკაფიოდ და ლიად ჩამოაყალიბა:  
„რუსეთი იძულებული იქნება, მე-  
ზობელი ქვეყნების ნატო-ში განე-  
ვრიანების სურვილზე რეაგირება  
მოახდინოს“.

თავისუფლად შეიძლება ითქვას,  
რომ რუსეთის მიერ საქართველოში  
ანტინატორი კამპანია უკვე დაწყ-  
ებულია. ეს ყველაზე უკეთ სწორედ  
ქართველ პოლიტიკოსებს ესმით.  
საპარლამენტო უმრავლესობის  
წევრის, ირაკლი სესიაშვილის გა-  
ნცხადებით, მტრის მიზანი სწორად  
უნდა გაანალიზდეს და გაიშფოროს,  
რომ ავღანეთში ტერორისტები თავ-  
ის სწორედ იმისთვის იფეთქებენ,  
რომ ქართველებში შიში დაწერონ  
და გვაიძულონ, უარი ვთქვათ ნა-  
ტოზე.

თავდაცვის კომიტეტის ხელმძღ-  
ვანელის განცხადებით, საქართვე-  
ლოს გარკვეული ვალდებულებები  
აქვს. სესიაშვილის განცხადებით,  
2014 წლიდან ავღანეთში მოღვაწე  
ჯარისკაცების რეჟიმი შეიცვლება  
და რისკებიც მნიშვნელოვნად შე-  
მცირდება...

ამის პარალელურად რუსეთი  
მზადყოფნას გამოთქვამს საქარ-  
თველოსთან დიპლომატიური ურთი-  
ერთობის აღსადგენად, თუმცა, თავ-  
ის მხრივ, ერთ პირობას აყენებს:  
გაუქმდეს კანონი ოკუპირებული  
ტერიტორიების შესახებ. უმრავლ-  
ესობაში არ გამორიცხავენ, რომ ამ  
საკითხზე საუბარი კარასინი-აბაშ-  
იდის შეხვედრაზე რეალურად არც  
მოხდარა და უკვე შეხვედრის შე-  
მდეგ მოთხოვნის გავრცელება, უბ-  
რალოდ, რუსეთის დიპლომატიური  
ხრიკია...

ირაკლი სესიაშვილი, პარლამენ-  
ტის თავდაცვისა და უსაფრთხოებ-  
ის კომიტეტის ხელმძღვანელი:

– ბრიფინგზე ისაუბრო იმაზე, რის  
განხილვაც არ მოხდარა შეხვედრა-  
ზე, ჩვეულებრივი დიპლომატიური  
ხრიკია და ძალიან აპრობირებული  
მეთოდი. ამას რუსები იყენებდნენ  
ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ. ფაქტია,  
რომ რუსეთი ეძებს საბაბს ჩაშალოს  
პოზიტივი. ცდილობს, ხელის შეშლას  
კონსტრუქციული დიალოგის წარმ-  
ოებაში.

– თუმცა მანამდე კეთდებოდა  
განცხადებები, რომ მთავარი ხე-  
ლისშემშლელი ფაქტორი სააკაშვი-  
ლი იყო და რომ რუსეთი სხვა ნები-  
სმიერს დაელაპარაკებოდა, გარდა  
საკაშვილისა...

– ჩვენ სააკაშვილის ფაქტორი მო-  
ვსპეტი, ასევე, მოვხსენით ოლიმპიად-  
ის ფაქტორიც, რიტორიკაც შევცვა-  
ლეთ. ჩვენი ოპონენტები ამბობენ,  
რომ ეს არის დათმობის პოლიტიკა.  
არ დავეთანხმები, სად არის აქ და-  
თმობა? რამე დავთმეთ? მცოცავი  
ანექსია ადრეც იყო, უბრალოდ, ამას  
გვიმაღავდნენ. მთავარი სწორი სტ-  
რატეგიაა, როგორც კი სწორი სტ-  
რატეგიით დავინყებთ მოქმედებას,  
რუსეთი იძულებული იქნება, ჩვენს  
სტრატეგიას გამოჰყვეს.

– როგორია თქვენი სტრატეგია?  
ფაქტია, რომ ის არ არის მკვეთრი  
რეაქცია...

– მკვეთრი რეაქცია არის ის, რაც  
ყველაზე მეტად სურს რუსეთს. ჩვენი  
მხრიდან მკვეთრი რეაქციის დაფიქს-  
ირება და პოზიტიური შედეგების და-  
ნგრევა ერთი იქნება. აუცილებლად  
შევალთ ჩიხში. ჩვენ უნდა ვიყოთ შე-  
დეგზე ორიენტირებულები, რას მო-  
გვცემს ეს მკვეთრი რეაქცია?

– თავადვე თქვით, რომ მოხსენით  
საკაშვილის ფაქტორი, გადანყდა

# „შეიძლება ოკუპაციის შესახებ კანონში რალაც არაპრინციპული შეიცვალოს, ოღონდ რალაც პრინციპულის სანაცვლოდ“



EXCLUSIVE

ოლიმპიადში მონაწილეობის  
საკითხი, შეიცვალა რიტორი-  
კა, რუსეთი ითხოვს და ითხო-  
ვს უფრო მეტს იმ იმედით, რომ  
თქვენ ისევ დათმობთ...

– ითხოვს და იღებს მერე? რა  
მიიღოს საბასუხოდ რუსეთმა?

– ჩვენ რა მივიღეთ?

– ბაზარი გაგვეხსნა რუსე-  
თში, გარდა ამისა, დასავლეთი  
აღფრთოვანებულია ჩვენი მი-  
დგომით. გაისხენთ კლინტონ-  
ის, რასმუსენის, სარკოზის ვი-  
ზიტები. ყველა გვეუბნებოდა,  
რომ რუსეთთან უნდა აღგვედ-  
გინა ურთიერთობები. ჩვენ ვერ  
დავინყებდით დიალოგს, რადგ-  
ან სააკაშვილი გამოდიოდა ერთ  
ტრიბუნაზე და ადასტურებდა  
დიალოგის დაწყების მზაობას  
და იმავე ტრიბუნასთან შეურაც-  
ხყოფას აყენებდა პუტინს.

– როცა პრემიერმა განაცხ-  
ადა, რომ აღარ მოელოდა რუ-  
სეთისგან ასეთ ნაბიჯებს, რა  
მოლოდინები არსებობდა, ზო-  
გადად, მთავრობაში რუსეთის  
მხრიდან?

– მოლოდინი და პოზიტივი  
იყო ბაზრის გახსნა, მომდევნო  
მოლოდინი არის, ჩემი აზრით,  
მოსახლეობისთვის თავისუფა-  
ლი გადაადგილების საშუალებ-  
ის შექმნა.

– კარასინის განცხადებით,  
რუსეთი მზად არის, საქართვე-  
ლოსთან აღადგინოს დიპლომა-  
ტიური ურთიერთობები, რო-  
გორი მოსაზრებაა ამ საკითხზე  
მთავრობაში?

– ამაზე ხელისუფლება ნავა  
მხოლოდ ერთი პირობით: რუ-  
სეთმა აღიარება უნდა ნაილოს  
უკან. ვერ დავინყებთ დიპლომა-  
ტიურ ურთიერთობას ქვეყან-  
ასთან, რომელსაც ჩვენს ტე-  
რიტორიაზე სხვა საელჩო აქვს  
გახსნილი. ეს წარმოუდგენელ-  
ია. კომპრომისების თემაა ესეც  
და ოკუპაციის შესახებ კანონის  
გადახედვაც. ასე რომ, შეიძლე-  
ბა ოკუპაციის შესახებ კანონში  
რალაც არაპრინციპული შეიც-  
ვალოს, ოღონდ რალაც პრინ-  
ციპულის სანაცვლოდ. ასეთ  
შემთხვევაში რუსეთის მხრიდან  
ადეკვატური, შემხვედრი ნაბიჯი  
უნდა გადმოიდგას. მაგალითად,  
ისევე და ისევე აღიარების უკან  
ნაღება.

– ამას რუსეთი არ აპირებს,  
უკვე ვიცით.

– აღიარების უკან ნაღება უნ-  
და მოხდეს, ადრე თუ გვიან.

– რამდენად სწორი იყო თავ-  
დაცვის მინისტრის შევებულ-  
ებაში დარჩენა მაშინ, როცა  
საქართველოს სოფლებში მე-  
საზღვრეების მიერ საოკუპაცი-  
ო ზოლის გადმოწევა მიმდინ-  
არეობდა... არ ფიქრობთ, რომ  
ალასანიას შევებულება უნდა  
შეენყვიტა?

– პირველ რიგში, უნდა ით-

ქვას, რომ სისტემა მუშაობდა  
გაუჩერებლად, მინისტრის ძი-  
რითადი ფუნქციაც სწორედ ეს  
არის, რომ სისტემა მუდმივ მზ-  
ადყოფნაში იყოს. ალასანია, რა  
თქმა უნდა, აკონტროლებდა  
სიტუაციას და მუდმივ კავშირ-  
ზე იყო. მინისტრს ინფორმაციის  
საფუძველზე ჰქონდა ანალიზის  
საშუალება, შესაბამისად, შე-  
ვებულებაში დარჩენის გადანყ-  
ვეტილება მან პირადად მიიღო,  
პრემიერთან შეთანხმებით, რა  
თქმა უნდა.

– ანუ სწორი ნაბიჯი იყო შე-  
ვებულების გაგრძელება?

– ანალიზს აკეთებდა, სისტე-  
მა მუშაობდა, შესაბამისად, ირ-  
აკლი ალასანიამ ჩათვალა, რომ  
მისი იქ ყოფნა შეიძლება უფრო  
მნიშვნელოვანი ყოფილიყო.

– ეთანხმებით პრემიერის  
მოსაზრებას უშიშროების სა-  
ბჭოსა და მისი მდივნის მიმა-  
რთ?

– მე ზოგადად სკეპტიკურად  
ვუყურებ სააკაშვილისა და ბო-  
კერიას ფუნქციას ქვეყანაში.  
არჩევნების შემდეგ მე პირადად  
მათ ფუნქციას ვერ ვხედავ სა-  
ერთოდ.

– რატომ?

– რას აკეთებს სააკაშვილი?

– ის პრეზიდენტია.

– და რას აკეთებს?

– საერთაშორისო შეხვედრე-  
ბს მართავს...

– ჩვენ არ ვიცით, რა ტიპის  
მოლაპარაკებებს აწარმოებს  
პრეზიდენტი, რადგან ეს ვიზი-  
ტები მთავრობასთან არ არის  
შეთანხმებული. იყო პერიოდი,  
როცა საერთოდ უფუნქციოდ  
იყო პრეზიდენტი და სწორედ ამ-  
ის შემდეგ დაიწყო ეს ვიზიტები.  
ისიც ამ ვიზიტებს, რაც შემთ-  
ხვევებში, პრობლემები მოაქვს  
და მეტი არაფერი. რაც შეეხება  
ბოკერიას, მე მას არ მივიჩნევ  
რაიმე ღირებულ ჩინოვნიკად.  
ბოკერია არის უშიშროების სა-  
ბჭოს მდივანი, არის პირდაპირი  
გაგებით მდივანი, რომელიც  
პრეზიდენტის განკარგულებაში  
გაცემულ სხდომას ორგანიზე-  
ბას უწევს. ბოკერიას მიმართ  
კითხვები ჯერ კიდევ წინასაარ-  
ჩევნოდ არსებობდა, როდესაც  
გამოამყარა, რომ უშიშრო-  
ების საბჭოდან იხარჯებოდა  
მილიონობით ლარი ლობისტური  
კომპანიებზე. ეს ლობისტური  
კომპანიები, თავის მხრივ, ლიად  
აფიქსირებდნენ მხარდაჭერას  
„ნაციონალური მოძრაობის“ მი-  
მართ და „ქართულ ოცნებას“  
რუსულ პროექტს უწოდებდნენ,  
თანაც აბსოლუტურად უსაფუძ-  
ვლოდ. სწორედ ამიტომ მაქვს  
საფუძვლიანი ეჭვი, რომ უშიშ-  
როების საბჭოსთვის განკუთ-  
ვნილი მილიონები იხარჯებოდა  
ვინაშე პოლიტიკური ინტერესე-  
ბისთვის.

**ირაკლი სესიაშვილი:**  
**„მერ დავინყებთ  
დიპლომატიურ  
ურთიერთობას  
ძვეყანასთან, რომელსაც  
ჩვენს ტერიტორიაზე სხვა  
საელჩო აქვს გახსნილი“**

# გიორგი თავდგირიძე: „უმცირესობაც და უმრავლესობაც თანხმდებიან – საქართველოსთვის ქალიან ენიშვნალოვანია ნატოს მისია. თუმცა არც ერთი არ აკეთებს არაფერს, რომ ამაში საზოგადოებაც დაარწმუნოს“

# EXCLUSIVE

**my View**  
ნათუნა  
მგალობლიძევილი

ექსპერტები ადასტურებენ, რომ თალიბების სახელით გავრცელებული ვიდეო ტერორისტების დამზადებული არ არის. სამხედრო ექსპერტ გიორგი თავდგირიძის განმარტებით, მსგავს ვიდეორგოლს ტექნოლოგიებში კარგად გათვითცნობიერებული ბავშვიც კი მოამზადებს. შესაბამისად, რეალური დამგეგმავი აბსოლუტურად სხვა არის, ის, ვინც ყველაზე მეტადაა დაინტერესებული, საქართველომ უარი თქვა ნატოზე...

თავდგირიძის განმარტებით, ამ ვითარებაში ქალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ზუსტად და სწორად განემარტოს, რატომ უნდა მიიღოს საქართველომ ნატოს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა.

**გიორგი თავდგირიძე, სამხედრო ექსპერტი:**

– ახლა ნებისმიერი ინტერპრეტაცია იქნება სპეკულაცია. ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, ვინ შეუქმნა ეს ვიდეო, ან რატომ შეუქმნა. იყო ეს გაბოროტებული ადამიანი, თუ ადამიანების ჯგუფი, რომელსაც თავისი ინტერესები ამოძრავებდა. ამიტომ ყველაზე მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ დაველოდოთ გამოძიებას და ზუსტად დავადგინოთ, რა მიზნით მოხდა ამ ვიდეოს ავტორთა.

**– მიგაჩნიათ, რომ ეს ნამდვილად თალიბების მიერ არის გავრცელებული და გავრცელებული?**

– თავიდანვე ცხადად ჩანდა, რომ ეს არც იყო და არც ჰგავდა თალიბების ან რომელიმე ტერორისტული ორგანიზაციის მიერ დამზადებულ ვიდეოს და მასში არსებულ მესიჯებს. თუმცა საზოგადო-

ებაზე დიდი გავლენა მოახდინა და ეს პანიკა, რომელიც დღეს არსებობს საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, გამოწვეულია ქართული პოლიტიკური სპექტრის სისუსტით და ექსპერტების მიმართ ნდობის არარსებობით. ქართული საზოგადოება არ ენდობა არც პოლიტიკოსებს და არც ექსპერტებს, ამიტომ მათში ნებისმიერი მსგავსი ვიდეო პანიკას იწვევს და გაურკვეველობაში ვარდნობა. სამწუხაროდ, ჩვენი პრობლემა არის არა ეს ვიდეო, არამედ ის, რომ სახელმწიფო არის ქალიან სუსტი რეაგირების მხრივ.

**– შეგიძლიათ, უფრო დეტალურად განმარტოთ, რით დასტურდება, რომ ეს ვიდეო არ არის თალიბების დამზადებული?**

– ის, რომ მსგავსი მუქარა სერიოზულად აღიქვას, უნდა მოხდეს კონკრეტული პიროვნების იდენტიფიცირება, ამ ვიდეოში არ მომხდარა არანაირი იდენტიფიცირება. მას, ვისაც ძალუძს განახორციელოს ჯიჰადი და ტერორისტული აქტი საქართველოს წინააღმდეგ, ისიც ძალუძს, რომ იდენტიფიცირება მოახდინოს და როგორც წესი, ასეთ ვიდეოებზე მზადებას საკმაოდ დიდხანს ანდომებენ. ასეთი დაჯგუფების ლიდერი, როგორც წესი, თავად ჩნდება და სწორედ ამით ცდილობს, დაარწმუნოს საკუთარი მოქმედების რეალუბაში. დღეს კი მსგავსი კლიპების მომზადება ტექნოლოგიებში კარგად გათვითცნობიერებული ბავშვსაც კი შეუძლია. ვფიქრობ, საზოგადოებამ ბევრად უფრო სერიოზულად აღიქვას ეს მუქარა, ვიდრე ამ ვიდეოს უკან იგულისხმებოდა.

**– რამდენად ხედავთ ამ ვიდეოს უკან ნატოს სანაწარმდგომო მოქმედებებს და ელოდებით თუ არა, რომ მოსახლეობის მოთხოვნა – ავღანეთიდან ქართველი ჯარისკაცების გამოყვანა მასობრივი გახდება?**

– ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფს აქვს

უფლება, გამოხატოს თავისი ინტერესები, გამართოს საპროტესტო აქცია, ეს მათი უფლებაა და შეუძლიათ მოითხოვონ ქართველი ჯარისკაცების გამოყვანა, თუმცა მე ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ. მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის ქალიან მნიშვნელოვანია, მონაწილეობა მიიღოს ამ მისიაში. მით უმეტეს, რომ ეს გავრცელებული ნატოს მონაწილეობის მიმართული ოპერაცია. საქართველო ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს მსოფლიოს უსაფრთხოების საქმეში. რაც შეეხება უშუალოდ ვიდეოს, არ ვფიქრობ, რომ ეს კიდევ გაზრდის ნატოს მონაწილეობას ჯგუფს, რადგან მოსახლეობაში უკვე საკმაოდ დიდხანს ანდომებენ. ამის მთავარი მიზეზი, გარდა ობიექტური მიზეზებისა, არის ის, რომ პოლიტიკურ ელიტას არ შეუძლია, საზოგადოება დაარწმუნოს თავისი მოქმედების სისწორეში. პოლიტიკოსები არიან ცალკე, დაკავებულები არიან ძირითადად ურთიერთიმიზნობით და საზოგადოება არის ცალკე. საზოგადოება და ეგრეთწოდებული პოლიტიკური ელიტა ერთმანეთისგან გათიშულია.

**– ელოდებით, რომ საზოგადოებ-**

**ის მოთხოვნა მასობრივი გახდება?**

– ეს პოზიციები უკვე იკვეთება, თუმცა საპარლამენტო უმცირესობაც და უმრავლესობაც ერთ აზრზე თანხმდებიან – საქართველოსთვის ქალიან მნიშვნელოვანია მისია. თუმცა არც ერთი არაფერს არ აკეთებს, რომ საზოგადოებაც დაარწმუნოს ამაში.

**– რა უნდა გაკეთდეს მმართველი გუნდის მიერ, რომ საზოგადოებამ გაიგოს ამ მისიის აუცილებლობა?**

– თუნდაც ყველაზე მარტივი – უნდა იაქტიურდეს თავდაცვის მინისტრმა. თავდაცვის მინისტრი

უუნარობაზე. როგორც ჩანს, სადავები გაუშვეს ხელიდან და შესაბამისად, ეს ვითარება არის გამოსასწორებელი. გარდა ამისა, მმართველმა ძალამ საზოგადოებას გარანტია უნდა მისცეს, რომ შემთხვევითობის გამო იქ ქართველები არ უნდა დაიღუპონ. ეს გარანტია, პირველ რიგში, პრემიერ-მინისტრისგან უნდა მოდიოდეს. ამ გარანტიას, ბუნებრივია, ქმედებებიც უნდა მოჰყვეს – თავდაცვის სისტემაში რეორგანიზაცია და ცვლილებები.

**– თუმცა ავღანეთში მყოფი ქართველების უსაფრთხოებაზე ამერიკელებიც არიან პასუხისმგებლები...**

– ამერიკული მხარე პასუხისმგებელია მხოლოდ ოპერაციის დროს უსაფრთხოების ყველა ზომაზე. ბაზაზე ყოფნის დროს, ბუნებრივია, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია ის კონტინგენტი, რომელიც იქ არის განთავსებული. აქ საუბარია ქართული კონტინგენტის დისციპლინაზე. ფართომასშტაბიან შეტევებზე იქ არავინ ახორციელებს, საუბარია ცალკეულ რეციდივებსა და ცალკეულ შემთხვევებზე, რომელზე პასუხისმგებელია თავისუფლად შეუძლია ქართულ მხარეს. თავად კონტინგენტის მომზადების ხარისხსა და დონეზე პასუხისმგებელი საქართველოს შესაბამისი უწყებებია.

**– თქვენ ამბობთ, რომ ამ შემთხვევაში მთავარი პასუხისმგებელი ირაკლი ალასანიია?**

– ირაკლი ალასანიას წინა ინციდენტის დროს უნდა დაესაჯა პასუხისმგებელი პირები. ასეთ შემთხვევაში მას შეეძლო საზოგადოებისთვის აეხსნა, რომ გაატარა ყველა ღონისძიება, რომელიც თავიდან აიცილებდა დაღუპვის ფაქტებს გაუფრთხილებლობის გამო. წინა ინციდენტს, როცა სამი ჯარისკაცი დაიღუპა და 27 ადამიანი დაიჭრა, არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია ქართული მხარისგან. არ დასჯილა არც შენაერთის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი, აქედან გამომდინარე, ირაკლი ალასანიას პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე საუბარი შეიძლება დაიწყოს. ეს არის პოლიტიკური ფიგურა, რომელიც პასუხს აგებს თავდაცვის სისტემაზე.

**– არის საფრთხე, რომ თუნდაც თბილისში მოჰყვეს გაგრძელება ამ მუქარას და მოხდეს რაიმე პროვოკაციები?**

– ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველოს გარეთ მყოფ რომელიმე ტერორისტულ ჯგუფს ჰქონდეს ქსელი საქართველოში და მათ შეეძლოს ტერაქტების განხორციელება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას რომ შესაბამისმა უწყებებმა არ უნდა გააძლიერონ უსაფრთხოების ზომები, რადგან სხვა დაინტერესებულმა ჯგუფებმა შეიძლება ისარგებლონ ამ სიტუაციით და რაიმე პროვოკაცია მოახდინონ.

**– ვის გულისხმობთ?**

– საუბარი მაქვს არა თალიბებზე, რა თქმა უნდა, არამედ სხვა დაინტერესებულ ჯგუფებზე. სწორედ ამიტომ არის საჭირო უსაფრთხოების ზომების გატარება.

**„დღეს მსგავსი კლიპების მომზადება ტექნოლოგიები კარგად გათვითცნობიერებულ ბავშვსაც კი შეუძლია“**



**„თუ დააკვირდებით, ბოლო სამი უამთხვევს, რომელსაც მსხვერპლი მთავრდება, უსაფრთხოების ზომების დარღვევით იყო გამოწვეული“**

# რა ინტერესები ჰქონდათ გადახდის მოადგილეს და როგორ ჩაან...

## „პროკურატურამ ახლაც შეამოიწვალა, რომ გამიფორმებენ საპროცესო შეთანხმებას ფულის გადახდის გარეშე, მაგრამ პრაქტიკაში უნდა ვაღიარო. რა თქმა უნდა, ამას არ გავაკეთებ“



მარიამ ნადირაძე

როცა ურემი გადაბრუნდა და გზა გამოჩნდა, ანუ ხელისუფლების ცვლის შემდეგ, სააკაშვილის მმართველობის 9-წლიან პერიოდზე ჩვენმა მკითხველმა უამრავი ისტორია ნაიკითხა და მოისმინა. ბევრი, ალბათ, ისეთიც იყო, ყველაზე კომპარულ ფილმებშიც რომ არ უნახავთ, მაგრამ თემას, რომელსაც ქვემოთ შემოთავაზებულ ინტერვიუში გაგიმეორავთ, ჯერ არავინ შეხებია.

საქმე გადახდების ბიზნესს შეეხება და იმ სქემას, თუ როგორ ჩაენაცვლა ხელისუფლება კერძო პირებს და ფირმებს ამ ბიზნესში. როგორ აანკვეს ეს სისტემა დავით კეზერაშვილმა და დავით ქარსელაძემ? როგორ გაუსწორდნენ კონკურენტებს და როგორ ჩაანაცვლა მოგვიანებით კეზერაშვილი ვნო მერაბიშვილმა?

ამ ყველაფერს კი ერთი კონკრეტული ფირმის, „ქარაენისა“ და მისი მფლობელის, გენრიხ აროშვილის მაგალითზე გავამბობთ:

**გენრიხ აროშვიცი:**

– ვარდების რევოლუციამდე ყველაფერი არეულ-დარეული იყო. მით უმეტეს, იმ მიმართულებით, რაზეც მე და ჩემი მეგობრები ვმუშაობდით. ეს იყო აზერბაიჯანი-საქართველოს მიმართულება. მაშინ იქიდან ყველაწარადაც გადმოდიოდა ტვირთი – ურემებით, ველოსიპედებით, ცხენებით, ვირებით... ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში – ავტობუსებით.

**– რა ტიპის ტვირთი გადმოგქონდათ?**

– შერეული, ანუ საუბარი მაქვს ენ. „კარგო“ გადახდებზე. რევოლუციის შემდეგ, როცა საფინანსო პოლიცია შეიქმნა, დაუკავშირდით მის ხელმძღვანელობას, რადგან გვექონდა ინფორმაცია, რომ ამ საქმიანობის ერთგვარი დალაგებით სწორედ ეს უნდა იყო დაკავებული. მათი მოთხოვნით, ამ ყველაფერს ცივილიზებული ფორმა უნდა მისცემოდა. ანუ, საბაჟო რეჟიმში უნდა ჩამდგარიყო ტრალიერი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, შემდეგ საქართველოში უნდა განბაჟებულიყო. სწორედ ამ განბაჟებაზე შევარჩევთ თქვენს ყურადღებას. როდესაც ჩვენ აუფსენით ფინანსურ პოლიციას, რომ მთელ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკით განბაჟება ხდება ინვოისის საფუძველზე, ამაზე მივიღეთ სასტიკი უარი, – ჩვენ არ ვენდობით ინვოისებს, ვინაიდან ის ნებისმიერი სახით ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება დაიბეჭდოს. ნარმოგდგენიან უზარმაზარი ტრალიერი, ანუ 25 ტონა ტვირთი ეკუთვნოდეს ერთ კომპანიას? ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება. ჩვენ ვუხსნიდით, რომ ჩვენი პრეროგატივა ლოგისტიკა, გადახდვა და საბოკერო მომსახურება იყო და არა ვაჭრობა.

**– გადახდაზე შეკვეთებს კონკრეტული კომპანიებისგან იღებდით?**

– არა, კერძო პირებისგან აზერბაიჯანში, რომლებიც იყვნენ დაკავებულნი ვაჭრობით ლილოს ბაზრობაზე და სადახლოზე. ჩვენ ფინანსურ პოლიციას შევთავაზეთ, რომ შეგვეძლო, დაგვერწმუნებინა ჩვენი კლიენტები, ინდემნარმებად დარეგისტრირებულიყვნენ და ინვოისები მათ სახელზე გამოინერებოდა. მაინც უარზე იყვნენ. ფინანსური პოლიციიდან ვიღებდით სიტყვიერ ბრძანებებს, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონია საბაჟო კოდექსთან.

**– ინვოისები რით ჩაანაცვლეს?**

– მოიგონეს კუბაჟობით განბაჟება. ანუ იზომებოდა ტვირთის მოცულობა და კუბზე გარკვეული თანხა იყო გადასახდელი. ეს იყო აბსოლუტური სისულელე. სხვადასხვა ქვეყნიდან სხვადასხვა ტვირთი მოდის. ყველას ერთნაირი ღირებულება არ აქვს. ჩინელები, მაგალითად, უზარმაზარ ფუთებს ისე პრესავენ, ისეთ ვაკუუმს ქმნიან, ერთი პატარა ფუთა რომ გაიშალოს, სპორტის სასახლე არ ეყოფა. მერე მოიგონეს დამოუკიდებელი ექსპერტის ცნება. საერთოდ, გაუგებარი იყო, რად უნდოდა ექსპერტიზა ტვირთს. ეს მესმის, როდესაც არსებობს ოპერატიული ინფორმაცია პრობლემატური ტვირთის შესახებ, მაგრამ ესენი ტრალიერის ყოველ ჩამოყვანაზე, ძლიერ ტვირთს და ერთი ტრალიერის განბაჟებას სჭირდება კვირები. ამან თვითონ ვაჭრების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან ბაზრობებზე დახლები ცარიელი რჩებოდა. ბოლოს და ბოლოს, ფინანსურ პოლიციაში მიხედნენ, ასე შორს რომ ვერ წავიდოდნენ. ინვოისზე კვლავ უარს აცხადებდნენ, მაგრამ მოითხოვეს მისი შესწავლა ხელნაწერის სია, ანუ როცა ტვირთს ჩაიბარებ, უნდა აღწერო და ეს სია უნდა გამოატანო ტრალიერს. ეს მუშაობას გაუადვილებდა ექსპერტებს, ტვირთის ერთ ნაწილს შეამოწმებდნენ, ნაწილს კი ამ სიის მიხედვით გაატარებდნენ. დუბლიკატს მე ვიტყვებდი აზერბაიჯანში. შემდეგ ექსპერტები ამ სიას აძლევდნენ დეკლარაციის სახეს და ტვირთი უკვე განბაჟებულად ითვლებოდა.

**– ეს ექსპერტები საკანონმდებლო საფუძველზე შემოყვანეს?**



გენრიხ აროშვიცი

– არა. ეს იყო შპს, რომელიც იყო ჯერ „ლილო 1“-ში, შემდეგ კი – კობა ბუქაურის „ოპიზაში“. ისე, ამ ტერმინალებს თემაც ძალიან საინტერესოა. მათაც ისე ექცეოდნენ, როგორც გადამზიდველებს. ვთქვით, გაჩნდა ახალი ტერმინალი, რომელიც ხელისუფლების ინტერესი იყო. თუნდაც ვთქვათ, „ოპიზის“ მაგალითზე. „ლილო 1“-ში კი არ მიდიოდნენ და სახეცოცხე კი არ ანებსდნენ, ჩვენ გადაამზიდველებს, გვეთხოვდნენ ფინანსურ პოლიციაში, რომ ტვირთი მაინცდამაინც „ოპიზაში“ შეგვეყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც მოგვივლიდა, საკუთარი თავისთვის დაგვებრალებინა. ასე ვაკოტრეს და დააქციეს „ლილო 1“, რომელიც წლების განმავლობაში ემსახურებოდა გადახდებებს. ერთი სიტყვით, ერთხელ ჩემმა მეგობრებმა შემატყობინეს, რომ ტრალიერი რუსთავის გზატკეცილზე დააკავა ფინანსურმა პოლიციამ ალურიცხავი რამდენიმე სატელეფონური ანტენის გამო. არადა დუბლიკატში ჩავიხედე და იქ ეს ანტენები აღრიცხული იყო. ვერ გეტყვით, ექსპერტებს გამორჩათ თუ არა მათი გატარება, მაგრამ ფაქტია, მათთვის არავის არაფერი უკითხავს. ეს იყო მიზანმიმართული აქტი ჩვენი კომპანიის მიმართ, რომელმაც თავის დროზე მაძლობა მიიღო პირადად კეზერაშვილისგან, რომ აზერბაიჯანიდან გადახდებებს მივეცით

...მსოფლიოს მასშტაბით ძალიან ცოტა არადემოკრატიული ქვეყნის დასახლება შეიძლება, სადაც წესრიგის დამცველები ასეთი, სრულიად არაადეკვატური, ველური სისასტიკითა და საიდისტური ალტკინებით უსწორდებიან მშვიდობიან დემონსტრანტებს, ქე-

რემიები. მაგალითად, მაღალი პრემიები გაიცა 26 მაისის სისასტიკით გამოჩენილ დარბევში მონაწილეებისთვის (მინიმალური პრემიის რაოდენობა რიგითი დამრბევებისთვის 1200 ლარს შეადგენდა). ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შედეგად აფრასიძეების, ბუტა რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაძეებისა და სხვა მრავალი მოქალაქის დახვრება ტელეკამერებისა და ცოცხალი მონაწილეების თვალწინ, მტკიცებულებათა გაყალბება დამნაშავე პოლიციელთათვის ხელის დასაფარებლად, სისხლიანი სპეცოპერაციებში მონაწილე პირთა ნახალისება და სხვა. რეალური კრიმინალთან ბრძოლის პარალელურად, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა გახდა მთელი საზოგადოების დამინების ეფექტური იარაღი...

სისტემის თავგასულობის მწვერვალი იყო საწარმო გირველიანის გატაცება, სადისტური ნაშვები და მხეცური მკვლელობა...

ოფიციალური ძალისხმევის სტრუქტურების პოლიტიკის პარალელურად, საქართველოს კანონმდებლობის გვერდის ავლით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელისუფლებო გუნდი ქმნიდა, წერთინდა და აფინანსებდა უკანონო, ნახევრად გასამხედროებულ დაჯგუფებებს, ე.წ. „ზონდერბრიგადებს“, რომლებიც გამოიყენებოდა საზოგადოებრივად აქტიურ მოქალაქეებთან ან ცალკეულ პოლიტიკოსებთან ფიზიკური ახგარბმსნობების, საპროტესტო აქციების დახვრებისა და მოსახლეობის ტერორიზებისთვის.

ეს დაჯგუფებები კომპლექტდებოდა ახალგაზრდა, ფიზიკურად ძლიერი, ფანატურად განწყობილი მამაკაცებისგან, რომლებიც არასათანადო იარაღით, რკინის ჯოხებითა და არმატურის ნაჭრებით იყვნენ აღჭურვილი და სამოქალაქო ტანსაცმელს ატარებდნენ. ისინი მოქმედებდნენ როგორც ოფიციალურ დასაოფებსა და სპეცდანიშნულების რაზმებთან ერთად, ისე დამოუკიდებლად. ეს უკანონო ფორმირებები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მაღალი თანამდებობის პირები, გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სისასტიკითა და დაუნდობლობით. 2007-2012 წლებში მათ მიერ სასიკვდილოდ იქნა ნაცემი და დასახინჩვეული ათასობით მშვიდობიანი დემონსტრანტი, ოპოზიციონერი და რეჟიმის მონინალმდეგე... ამ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრები დაუფარავლად ტრახახობდნენ, რომ ძალისხმევით შეთქმულების გამოყენებით მათ „ქუჩა“ დაუქვედებარეს მმართველ პოლიტიკურ ძალას. ამ კანონსაწინააღმდეგო, ბარბაროსული ქმედებების სანაცვლოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მათ სთავაზობდა დაუსჯელობის გარანტიებსა და მატერიალურ კეთილდღეობას.

...ყველა დონის სასამართლოებზე სრული პოლიტიკური და ადმინისტრაციული კონტროლის დამყარება შესაძლებელი გახდა ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის შეცვლით, სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებით, იდეოლოგიური და ასაკობრივი ნიშნით ჩატარებული საკადრო წმენდით, მოსამართლეებზე განხორციელებული ზენილის, მანტაჟის, ცალკეულ შემთხვევებში კი პირდაპირი ფიზიკური ზემოქმედების საშუალებით. პროფესიული და ადამიანური ღირსების მქონე მოსამართლეების უმრავლესობა მოექცა მორალური და ადმინისტრაციული ტერორის ქვეშ და იძულებული გახდა, თავისი პროფესია მიეტოვებინა.

...ადვოკატის პროფესიამ, ფაქტობრივად, დაკარგა აზრი, ხოლო მოსამართლეების წაერთვება საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნების ელემენტარული უფლებაც კი. მთელი სასამართლო სისტემა ყოველსავე მთელ პროკურატურის მიქველდა და ადმინისტრაციული დანაშაულები დადებულა. დაფიქსირებული შემთხვევა, როდესაც ადამიანს მრავალწლიანი პატიმრობა მიესაჯა იმ მოქალაქის მკვლელობისთვის, რომელიც ცოცხალი და სალ-სალამათი იყო. სასამართლო არ დაინტერესებულა არც საქმეში არც ვინაობის მიხედვით პროკურატურის მიქველდა, მის ფორმალურ დანაშაულებს გადიქცა. დაფიქსირებული შემთხვევა, როდესაც ადამიანს მრავალწლიანი პატიმრობა მიესაჯა იმ მოქალაქის მკვლელობისთვის, რომელიც ცოცხალი და სალ-სალამათი იყო. სასამართლო არ დაინტერესებულა არც საქმეში არც ვინაობის მიხედვით პროკურატურის მიქველდა, მის ფორმალურ დანაშაულებს გადიქცა. დაფიქსირებული შემთხვევა, როდესაც ადამიანს მრავალწლიანი პატიმრობა მიესაჯა იმ მოქალაქის მკვლელობისთვის, რომელიც ცოცხალი და სალ-სალამათი იყო. სასამართლო არ დაინტერესებულა არც საქმეში არც ვინაობის მიხედვით პროკურატურის მიქველდა, მის ფორმალურ დანაშაულებს გადიქცა.

**„სისტემის თავგასულობის მწვერვალი იყო სანდრო გირველიანის ბატაცება, სადისტური ნაშვები და მხეცური მკვლელობა...“**

იყო განწყობილი ახალი მმართველი ძალისადმი.

საკუთარი იდეებისა და შეხედულებების ტოტალური დამკვიდრებისთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე იერიში მიიტანა მასმედიაზე, უმაღლეს სასწავლებლებზე, მეცნიერებისა და კულტურის ცენტრებზე, დამოუკიდებელი ტელემაუწყებლების დამორჩილება და საკუთარ პარტიის პროპაგანდისტულ იარაღად ქცევა ხდებოდა მუქარის, შანტაჟის, ყალბი ბრალდებებისა და, აგრეთვე, ტელეარხებზე პირდაპირი შეიარაღებული თავდასხმის გზით (მაგ., ტელეკომპანია „იბერია“, „იმედი“). მედიასაშუალებათა მფლობელებს აიძულებდნენ, უარი ეთქვათ საკუთარებაზე. ქვეყნის მასშტაბით დაუწყებულმა ტელეარხებმა რამდენჯერმე შეიცვალეს მფლობელები და საბოლოოდ აღმოჩნდნენ ქვეყნის გარეთ, ოფორული ზონებში რეგისტრირებული ფირმების ხელში, რომელთა ზურგს უკან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიურად სანდო, პარტიულ-სახელისუფლებო მეთაურთა დახალისებული წევრები, ან მათთან დანაშაულებრივ ალიანსში მყოფი პირები იდგნენ...

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ჩრდილოვანი დოქტრინა „არასრულფასოვანი ქართველი ხალხის“ მორჩილ, ადვილად სამართავ მასად გარდაქმნის შესახებ დასაფუძვლად დაყოფილი უნივერსიტეტების ავტონომიის განადგურებას, უმაღლეს სასწავლებლებში ნაშვების ფაქტუალური მოშლასა და სამეცნიერო კვლევების ფაქტობრივ გაუქმებას. კრიტიკულად მოაზროვნე პროფესორ-მასწავლებლები უაპელაციოდ ცხადდებოდნენ კორუმპირებულ, საბჭოური მენტალიტეტის მატარებელ, ლიბერალური იდეებისადმი მტრულად განწყობილ და დემოკრატიული ფასეულობების არმქონე პირებად. რექტორების თანამდებობა დაიკავეს დაბალი სამეცნიერო კვალიფიკაციის მქონე პარტიულმა იდეოლოგებმა. მა-

თი ხელთ უნივერსიტეტებში ტარდებოდა იდეოლოგიური საკადრო წმენდა, რის შედეგადაც სამუშაო ადგილი დაკარგა ასეულობით კვალიფიციურმა სპეციალისტმა, ნიჭიერმა მეცნიერმა და ლექტორმა. „რეფორმა“ ტარდებოდა განსაკუთრებული ცინიზმითა და სისასტიკით, პოლიტიკური დანაყოფების უნივერსიტეტში მეცნიერი, პროფესორ-მასწავლებლებზე განხორციელებული მორალური და ფიზიკური ტერორის გამოყენებით.

პარტიული იდეოლოგები, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთისა და უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები ახდენდნენ სტუდენტთა ახალგაზრდობის იდეოლოგიურ დამუშავებას, ანარქოებდნენ მათ მოსყიდვას სხვადასხვა სახის გრანტების მეშვეობით და ქმნიდნენ „სტუდენტური ელზა“დ ნოდებულ ჯგუფებს ახალგაზრდებზე პოლიტიკური კონტროლისა და ეფექტური მართვისთვის. ეს ჯგუფები, 20-30-იანი წლების საბჭოთა კომპაგნილების მსგავსად, ახორციელებდნენ თვალთვალს, დასმენებსა და ფიზიკურ ტერორს კრიტიკულად მოაზროვნე თანატოლებზე, ორგანიზებას უკეთებდნენ და უზრუნველყოფდნენ სტუდენტთა მონაწილეობას პარტიულ და სახელისუფლებო ღონისძიებებში, აქტიურად ერთვებოდნენ საარჩევნო პროცესებში, ახდენდნენ რეჟიმის მომხრეთა მოზილიზაციას და ა.შ. სანაცვლოდ, სისტემა მათ უზრუნველყოფდა სრული ხელშეუხებლობით, მატერიალური კეთილდღეობით, ხოლო ლიდერები – მაღალი სახელმწიფო თანამდებობებით...

...მათ ჩაიფიქრეს და განახორციელეს მსოფლიოში აღიარებული ქართული სამეცნიერო ცენტრების ლიკვიდაცია, მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი კვლევითი ინსტიტუტების გადაქცევა სხვადასხვა, უკვე „რეფორმირებული“ უმაღლესი სასწავლებლების მცირე, მარქტიკულად უსასწრო და ქმედითუნარი განყოფილებებად, რაც ქვეყანაში სამეცნიერ-

რომ მათ ეს ამოცანა წარმატებით შეასრულეს რუსი აგრესორების მიერ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციის, ასევე მეტი ქართული სოფლის მიწასთან გასწორების, ქალაქების ბარბაროსული დაბომბვის, ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის, უამრავი დაკარგული სიცოცხლისა და უსაზღვროდ დარჩენილ ტელევიზიისა მრავალათასიანი ახალი ტალღის ხარჯზე...

ეს დაჯგუფებები კომპლექტდებოდა ახალგაზრდა, ფიზიკურად ძლიერი, ფანატურად განწყობილი მამაკაცებისგან, რომლებიც არასათანადო იარაღით, რკინის ჯოხებითა და არმატურის ნაჭრებით იყვნენ აღჭურვილი და სამოქალაქო ტანსაცმელს ატარებდნენ. ისინი მოქმედებდნენ როგორც ოფიციალურ დასაოფებსა და სპეცდანიშნულების რაზმებთან ერთად, ისე დამოუკიდებლად. ეს უკანონო ფორმირებები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მაღალი თანამდებობის პირები, გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სისასტიკითა და დაუნდობლობით. 2007-2012 წლებში მათ მიერ სასიკვდილოდ იქნა ნაცემი და დასახინჩვეული ათასობით მშვიდობიანი დემონსტრანტი, ოპოზიციონერი და რეჟიმის მონინალმდეგე... ამ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრები დაუფარავლად ტრახახობდნენ, რომ ძალისხმევით შეთქმულების გამოყენებით მათ „ქუჩა“ დაუქვედებარეს მმართველ პოლიტიკურ ძალას. ამ კანონსაწინააღმდეგო, ბარბაროსული ქმედებების სანაცვლოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მათ სთავაზობდა დაუსჯელობის გარანტიებსა და მატერიალურ კეთილდღეობას.

...ყველა დონის სასამართლოებზე სრული პოლიტიკური და ადმინისტრაციული კონტროლის დამყარება შესაძლებელი გახდა ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის შეცვლით, სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებით, იდეოლოგიური და ასაკობრივი ნიშნით ჩატარებული საკადრო წმენდით, მოსამართლეებზე განხორციელებული ზენილის, მანტაჟის, ცალკეულ შემთხვევებში კი პირდაპირი ფიზიკური ზემოქმედების საშუალებით. პროფესიული და ადამიანური ღირსების მქონე მოსამართლეების უმრავლესობა მოექცა მორალური და ადმინისტრაციული ტერორის ქვეშ და იძულებული გახდა, თავისი პროფესია მიეტოვებინა.

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაზრთხილუბთ



- გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მზუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომნამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.
- უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

## ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;
- სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;
- გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;
- შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოალეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმართო ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.



## დარეკეთ 114-ზე!

- გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;
- ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.

## კატეგორიულად აკრძალულია!

- საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების განოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);
- სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;
- არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;
- გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);
- დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ლუმენისა;
- გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
- ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.

## გახსოვდეთ, რომ:

- პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.

## პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.



# „ისინი, ვინც ჩემზე ზენოლას ახდენდნენ, დღესაც პროკურატურაში მუშაობენ“



მაია წონორია სულ ორი თვეა პატიმრობიდან ამნისტიით გათავისუფლდა. მან რუსთავის ქალთა დაწესებულებაში 2 წელი და 9 თვე დაჰყო, თუმცა შეკრებების პრინციპით, 21 წელი ჰქონდა მისჯილი. თაღლითობის ბრალდებით დაკავებული წონორია, მისი საქმის ხელახალ გამოძიებას და ყველა იმ პირის პასუხისმგებლობაში მიცემას მოითხოვს, ვინც მასზე ზენოლით, თამარ თამაზაშვილისთვის ბრალის დამძიმებას ცდილობდა. ერთ-ერთი მათგანი გოჩა ბალატორიძეა, რომელიც თამაზაშვილის საქმეზე, ხუთ თანამშრომელთან ერთად უკვე დაკავებულია.

მაია წონორია წლების განმავლობაში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, კახა თარგამაძის მინისტრობის პერიოდში ის მინისტრის მოადგილის თანამემხნე იყო. სისტემაში მუშაობის პერიოდში გაიცილა მან თამარ თამაზაშვილი, რაც პროკურატურისთვის ცნობილი იყო.

**მაია წონორია:** „რამდენიმე წელი ვმუშაობდი შინაგან საქმეთა სამინისტროში, ვიყავი კახა თარგამაძის მოადგილის თანამემხნე. გადასარევედ ვიცნობდი მამინდელ ჩინოვნიკებს. როგორც კი დამაკავეს, 2010 წელს, ჩემს მიმართ ნაყენებული ბრალი აბსურდული იყო. მე დაზარალებული მხარეც კი არ მყავდა. შეეძლოთ ნებისმიერ დროს გაეკეთებინათ საპროცესო, თუმცა, ვინაიდან სხვა ინტერესიც იყო, აქედან გამომდინარე, არანაირი შეღავათი არ გავკეთდა. თავიდანვე იგრძნობოდა, რომ არანაირ საპროცესოზე წასვლას არ აპირებდნენ. მითითება იყო, რომ მან ბევრი რამ იცის და ილაპარაკოს. შემდეგ, როგორც კი თამაზაშვილის თემა წამოვიდა და დააკავეს, ჩემზე ზენოლა დაიწყო.“

**- რა მუხლით დაგაკავეს?**  
- 180-ე მუხლით, თაღლითობის ფაქტზე. ძალიან მუშა მუხლია, რომელიც გადასარევედ გამოიყენა ძველმა ხელოსუფლებამ.

**- როგორც ვიცო, თქვენმა მეუღლემ მისცა თქვენს წინააღმდეგ ჩვენება.**

- კი, ისიც დააკავეს და შესთავაზეს, რომ ეთანამშრომლა და გაუშვებდნენ. თავიდან, როგორც ვიცო, ნარკოტიკების მონბარებისთვის დააკავეს და შემდეგ იმავე მუხლით, რითიც მე. მას შესთავაზეს თანამშრომლობა. პროცესზე უთხრა პროკურორმა, ახლა კი გაძლევი სასჯელს, მაგრამ როგორც კი რამდენიმე თვე გავა, დაწერე შეწყალება და ჩვენ დაგეგმავდით. მართლაც, მალე გამოიბრუნდა. სამაგიეროდ ჩემზე ითანამშრომლა. ძალიან ხარისხიანად. ისე ათანამშრომლეს, როგორც აწყობდათ. დამიძიმდა ბრალი, შეიკრიბა და საბოლოოდ 21 წელი თავისუფლების აღკვეთა მომესაჯა.

**- თამაზაშვილთან მანამდეც გქონდათ ნაცნობობა?**

- რა თქმა უნდა. წლები ვიცნობდი, როგორც ადამიანს, რომელიც ამხელა რეგიონში აგვარებდა ყველაფერს, რომ პასუხისმგებანი რაიმე სამიშრობა არ წამოჭრილიყო. ებრძოდა კრიმინალებს. ნარკოტიკებს რომ აბრალებენ, იცით რამხელა სისულელეა?! მთელმა საქართველომ იცის, რომ ებრძოდა ნარკორელიზაციას და კრიმინალებს. აბსოლუტური სინყარე იყო იმ რეგიონში სადაც თვითონ იყო. ეს ადამიანი შემდეგ ქვეყნის მტრად გამოაცხადეს.

**- რას მოითხოვდნენ თქვენგან?**

- მათ თამაზაშვილისთვის უნდოდათ ბრალის დამძიმება. ზოდელავას და ადვიშვილის მოთხოვნა იყო, რომ მე დამედისტურებინა, რომ ადამიანი, რომელს-



„ზოდელავას და ადვიშვილის მოთხოვნა იყო, რომ მე დამედისტურებინა, რომ ადამიანი, რომელსაც წლების განმავლობაში ვიცნობდი, იყო ნარკორელიზატორი, იარაღით მოვაჭრე და მე ამის შემსწრე ვიყავი“

- დაკითხვებზე მივალ უკვე...  
**- ანუ თამაზაშვილის საქმეზე შეიძლება კიდევ დაკავონ სხვა პირები?**

- დიახ, რადგან უშუალოდ აქვთ მონაწილეობა მიღებული. მათ, თამაზაშვილისთვის ბრალის დამძიმების გარდა, ძალიან უნდოდათ, მისი შვილის, ლექსოს დაჭერა. რალაც მკვლელობაზე ითანამშრომლო... რა მკვლელობაზე, მიკვირდა? თან არანაირი ფაქტი და მტკიცებულება არ ჰქონდათ, თორემ ჩემთან ნამდვილად არ მოვიდოდნენ. მათმა ბინძურმა გონებამ იფიქრა, რომ ამდენი წელი აქვს მისჯილი, მინც ქალია და დაგვთანხმდება, აბა, რას იზამსო. ახალგაზრდა ბიჭის დაჭერაც კი უნდოდათ. არ ვიცი, როგორ უნდა შერჩეთ ამით ამდენი სიმწარე, ხალხი, ქალები მით უმეტეს, სულიერად და ფიზიკურად გაანადგურეს იმ მდგომარეობით, რაც ციხეებში ხდებოდა. როგორც „ნაცმოძრაობა“ და უშუალოდ მიხელო სააკაშვილი მოექცა ქართველ ქალებს, არც ერთი ქვეყნის პრეზიდენტი და მთავრობა არ მოქცევია. ქართველ ქალებზე ლეგენდები დადის და ამან კრიმინალები გახადა ყველა.

**- თქვენ აპირებთ თქვენი საქმის გასაჩივრებას?**

- დიახ, უკვე შეიტანა ჩემმა ადვოკატმა სარჩელი. საერთოდ, არაფერი არ ვდებ, რაც ჩემს თავს მოხდა. იცით როგორ დამაკავეს? უწყებაც კი არ მოსულა, შემოცვივდნენ სახლში და ერთადერთი, რაც გავაკეთე, ნამლები დავლეე, თავს ვიკლავდი და ძლივს გადამარჩინეს.

**- 2010-ში მოხდა თქვენი დაკავება, ამ დროს სად მუშაობდით?**

- ამ დროს არსად აღარ ვმუშაობდი. 2-3 წლის წინანდელ ამბავზე დამაკავეს, როდესაც საბაჟოზე ვმუშაობდი. რალაც ხელნახაფიდი მოძენეს, შეკრიბეს და შეკერეს ამბავი.

**- რა ინტერესი ჰქონდათ თქვენი?**

- ძველი ანგარიშსწორება იყო ჩადებული. დაკავებისთანავე იყო იმაზე საუბარი, რომ მე ბევრი რამ იცოდა. მე ვერ ვხვდებოდი სად უმინებდნენ, ეს უკვე გვიან გავარკვა.

**- ამ დროს ხომ თამაზაშვილის თემა ჯერ არ იყო?**

- როგორც ჩანს, მოკვლევები მიდიოდა...

**- ახლა რა მოთხოვნა გაქვთ?**

- მოვითხოვ საქმის გადახედვას და იმ ადამიანების დასჯას, ვინც ამ ზენოლას ახორციელებდნენ. გარდა ამისა, მინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ კიდევ ძალიან ბევრი ქალი დარჩა ციხეში. ძალიან ვთხოვ დღევანდელ მთავრობას, რომ ერთი ჰუმანური აქტი კიდევ განახორციელოს. ეს ქალები არიან ასაკიანები, ავადმყოფები, იმ პირობებს, რომელიც ციხეშია, ვერ უძლებენ. იქ, ძირითადად, ეკონომიკური დანაშაულისთვის გასამართლებული პირები არიან დარჩენილი. ასევე, ისეთებიც, რომლებსთვისაც ჩადებული ნამდვილი სურდათ ნაერთობით ქონება, ან გადახედვებისთვის თანხა. ეს ადამიანები ნამდვილად არ არიან საზოგადოებისთვის საშიში. საშიშია „ნაციონალური მოძრაობა“. ერთი ბათუმელი ძალიან ამუშავდა იქ, 90 წლის, რომელიც ძლივს დადის, იმან რა უნდა დაუშავოს ვინმეს. ამიტომაც ვთხოვ ხელისუფლებას, რომ კიდევ ერთი ჰუმანური აქტი განახორციელოს და ეს ადამიანები თავიანთ ოჯახებს დაუბრუნოს. სხვა შემთხვევებში მათ დიდი ხნის სიცოცხლე არ უნერიათ, ისეთ პირობებში უწევთ ყოფნა, ქალები არიან, დაავადდნენ ათასი დაავადებით და სათანადო მკურნალობასაც კი ვერ იტარებენ. ჩემსავით, ძალიან ბევრი ქალი უსამართლოდ დაპატიმრებული, ყველაზე მეტად მე მესმის მათი და ამიტომ ვთხოვ მთავრობას, რომ ჩემი თხოვნა ყურად იღონოს.“

## EXCLUSIVE რას უყვება „პრაიმათაის“ ყოფილი პატიმარი ქალი, რომელსაც თამაზაშვილის წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ

აც წლების განმავლობაში ვიცნობდი, იყო ნარკორელიზატორი, იარაღით მოვაჭრე და მე ამის შემსწრე ვიყავი.

**- სანაცვლოდ რას გთავაზობდნენ?**

- თავისუფლებას...

**- თუ არ ითანამშრომლებდით?**

- რა თქმა უნდა, კიდევ დამიმატებდნენ სასჯელს.

**- ის ადამიანები, რომლებიც თქვენთან შემოდიოდნენ და ზენოლას ახდენდნენ, დღეს თანამდებობაზე არიან?**

- დიახ, ისინი, ვინც ჩემზე ზენოლას ახდენდნენ, დღესაც პროკურატურაში მუშაობენ. ერთ-ერთი, გოჩა ბალატორიძეა და კავებული, დანარჩენები, ჯერჯერობით, ყველა თავის ადგილზეა. როგორც ვიცო,

გამოძიება მიმდინარეობს და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე გვარებს ვერ დავასახელებ. თუმცა ესენი პროკურატურის მალაჩინოსნები არიან.

**- პარალელურად იყო თუ არა თქვენი ოჯახის წევრებზე ზენოლა?**

- იგეგმებოდა პროვოკაცია, ჩემი შვილის, 21 წლის გოგონას მიმართ, რომელიც შემოდიოდა ხოლმე და საკვები და ტანსაცმელი შემოჰქონდა. იყო ასეთი შემთხვევა, როცა ერთხელ მას უნდა გაველო ერთ-ერთ ადგილას, სხვა პატიმრის ოჯახში და იქიდან რალაც ნივთები წამოელო და შემოეგზავნა. მაშინდელი ზონის უფროსი საქმის კურსში იყო და შემთხვევით ყური მოკრა ერთ-ერთმა პატიმარმა, რომ ჩემი შვილის დაჭერას აპირებდნენ. გამაფრთხილა, უთხარი, არსად წამოვიდეს და არსად გაიაროსო. დილით დავრევე და გადავრჩით. ბავშვი არ წამოვიდა...

**- რას უპირებდნენ?**

- ჩემთვის შემოსატან საკვებში ნარკოტიკების ჩადებას აპირებდნენ. ვახტანგ დაიჭერდნენ ჩემს გოგონას და, რა თქმა უნდა, ათმაგად მეტი ზენოლა მექნებოდა. ერთადერთი შვილი მყავს, ისიც უშამოდ გაზრდილი და წარმოადგინეთ რა მდგომარეობაში აღმოუჩნდებოდა.

**- რამდენი ხანი მიმდინარეობდა ზენოლა?**

- დაახლოებით წელიწადი, სისტემატურად შემოდიოდნენ, მოითხოვდნენ თამაზაშვილზე მეთქვა რამე. ბოლო წერტილი იყო ის,

რომ აპირებდნენ ჩემი შვილისთვის ასეთი რალაცის გაკეთებას, მაგრამ გადავრჩით.

**- ფიზიკური ზენოლა ხომ არ იყო?**


- არა. ვერ განახორციელებს. იქ, ყველამ ყველაფერი იცოდა. რომ გვყავდა აღმინისტრაციამ და არ მივდიოდი ადვოკატთან, ამას ყველა ხედავდა. იქ იყვნენ ყოფილი პროკურორები, რომელთაც მე გარეთაც ვიცნობდი, სანამ დამიჭერდნენ. ყველა საქმის კურსში იყო, როგორც კი უღერდებოდა, რომ ჩემზე ფიზიკური ზენოლის სამიშროება იყო და ირეკებოდა სახალხო დამცველთან, დღეში სამჯერ მოდიოდნენ ადვოკატები. აინტერესებდათ რამე ხომ არ მოხდა?

**- როცა უარს უბნებდით თანამშრომლობაზე რას გუუხებდნენ?**

- ფსიქოლოგიურ ზენოლას ახდენდნენ. ეს გოჩა პირდაპირ მეუბნებოდა, მენ არ გეგონოს მიმა წავაო, მიმა არსად არ წავა, ის ამერიკას უნდაო. თამაზაშვილს კიდევ ჰგონია, რომ ივანიშვილი მოვაო? ივანიშვილი ვერ მოვა, ჩვენ ვერ არსად არ წავალით და 21 წელი აქ ხომ არ გაატარებ და დაგვეთანხმე, მონაწილე ხელი და გაგივებოთ. მე ვუუხებოდი, ზუსტად ვიცი, უფალი არ დაუშვებს, რომ ეს რეჟიმი კიდევ დიდხანს გაგრძელდეს-მეთქი და ყველაფერი რომ დამთავრდება, მე და მენ ერთმანეთს შევხვდებით, თვალში როგორ უნდა შემოხვდეთ-მეთქი. ვერაფერი ვერ მითხრა მაშინ, გაჩუმდა.

**- პროკურატურაში დანარჩენი პირების შესახებ თუ გაქვთ ნათქვამი?**

„მათ, თამაზაშვილისთვის ბრალის დამძიმების გარდა, ძალიან უნდოდათ, მისი შვილის, ლექსოს დაჭერა. რალაც მკვლელობაზე ითანამშრომლო... რა მკვლელობაზე, მიკვირდა? თან არანაირი ფაქტი და მტკიცებულება არ ჰქონდათ, თორემ ჩემთან ნამდვილად არ მოვიდოდნენ“



თამაზ  
თამაზაშვილის  
საქმეზე  
შესაქლმა,  
პროკურატურის  
მოქმედი  
თანამშრომლები  
დააკავდნენ

# 1 ივნისი „თბილისი მოლი“



1 ივნისს თბილისში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. გამონაკლისი არც სავაჭრო ცენტრი „თბილისი მოლი“ ყოფილა.

ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვებისა“ და „თბილისი მოლის“ ორგანიზებით, სავაჭრო ცენტრის მეორე სართულზე, სახელმწიფო მზრუნველობაში, კონკრეტულად კი მინდობით აღზრდაში მყოფი ჯანმრთელი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 70 ბავშვისთვის, „ჯანდაცვის სამინისტროს“ მხარდაჭერით, გრანდიოზული ღონისძიება გაიმართა. როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, ღონისძიების მიზანი მინდობით აღზრდის, ალტერნატიული მზრუნველობის ფორმის პოპულარიზებაა იყო, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების შემთხვევაში. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა, პატარა სტუმრებისთვის მინი-საბალეტო სპექტაკლი გამართა. გასართობ-შემეცნებით თამაშებთან ერთად, სხვადასხვა ზღაპრების გმირების მონაწილეობით, თეატრალიზებული წარმოდგენა მოენცო. გამოფენაზე, სადაც წარმოდგენილი იყო 1 ივნისის თემაზე შექმნილი ნახატები, პატარებს ადგილზევე შეეძლოთ დაეხატათ. ღონისძიების მხარდაჭერები, კომპანია „ბარამბო“ და „ზედაზენი“, ბავშვებს ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ. ფარმაცევტულმა კომპანია „ჯი-პი-სი“-მ, აღსაზრდელებს, ტკბილეულთან ერთად, საჩუქრებიც გადასცა. ღონისძიების დასრულების შემდეგ „თბილისი მოლი“ ბენეფიციარები – საჩუქრებით, ხოლო ჰიპერმარკეტმა „კარფურმა“ საბავშვო წიგნებით დაასაჩუქრა.



## „თბილისი მოლი“ გაუიწვევს შეწყვეტდა მუშაობას, მსგავსი საშიშროება რომ აღმოჩინა“



28 მაისს მედიასაშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს „თბილისი მოლის“ მალაზიის ათი თანამშრომელი ბუნებრივი აირით მოინამლა, სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაცია გამოეხმაურა. როგორც „თბილისი მოლის“ მარკეტინგის მენეჯერი მარიამ ქუთათელაძე აცხადებს, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.



**მარიამ ქუთათელაძე:** „ოთხი მალაზიის 6-მა თანამშრომელმა თავი ცუდად იგრძნო ნივთიერება „ოქსიგენის“ სუნის გამო, რომელსაც „ყაზტრანსგაზი“ მილის შემოწმების დროს იყენებს, რათა დაადგინოს, სადმე დაზიანებული ხომ არ არის. მილი, რომელიც გადაამოწმეს, ბუნებრივი აირი საერთოდ არ გადიოდა. მინდა აღვნიშნო, რომ ეს მილი, რომელიც შეამოწმეს, შენობის გარეთაა. სასწრაფოთი გადაყვანილ ექვსივე თანამშრომელს გამოკვლევა ჩაუტარდა და სისხლის ანალიზმა ინტოქსიკაცია არ დაუდგინა. მინდა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ არავის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. „თბილისი მოლი“ მამინვე შეწყვეტდა მუშაობას, მსგავსი საშიშროება რომ აღმოეჩინა. ეს არის გაზის კომპანიისგან ოფიციალურად გამოგზავნილი წერილი, რომელიც 28 მაისს მოგვანდეს.“

შ.პ.ს. „პარანიXXI“  
ს/კ 204517157  
მის: ქობულთის რუსთაველის №18

**წერილი**

შაქვის სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს შ.პ.ს. „პარანიXXI“ ს/კ 204517157 იურ.მის. ქობულთის რუსთაველის №18. გაზომობარეგისტრაციის გაზის მიწისა და დამონტაჟებული აღრიცხვის კვანძი. 2013 წლის 22 მაისს აღნიშნულ მისამართზე სამშენებლო სამუშაოებს ატარებდა შ.პ.ს. „ქინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი“ ს/კ 404385385, რის შედეგადაც დასაინაზა ზემოთ აღნიშნული გაზსადენი, აღრიცხვის კვანძი (მრიცხველი), რეგულატორები, ფილტრები და დიკარგა ბუნებრივი აირი.

რის შემდეგაც დაიწყო აღდგენითი სამუშაოები, მოხდა ქსელის შეკეთება, აღდგენილ იქნა აღრიცხვის კვანძი (მრიცხველი). შეკეთდა რეგულატორები და ფილტრები.

რის შემდეგაც მოხდა ქსელის შემოწმება და მილის დაწესება, ვინაიდან დაწესების შემდეგ არ მოხდა წვევის შენარჩუნება და ვერ მოიხებნა გაგონების ადგილი მოხდა საციალური ხსნარის (ოქსიგენი)-ის შეშვება ქსელში, რაც გამოიყენება ავარიულ და გვემორე შემთხვევებში. შესაბამისად მოიხებნა გაგონების ადგილი და შეკეთდა

ამჟამად მიმდინარეობს კვლავ გვემორე სამუშაოები და 29/05/2013წ 12.00 ხო-დან შესაძლებელი იქნება ქსელის შევსება და ბუნებრივი აირის მიწოდება.

დირექტორი ლიპარტელიანი

# დიმიტრი კოპალიანი: „პოლიტიკურ გავლენას არ ვეძებდებარები“

დეა მანაგაძე  
„ახალი გაზეთი“

ქუთაისის ახალი მერი მუშაობას დღეიდან შეუდგება, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ქუთაისის რიგითი მე-10 მერი, ქალაქის საკრებულომ გასულ კვირას, რიგგარეშე სხდომაზე, „ნაციონალი“ დეპუტატების მხარდაჭერის გარეშე დაამტკიცა.

კოპალიანი, რომელიც მუდმივმოქმედმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ 69 კანდიდატს შორის შეარჩია, 22 წელი ამერიკაში ცხოვრობს. ჰყავს ფრანგი წარმოშობის ამერიკელი მეუღლე და სამი შვილი.

კოპალიანი წუხს, რომ მისმა შვილებმა ქართული ენა არ იციან და ამბობს, შვილებისთვის ქართულ კულტურასთან დასახლოებლად საქართველოში დაბრუნება, მერის პოსტზე კონკურსის გამოცხადებამდეც ჰქონდა დაგეგმილი.

ვისგან მიიღო დიმიტრი კოპალიანმა მერის კონკურსში მონაწილეობის შეთავაზება, რას და როგორ აპირებს ქალაქისთვის, რა არის მისთვის ქუთაისის სტატუსი, რა კავშირი აქვს პოლიტიკურ ძალებთან და რამდენად პრინციპული იქნება გადაწყვეტილებების მიღების დროს? აღნიშნულ საკითხებზე ქუთაისის ახალი მერი „ახალ გაზეთთან“ ინტერვიუში საუბრობს:

– ჩემ შესახებ ქალაქში სხვადასხვა ხმები გავრცელდა. ჯერ, ვითომ მოყვარულად ა.შ. ადამიანს, რომელსაც 5 უნივერსიტეტი აქვს გავლილი 3 ქვეყანაში, არ აქვს პრობლემა, ქუთაისში, ან თუნდაც უცხოეთში, რომელიმე თანამდებობაზე მოსვლის სურვილი ჰქონდეს. უამრავ კონკურსში მიმიღია მონაწილეობა და ჩემს გამოცდილებას მოვასმარ ქალაქს.

ქუთაისში წამოსვლას, ჩემს სახლში დაბრუნებას, მე მომავალი წლისთვის ვგეგმავდი. ჩვენი ოჯახისთვის მთავარი იყო ბავშვები წამოსულიყვნენ, ქართული ენასევათ. გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის. აქ რომ მოვიდოდი, დიდი ბრძოლა მქონდა ამერიკელებთან, რომ არ წამოვსულიყავი.

შარშან ზაფხულს ჩემი პატარა შვილი გელათის მონასტერში მოვხატეთ. წელიწადში ერთხელ აქ ვარ. ისე, ქუთაისზე ამერიკაშიც ბევრი ინფორმაცია მქონდა. უამრავი იდეა მქვს, მათ შორის ერთი სამეცნიეროც, მაგრამ მერის კანდიდატურაზე იმდენად ვიფიქრე, რომ შეიძლება ქალაქს გამოვადგე. ყოველთვის მაინტერესებდა დავებნარობდი ჩემს ქალაქს.

– თქვენ ამბობთ, რომ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეთ? დიმიტრი კოპალიანის სახელის გაუღერების დღიდან საუბრობენ „პატრიოტთა ალიანსთან“ თქვენს კავშირზე, ასევე, ის, რომ თქვენ, პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის კადრი ხართ?

– ტყუილია, მე არავის ვადარებ არა ვარ, შემთავაზებაც კი არავისგან მქონია. ვინმემ ჩემს რეზიუმეს რომ გადახედოს, 90%-მა შეიძლება კი თქვას, რომ ეს ასე არ არის. მაგრამ გადაწყვეტილება პირადად მე, ძალიან საინტელექტუალური და ახალგაზრდა მხრივ, ვიღებდი.

– ვინ იყო პირველი, ვისაც გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუკავშირდით?

– როდესაც საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ გამოაქვეყნა საჭირო დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაცია, ცოტა გამიჭირდა ამ ინფორმაციის მოგროვება უცხოეთში, რადგან იქ ჩემი დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე იყო. მაშინ დავეკავშირდი კომისიის თავმჯდომარეს, თამაზ მარგველაშვილს და მან ამიხსნა, თუ რა პროცედურების გავლა იყო საჭირო. კონკურსის ბოლო დღეს მოვასწარი საბუთების შეგროვება და გადავზავა.

– საკრებულოს სხდომაზე თქვენ აგირჩიეს „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებმა, ხოლო „ნაციონალებმა“ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს, რა გაკავშირებთ „პატრიოტებთან“?

– პირადად არ ვიცნობ ამ პიროვნებებს. ამ შემთხვევაში მე ვარ ნეიტრალური და ობიექტური ადამიანი. არავითარ პოლიტიკურ გავლენას არ ვეძებდებარები. მინდა, ჩემს ქალაქს გამოვადგე. ჩემი გადაწყვეტილებები სწორი იყოს ქალაქისთვის. შევეცადები, მომავალში ყველას შევხვედ და მოვიხსნო ის პრობლემები, რაც საჭიროა ქუთაისისთვის. სხვაგვარად არ შეიძლება.

## ქუთაისის მერის პოსტზე გაცვლილი 22-წლიანი კარიერა ამერიკაში



„პარლამენტის თბილისში გადატანა საკმაოდ მტკივნეული თემაა, მაგრამ უნდა მოხდეს ციფრებით გათვლა, ღირს თუ არა დღეს, თუ მომავალ წელს, გადატანა, თუ საერთოდ დატოვება“

## რა ქონებას ფლობს დიმიტრი კოპალიანი

– მე პრინციპულად დავიკავებ იმ პოზიციას, რაც ქალაქს სჭირდება. კონკრეტულ შემთხვევებს შეხსავლა სჭირდება. უპირველესად, უნდა მოხდეს საზოგადოებასთან უფრო ახლო ერთობა. შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს რაიმე საზოგადოებრივი საბჭო. დეტალებში უნდა გავიკვლიე. წინასწარ ისეთს არაფერს ვიტყვი, რომ რაიმე იდეის შემცველი იყოს.

– „ნაციონალებმა“ უკვე გირჩიეს, რომ არ გქონდეთ ლიდერის პოზიცია, ნინალმდე შემთხვევაში ჯავზნის ტარება მოგიწევთ. როგორ ფიქრობთ, ჯავზანი დაგჭირდება?

– გინდა თუ არა, მერი როცა ხარ ადამიანი, მაინც ლიდერის პოზიციაში ხარ. ჯავზანს რაც შეეხება, არ ვიცი, ვერ გავუკვირებ. – რა იქნება პირველი, რასაც მერის პო-

ზიტი გააკეთებთ?

– ქუთაისში ძალიან ბევრი სამუშაო ჩასატარებელი. უპირველესად, ქალაქს და მერის სტრატეგია გამჭვირვალობა. მოხდება ელექტრონული სისტემების შემოქმადა, შეიძლება ცენტრალურ სისტემაში მერის ჩართობა. ის ფული, რაც ქალაქისთვისაა გამოყოფილი, მთლიანად მასზე უნდა დაიხარჯოს. არ გინდა, რომ ამ ფულის გაფლანგვა მოხდეს. ჩემთვის მტკივნეული საკითხია, რომ ყოველ წელს ფული გამოიყოფა და ის პროექტები არ სრულდება, რაც უნდა შესრულდეს. მაგალითად, წყლის პრობლემა. ამ კუთხით მდგომარეობა წლებია არ შეცვლილა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს. იგივე ნაგვის პრობლემა. ნიკვას ქუჩაზე ვიყავი და იქ გავლის შემეძინა. ჩვენ ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ეს პრობლემები დღის წესრიგში აღარ დავდგეს. ჩემი ძირითადი პრიორიტეტი ქალაქში სწორი მენეჯმენტის ჩამოყალიბება. მეორე, როგორც უკვე აღვნიშნე, რეორგანიზაციაა, შესაძლებელია და აუცილებელი – უცხოელი დონორების მოხვედრა, რომ ქალაქში რეალური ძვრები დაიწყოს.

– თქვენ ახსენებთ გამჭვირვალობა. „ახალ გაზეთს“ არავითარ ყურნალის-სტრუქტურის გამოცხადება აქვს გამოქვეყნებული, სხვადასხვა თანამდებობის პირების კორუფციულ საქმეებზე. ისინი დღემდე ინარჩუნებენ თანამდებობებს. აპირებთ თუ არა დაინტერესდეთ იმ საკითხებით, რაც თქვენს არჩევამდე ხდებოდა მერიაში?

– ამ საკითხებში ყველას მინდა გთხოვოთ დახმარება. ეს ძალიან მგრძობიარე თემაა. მინდა ისეთი გამჭვირვალე კლიმატი შეიქმნას, რომ ასეთი პროცესები აღარ მოხდეს. მე ყველას დავულოცავ კარგად და შევხვედები. ჩემი ამოცანაა, რომ რაც შეიძლება მალე დაიწყოს ქალაქის განვითარება.

სისტემატურად შევხვედები არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ მათთან განვიხილო მტკივნეული საკითხები და შევხედოთ, თუ რა შევძელია იმისთვის, რომ დავეხმაროთ ქალაქს.

– ქუთაისის მოსახლეობა თქვენ არ გიცნობთ. რა ფორმით აპირებთ მოსახლეობასთან ურთიერთობას?

– ეს იქნება სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის ხალხთან უშუალო შეხვედრები. მე ქუთაისში, ჯავზნის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ვარ გაზრდილი და ვიცი ჩემი ქ-

## დიმიტრი კოპალიანის ამერიკელი-ფრანგი მეუღლე და სამი შვილი ქუთაისში იცხოვრებენ

ლაქი. ჩემთვის ურთიერთობა პრობლემა არ არის. მიყვარს ხალხთან საუბრები და შეხვედრები. უფრო ხშირად გამოვჩნდები ხალხში და ვფიქრობ, ეს მათ იმდენად კი მისცემს. ახალგაზრდობასთანაც მეტწილად ხშირი შეხვედრები. აქ ხალხი დაძაბულია. დიპლომატიას აქვს დიდი მნიშვნელობა. შევატყვე, რომ ხალხში იზოლაცია არ არის. მათთან კომუნიკაცია უნდა ადგეს.

– როგორია თქვენი პოზიცია პარლამენტის თბილისში გადატანასთან დაკავშირებით?

– პარლამენტის თბილისში გადატანა საკმაოდ მტკივნეული თემაა, მაგრამ უნდა მოხდეს ციფრებით გათვლა, ღირს თუ არა დღეს, თუ მომავალ წელს, გადატანა, თუ საერთოდ დატოვება. ამერიკაში ვადგენები თვალს და ვიცი ეს პროცესები. გადაწყვეტილებას მაშინ მივიღებ, როცა კონკრეტული ციფრები და სტატისტიკა იქნება – რამდენი ადამიანი დასაქმდება ერთი თვის განმავლობაში და რა სარგებელს მოუტანს ქალაქს.

– თუკი პარლამენტის გადატანა მოხდება და ქუთაისს აღარ ექნება საპარლამენტო ქალაქის სტატუსი, ისევე, როგორც ქუთაისმა დიდი ხანია დაკარგა ინდუსტრიული ქალაქის ფუნქცია, რა როლი და სტატუსი უნდა ჰქონდეს ქუთაისს?

– ქუთაისი არის სტრატეგიული ქალაქი. უნდა მოხდეს რამდენიმე მიმართულებით ქალაქის განვითარება – საგანმანათლებლო, მცირე ბიზნესის განვითარება, ხელმძღვანელები და ადგილობრივი კადრების დასაქმება. ამერიკაში ქალაქთან ერთად სოფელიც ვითარდება. ერთი მიმართულება ესეც უნდა იყოს. მარკეტინგული ანალიზი უნდა გაკეთდეს, თუ რა ტიპის ბიზნესის განვითარება არის შესაძლებელი ქუთაისში, რომელიც არა მარტო ქუთაისს, არამედ მთლიანად საქართველოს გამოადგება.

– როგორ აპირებთ ქუთაისისთვის თვითმმართველობის ფუნქციის დაბრუნებას?

– ქალაქს სჭირდება იმიჯი. უნდა აუწიოთ ეს იმიჯი და უნდა შევცვალოთ, რომ მას შეხედონ, როგორც მეორე ქალაქს და კიდევ უფრო მაღალ დონეზე. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია. თუ დახმარება იქნება საჭირო, ამისთვის თბილისსაც ჩავერთავ და უცხოელ დონორებსაც.

– და მაინც, თუკი მინდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე, როდესაც ამბობთ, რომ ნეიტრალურობას შეინარჩუნებთ, ვერ მოახერხებთ თქვენი პრინციპების გატარება, რა იქნება შემდგომი ნაბიჯი? ამერიკაში დაბრუნდებით თუ საქართველოში გააგრძელებთ საქმიანობას?

– ძნელი წინასწარ რაიმეს თქმა, მაგრამ ვეცდები, რომ ქუთაისში ვიყო.

– სად იცხოვრებენ თქვენი ოჯახის წევრები?

– ისინი ამჟამად ამერიკაში, მიჩიგანის შტატში არიან. ტექნიკური დეტალები გვაქვს მოსაგვარებელი და შესაძლოა, ქუთაისში ჩამოვიდნენ.

– როგორ შევხვდნენ თქვენი ამერიკელი და ქართველი მეგობრები თქვენს გადაწყვეტილებას?


– დიდი ინტერესით. ამერიკაში ბევრი მეგობარი მყავს, ამერიკელიც და ქართველიც. ახლაც ამერიკიდან მივიღე მეგობრის წერილი. მათ ინტერესებთ სად წავიდა და როგორ. ეს, ალბათ, პოზიტიურია.

– რა ქონებას ფლობს დიმიტრი კოპალიანი?

– ქუთაისში მქვს სახლი, სხვა არაფერი. დიმიტრი კოპალიანი არის ერთი ქუთაისელი, რომელიც 22 წლის წინ წავიდა ქუთაისიდან. პატოსანი ადამიანი, რომელსაც უნდა, რომ დაბრუნდეს და თავის ქალაქს დაეხმაროს.

– რამდენად საკმარისი იქნება თქვენთვის მერის ხელფასი – 2 750 ლარი, მაშინ, როცა თქვენ საკმაოდ მაღალანაზღაურებადი იყავით ამერიკაში?

– აქაური სისტემა სხვაა. ამერიკაში კიდევ სხვა სისტემა მუშაობს; სამაგიეროდ, იქ დიდი გადასახადებია. უნდა ვიმყოფინო. პრინციპულად, რაც მე გადაწყვეტილიყო, იყო დიდი გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება მარტო არ მიმიღია, ჩემი და ჩემი ოჯახის ერთობლივი გადაწყვეტილება იყო. ახლა, უკვე მომავალი გვიჩვენებს.



„ვითვლი, რომ ჩემი რეზიუმეა საჭიროა, 700 ადამიანი მუშაობს აქ. თუ შევადარებთ, ლონდონის მერიანი 100 ადამიანი მუშაობს და ნიუ-იორკ სიტიის მერიანი კი 400 კაცია დასაქმებული. აქვე უნდა შევადაროთ ქალაქის ბიუჯეტს“

ინტერნეტსივრცეს ახალი ვებგვერდი შეემატა. „ქოლო“, კულტურულ-საზოგადოებრივ თემაზე ორიენტირებული. გაზეთი „პრაიმტიმის“ ამგავის მცირე ნაწილს ბთავაზობთ, ვრცლად კი შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე [www.jolo.ge](http://www.jolo.ge)

# ნანკა კალატოზიშვილი დედა გახდა



სოციალურ ქსელში ნანკას გერდზე მოლოცვების კორიანტელი დადგა, ნანკასა და კედოს შვილის შექმნას ულოცავდნენ, მაგრამ რატომღაც ძალიან დამაბნეველი მესიჯებით. ზოგი ბიჭს ულოცავდა ღმერთმა ბედნიერი და ჯანმრთელი ვაჟაკი გაგიზარდოთო, ზოგიერთი კი წერდა, გოგო გაჩნდა და სალომე დაარქვესო. ზოგიც გაკვირებული კი-

თხულობდა, ბოლოს და ბოლოს გოგოა თუ ბიჭიო. „ქოლომ“ ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ დააზუსტა, რომ ირაკლის და ნანკას ბიჭი ეყოლა და მას დანიელი დაარქვეს... დანიელის გაჩენიდან რამდენიმე წუთში კი ჩვენი საიტის მკითხველისთვის კომენტარი კედომ გააკეთა.

ირაკლი კვიციანი: „ბიჭია, ბიჭი... პატარას დანიელი დავარქვით. ეს სახელი მე და ნანკამ ერთად შევარჩიეთ. მართალი გითხრათ ჯერ კიდევ შოკში ვარ. ამიტომ ვერ გეტყვით თუ რა შეგრძნება მაქვს. მშობიარობას ბოლომდე დავცნარი და ძალიან იმოქმედა. ვინერვიულე... პატარა სიმალეში რამდენია არ ვიცი, ვერ გეტყვით. წონით კი 3 და 700 დაიბადა.“



# ლექსო თორაძე საქართველოში

უცხოეთში მოღვაწე ალიარებული ქართველი მუსიკოსი ლექსო თორაძე რამდენიმე დღეა საქართველოშია. ის ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრთან ერთად რეპეტიციებს გადის. დიდი მუსიკოსი საქართველოში კონცერტს ნაკლებად გამართავს. მონატრებულ მანსტრის ქართველი მსმენელი 14-15 ივნისს შეხვედბა და მისი შესრულებით რველის საფორტეპიანო

კონცერტს მოისმენს. როგორც ფოლოსთვის გახდა ცნობილი ლექსო თორაძე რაჭაშიც დაუკრავს. ლექსო თორაძე ამერიკაში 1983 წელს გაემგზავრა. მუსიკოსის კარიერა ამერიკაში ჩასვლისთანავე განსაზღვრული იყო. მან ჯერ ვან ქლაიბერნის კონკურსი მოიგო, მერე კი გადაწყვეტილება მიიღო და დარჩა. დარჩენას უამრავი შემოთავაზება მოჰყვა.

დღეს ის მსოფლიოში ალიარებული პიანისტია. მისი კონცერტები მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში იმართება. გასტროლები 2-3 წლით ადრე არის დაგეგმილი. ამჟამად, ამერიკის ინდიანას შტატის, ქალაქ საუზბენდის მუსიკალური ცენტრის (უნივერსიტეტის) საფორტეპიანო ფაკულტეტის კათედრის გამგეა. თავისი სტუდია აქვს და ამ სტუდიაში ბევრი ქართველი სწავლობს...

14/15  
JUNE

ლექსო თორაძე  
ALEXANDER TORADZE

სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი  
GEORGIA NATIONAL PHILHARMONIC  
სალომე მიქელაძის ხელმძღვანელობით  
NIKOLAZ MIKELADZE CONDUCTOR

20.00

# „ნიუ-იორკის ქართული თეატრის“ ახალი სპექტაკლი



ამერიკაში მოღვაწე ქართველი რეჟისორი რამაზ ზურაბაშვილი ახალ ქართულ სპექტაკლზე მუშაობს. ეს არის ტრაგი-ფარსი სიძეს მითხოვებული სიდედრით. „ნიუ-იორკის ქართული თეატრის“ დასმა სპექტაკლზე მუშაობა უკვე დაიწყო. რეპეტიციები ერთი თვეა მიმდინარეობს. „კლინიკური ქორწინება“ ირაკლი სამსონაძის პიესის მიხედვით იდგმება. „კრიმინალური კომედია მისტიკურ სოუსში“ - ასე აფასებს რეჟისორი დრამატურგის შემოქმედებას და თან დასძენს, ვისაც სიცილი, ხალისი და გართობა უნდა, აუცილებლად უნდა გვეწვიოსო... „ნიუ-იორკის ქართული თეატრი“ ლიკა ბახტურიძე-სირელსონისა და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ვიქტორ სირელსონის ხელმძღვანელობით შეიქმნა. სწორედ ლიკა ბახტურიძე-სირელსონის პიესის მიხედვით დადგა ნლეზის წინ რეჟისორმა სპექტაკლი „სარკე“, რომელიც ნიუ-იორკის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, „მიდთაუ-

ნზე“ მიიწვიეს... რამაზ ზურაბაშვილის თქმით დღევანდელი მაყურებლისთვის აქტუალური ის სპექტაკლი იქნება, რომელზეც ახლა მუშაობს...  
**რამაზ ზურაბაშვილი:** „უკვე დავამთავრეთ სამაგიდო სამუშაოები. ახლა იმ მონაკვეთში ვართ, როცა ფურცლები ნელ-ნელა უნდა მოვისროლოთ და შავით თეთრზე დანერვილი იდეები გავაცოცხლოთ. აქ უკვე ავტორი დიდი ხანია მარტო აღარაა, რეჟისორი და მსახიობები მოქმედებებში უშუალოდ (ფიზიკურად და გონებრივად) მონაწილეობენ. ჩვენ ვმუშაობთ მიზანსცენებზე, იმპროვიზაციებზე, მოკლედ, პერსონაჟების შინაგანი სამყაროს გარეგნული ფორმებით გამოხატვაზე და პირიქით. ვფიქრობ, ძალიან გამომართლა როლები განაწილებაში. თითოეული მსახიობი განსაკუთრებულად ძვირფასია ჩემთვის და სპექტაკლის წარმატებისთვის. იმედი მაქვს, რომ დასი კონკრეტული პროექტით კარგ

გამოცდილებას მიიღებს და მომავალში ერთ-ერთი საინტერესო თეატრალური ანსამბლი იქნება.  
„ულმესი მადლობა მინდა ვუთხრა ირაკლი სამსონაძეს, ქართული სინამდვილის ასეთი კუთხით დანახვისთვის. ის, მაღალი კომედიის ელემენტებით, სასაცილოდ იდგებს დღევანდელ ადამიანებს, რომელთა ძირითადი პრობლემა ფული, სექსი და საზოგადოებრივი პროგრესია. ადამიანები დეგრადაციას განიცდიან, რისი ბოლოც ნანარბოებში „კლინიკური ქორწინება“ (სიდედრის სიძეზე თხოვდება), რაც ბედის ტრაგიკული ირონიაა. თუ მაყურებელს ზუსტი ფანრი აინტერესებს... ფარსი... ტრაგი-ფარსი... ტრაგიკომიკური ფარსი... თუ არადა, კრიმინალური კომედია მისტიკურ სოუსში...“ და თუ ვინმეს მოვივდა, ვურჩევთ გვეწვიოს ძალიან, ძალიან, ძალიან სასაცილო „კლინიკურ ქორწინებაში“.

ირაკლი სამსონაძის პიესა - „კლინიკური ქორწინება“  
რეჟისორი - რამაზ ზურაბაშვილი;  
მხატვარი - თამაზ ლომსაძე;  
კომპოზიტორი - დავით ჭკუასელი;  
ქორეოგრაფი - ირაკლი შენგელია.  
პოპულარული მსახიობები:  
ბათუნა იოსელიანი (ლიზა ვრიგორიენა)  
ცუცა კაპანაძე (ასმათი)  
როლებში:  
ნოდარა - დათო ტორაძე-კაშვილი;  
თამარი - ირმა გაჩეჩილაძე;  
ზუკა - ანრი კალანდარიშვილი;  
ვიქტორ ჩიტუა - ზურა სიხარულიძე;  
ლილი - ირინა ჩინაშვილი;  
ელგუჯა - გიგა ამირანაშვილი;  
ტარიელი - გიორგი ნარიშკინი.

**თამარ ივერის ბოდიში და ხელოვნებათმცოდნის შეფასება**

„მე დარწმუნებული ვარ, თამარ ივერისა და ქართველი მსმენელის მეგობრობა და სიყვარული ისეთივე ინტენსივობით და ურთიერთპატივისცემით გაგრძელდება, როგორც აქამდე იყო“! - ამბობს ისტორიკოსი და ხელოვნებათმცოდნე კახი ლაზარაშვილი და თამარ ივერის წინააღმდეგ ხმაურიან გამოსვლებს აფასებს...

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოში აღიარებული ქართველი მომღერალი თამარ ივერი 17 მაისს შემდეგ ჰომოფობიურ სკანდალში გაეხვია. მის მიერ გაკეთებულ განცხადებას ლგბტ-ს დაპირისპირება, ხოლო მოგვიანებით კი პარიზში დაგეგმილი კონცერტის მოხსნა მოჰყვა. გაგრძელებული ინფორმაციით, პარიზის ოპერის თეატრმა ქართველი მომღერლის თამარ ივერის 1 ივნისსთვის დაგეგმილი კონცერტი მისი ჰომოფობიური და ქსენოფობიური განცხადებების გამო გააუქმა. მომღერალმა კი კონცერტის გაუქმების მიზეზად ჯანმრთელობის გაუარესება დაასახელა... ოფიციალური განცხადება კონცერტის გადადების შესახებ პარიზის ოპერის ეროვნული თეატრის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე განთავსდა. მოგვიანებით კი თამარ ივერი „იდეტობას“ დაუკავშირდა და ლგბტ ადამიანებს ბოდიში მოუხადა... მომღერალი ნუხილს გამოხატავს მომხდარის გამო და უბოდიშებს ყველა იმ ადამიანს, ვისაც თავისი წერილით გული ატკინა.



www.jolo.ge

**ამონარიდი თამარ ივერის წერილიდან**

„მსურს სრული გულწრფელობით ვუთხრა ჩემს მომხრესაც და მონინალდმდევსაც, რომ არც ერთი წუთით, არავის გულის ტკენა, არავის შეურაცხყოფა და მით უმეტეს ვინმეს მიმართ ზიზღი ან ფობია არ განმიზრახავს... ის სიტყვები, რაც ჩემმა უნებლიედ, ემოციურ ფონზე, აქციის გამართვიდან რამდენიმე წუთში დავეწერე იყო იმ მთაბეჭდილებითა და მონათობებით განპირობებული, რაც ახლობლებმა თბილისიდან მომწოდეს. კადრების ნახვის შემდეგ, მას შემდეგ, რაც საზოგადოების რეაქციას დავეუკვირდი და მეტი შევიტყვე, რეალურად რაც მოხდა, ბუნებრივია, ვინაჲ ჩემ მიერ დაწერილი სიტყვები. მე ისინი ჩემი ემოციითა და განზრახვით მხოლოდ ქვეყნის სასიკეთოდ მქონდა გამიზნული. იმავე ფრაზების ნაკითხვისას, ბუნებრივია, თავადვე ერთბაშად მიჩნ-

დება სინდისის ქენჯნა, რადგან ჩემი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში სულ ძალადობას, ყოველგვარი ფორმით ადამიანის უფლებათა შელახვას ვენინალდმდეგები და ამ დროს, თავადვე აღმოვჩინე იმ ადამიანის იარლიყით, რომელიც ადამიანთა ერთი კატეგორიის მიმართ ზიზღის პროპაგანდაშია დადანიშნული. ალბათ, ყველას კარგად გესმით რა შოკი შეიძლება იყოს ჩემთვის, რა განწყობას შემიქმნიდა ერთბაშად ამდენი მოზღვავებული ზიზღის წერილები, სატელეფონო ზარები, მუქარები, დაცინვა.

არ ვიცი, რამდენად უშველის ამოდენა წყენის გაქარწყლებას ჩემი სინანული, ან რამდენად დააშოშინებს აზვირთებულ ბრაზს ჩემი ნუხილი, მაგრამ მსურს მართლაც ადამიანური გულწრფელობით პატიება ვთხოვო ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჩემმა წერილმა უნებლიედ ტკივილი მიაცენა, ან ღირსება შელახულად აგრძნობინა თავი, ან უბრალოდ, აღაშფოთა არაკორექტულობისა და მისთვის მიუღებელი მოსაზრებების გამო.

მეძვირფასება. ჩემი ქვეყნის ყველა შვილი, ყველა მოქალაქე და ადამიანი საყვარელი და დასაფასებელია ჩემთვის. ვერ ვგუფებ იმის წარმოდგენას, რომ ადამიანთა დიდ ჯგუფს კაცთმოძულე, ჰომოფობი და სამომად მოაზროვნე ადამიანი ვგონივარ. არასოდეს მეგონა თუ ესეთად შეიძლება ვინმეს დავენახე. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ შევძლებ მათი ნდობის აღდგენას, ვინც განზე გამიდგა და უნდობლობით გაციებულნი მხერით, მტრულად მიყურებს“.

ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა თამარ ივერს მადლობა გადაუხადა ამ გაბედული ნაბიჯისთვის... წერილმა ბევრის მონონება დაიმსახურა, თუმცა ზოგიც აღაშფოთა, ადამიანი, ხომ უცნაური არსებაა, მთელი მისი არსით, ამიტომაც არ გამკვირვებია როცა ამ ბოდიშს ქილიკი და ლანძვაც მოჰყვა. სწორედ ამის შემდეგ დაუკავშირდა „ქოლო“ კახი ლაზარაშვილი, რომელიც თავადაც აღშფოთებული იყო თამარ ივერის პირველი განცხადებით, მაგრამ, როგორც მასთან საუბრისას გავარკვიეთ, ხელოვნებათმცოდნე ბოდიშის შემდეგ ადამიანთა რეაქციამაც აღაშფოთა...



**კახა ლაზარაშვილი, ხელოვნებათმცოდნე:**

„ყველას მოგინოდებთ, ნუ ვიქნებით ასეთი კატეგორიულები და დაუნდობლები. ნუ გავლანძღავთ ჩვენს უმეზღოდ, ვინც არ იცის, მინდა კიდევ ერთხელ ავუხსნა, რომ თამარ ივერი არამარტო „ლა სკალას“ მომღერალია, არამედ იგი წარმატებით გამოდის „ამერიკისა და ევროპის, ავსტრალიის უდიდეს საოპერო სცენებზე... იგი ძალიან ტოლერანტული, ძვირფასი, კეთილშობილი, მეგობრული და თავის ქვეყანასა და ერზე შეყვარებული ადამიანია და არასოდეს შექმნია პრობლემა განსხვავებული აზრისა თუ სექსუალური ორიენტაციის ადამიანებთან ურთიერთობაში. არასწორი ინფორმაციის ფონზე, მოჭარბებული მღელვარებისა და ემოციების გამო თუ დააფ-



იქსირა საჯაროდ თავისი აზრი, ეს არ უნდა გახდეს იმის მიზეზი, ქვევის სწოლა დავენყო... მე მჯერა, რომ ამის შემდეგაც ისევე გაგრძელდება თამარისა და მისი საყვარელი ქართველი მსმენელის სიყვარული და მეგობრობა, როგორც აქამდე იყო!

ვაუკაცსაც კი შემურდება მისი თამამი საქციელისა და გამბედაობის. ბოდიში მოუხადო საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც არასწორად გაიგო მისი გული-სტკივილი და მწუხარება, რაც იმ დღეებში დატრიალდა თბილისში, ყველას არ შეუძლია. ამიტომ დარწმუნებული ვარ, მისი სახელი და ავტორიტეტი ერთიორად ამალდა იმ ადამიანთა თვალშიც, ვინც მანამდე თამარის მიერ საჯაროდ გაკეთებულმა განცხადებამ გააღიზიანა და აღაშფოთა.

საერთოდ კი უნდა შეიგნოს ერმაც და ბერმაც, რომ სახელმწიფო მხოლოდ მთავრობა არაა, სახელმწიფო უპირველეს ყოვლისა ჩვენ ვართ, ადამიანები, რომლებიც ათასწლეულებია ვცხოვრობთ ამ მიწა-წყალზე, რომლის ხელში ჩადგებას საუკუნეების მანძილზე ბევრი მანანნალა და დამპყრობელი ცდილობდა და ახლაც ცდილობს... უნდა გვახსოვდეს, რომ მთავრობები მიდიან და მოდიან, იცვლებიან და ამა თუ იმ რეჟიმის შიშით ცხოვრება ადამიანებში ხშირად სისასტიკეს და უკიდურეს ზიზღს იწვევს. ერთმანეთის პატივისცემა უნდა ვისწავლოთ... ეკლესიამ სიყვარული და სიკეთე უნდა იქადაგოს და ერი ქრისტეს გზით ატაროს, ხოლო ხელისუფლებამ ყველა თავისი მოქალაქე მაქსიმალურად უნდა დაიცვას, როგორც განსხვავებული აზრის ადამიანიც არ უნდა იყოს ის“!

**20 ივლისს ბათუმში, პიატას მოედანზე და 22 ივლისს თბილისში**

**Земфира- ს კონცერტის ბილეთები განსაკუთრებულ ფასად**

www.jolo.ge

ცნობილი რუსი მომღერლის Земфира- ს კონცერტზე დასასწრები ბილეთები განსაკუთრებულ ფასად იყიდება. კონცერტი კომპანია „ლაივ კონცერტის“ ორგანიზებით 20 ივლისს ბათუმში, პიატას მოედანზე ჩატარდება, ხოლო 22 ივლისს თბილისში, მთაწმინდის პარკში გაიმართება. მომღერალი მსმენელის წინაშე უახლესი ალბომით „ЖИТЬ В ТВОЕЙ ГОЛОВЕ“ პრემიერით წარსდგება. კონცერტის ორგანიზატორის კირილ ხიმიჩევის თქმით, მომღერალი საქართველოს ბენდთან ერთად, 12-კაციანი შემადგენლობით ეწვევა და ორსაათიან კონცერტს გამართავს. კონცერტზე დასასწრები პირველი 300 ბილეთი განსაკუთრებულ ფასად, 45 ლარად გაიყიდება. შემდგომ კი ბილეთის ფასი 60 ლარამდე გაიზრდება. ხოლო 13 ივნისიდან ვიპ ბილეთების რეალიზაცია დაიწყება. ბილეთების შეძენა [www.ticketservice.ge](http://www.ticketservice.ge) -ზე შესაძლებელია.

# ბაჩა მძინარაშვილი აღიარ

**my View**  
და  
თავგაბრუნებელი

ქართველი მუსიკოსის CD პროდუსერი ცნობილი ამერიკელი ჯაზმენი დანერ ბარეტი გახდა. ბერკლის ქართველმა სტუდენტმა ბაჩა მძინარაშვილიმა უკვე რამდენიმე კვირისა, რაც ბოსტონის სასწავლებელი დაამთავრა და ახლა ალბომზე მუშაობს. ამ ალბომს ქართველი მუსიკოსი ამერიკაში მოღვაწე ცნობილ და განთქმულ ჯაზმენებთან ერთად წერს... დისკის პრეზენტაცია, ნიუ-იორკში, ივლისის შუა რიცხვებშია დაგეგმილი. მანამდე კი ბაჩა მძინარაშვილი ბერკლის პრესტიჟულ ფესტივალზე მიიღებს მონაწილეობას. ქართველი მუსიკოსის სამომავლო გეგმებს ქართული კულტურის აღორძინებას დიდი ადგილი ეთმობა. ამერიკაზე, ბერკლიზე, პროფესიონალ მუსიკოსებსა და საქართველოზე, თავად ბაჩა მძინარაშვილი ისაუბრებს... „პრაიმტიმის“ მკითხველს სამომავლო გეგმებს ის ბოსტონიდან გააცნობს.

**ბაჩა მძინარაშვილი:** „შემიძლია ვთქვა, რომ ბოსტონმა და ბერკლიმ ჩემი ცხოვრება ბევრად უფრო საინტერესო გახადა. აქ უამრავი რამ ვისწავლე, მუსიკაშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. შევიძინე მრავალი მეგობარი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რაც მუსიკოსისთვის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია. რაც შეეხება პროფესიულ მხარეს, შევეცადე, მაქსიმუმ გამეკეთებინა. ვიმუშავე საკმაოდ გამოცდილ პედაგოგებთან ერთად, რამაც ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე, როგორც მუსიკოსზე. ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ბერკლიმ მომცა, პრობლემებთან გამკლავების უნარია. ასევე, მასწავლა, როგორ ვიმოკო საკუთარი ადგილი ისეთ კონკურენტულ და მრავალფეროვან გარემოში, როგორც ამერიკის მუსიკალური სამყარო.“  
- როგორც ვიცი, როცა ბერკლიში ჩააბარე ერთადერთი სტუდ-



## exclusive

„ჩემი მიზანია, საქართველოში დაბრუნების შემდეგ გავხსნა ჯაზის სკოლა და ის გამოცდილება, ცოდნა და კონტაქტები, რაც აქ შევიძინე, ახალ თაობას გადავცე, რათა საქართველოში ჯაზის ტრადიციები გაბრძნულდეს და კიდევ უფრო განვითარდეს“

**ენტი იყავი საქართველოდან, დღეს რა მდგომარეობაა ამ მხრივ, სულ რამდენი ქართველი სწავლობს?**  
- როდესაც ბერკლიში ჩამოვედი, აქ არც ერთი ქართველი არ სწავლობდა, 1999 წლის შემდეგ პირველი კურსდამთავრებული ვარ. ჩემს შემდეგ სამმა

ქართველმა ჩააბარა, -გიორგი მიქაძემ, ვაჟა მანიამ და დიმიტრი ჟორდანიამ. ისინი დღესაც სწავლობენ. ვფიქრობ, ეს ძალიან სასიხარულოა.  
- რას დაარქმევ ალბომს, რომლის გამოცემასაც აპირებ და სულ რამდენი კომპოზიცია შევა ალბომში?

- ალბომის სახელწოდება ჯერ არ მომიფიქრებია. რაც შეეხება ამ პროექტს, ძალიან გამიმართლა, რადგან ადამიანები, რომლებთან ერთადაც ალბომის ჩანერვას ვაპირებ, მართლაც დიდი მუსიკოსები არიან. მათ კარგად იცნობს ჯაზის საყვარო. ჩემთვის ეს

ბაჩა მუსიკამ ბავშვობიდან გაიტაცა. პატარობისას ვიოლინოზე დადიოდა, მერე კი რატომღაც ფორტეპიანო აირჩია, თავიდან მხოლოდ სიამოვნებისთვის უკრავდა, 22 წლისამ კი გადაწყვიტა ეს სიამოვნება პროფესიად ექცია. იყო სახელმწიფო სამსახურში მუშაობის წლებიც და საკმაოდ წარმატებული პროექტებიც, მაგრამ ამ ყველაფერს მაშინ ერთვოდა წუხილი, და სურვილი, რომ მუსიკით შეექმნა რაღაც... ერთ დღესაც ცხოვრება რადიკალურად შეცვალა, უარი თქვა სამსახურზე და მთლიანად შემოქმედებაზე გადაერთო... ამას რამდენიმე თვიანი მომზადება, ბერკლი და მუსიკალური ცხოვრება მოჰყვა...

## „საქართველოში ძალიან ნიჭიერი აღამიანები ცხოვრობენ და მათ გზის გაკვალვა სჭირდებათ“

პროექტი ერთგვარი ანგარიშია, სურვილია, ამ ოთხი წლის განმავლობაში შექმნილი ცოდნა და გამოცდილება ნაწილობრივ მაინც წარმოვანიხო. ალბომის პროდუსერია ჩემი პედაგოგი, დარენ ბარეტი. ალბომში, დაახლოებით, რვა კომპოზიცია შევა, აქედან რამდენიმე საგანგებოდ ამ ალბომისთვის დაწერე. ასევე, შესრულება დარენის თემებიც. შევეცადე, ყველა კომპოზიცია სტილურად განსხვავებული ყოფილიყო, რადგან, ვფიქრობ, რომ მრავალფეროვნება მსმენელისთვის უფრო მიმზიდველი იქნება. თითოეულ თემაში რაღაც იდეა და შინაარსი დევს. ბევრს ვმუშაობ არანჟირებაზე და მიმანია, რომ ეს კიდევ უფრო საინტერესო გახდეს ამ ალბომს. ჩვენ ვართ კვინტეტი: დრამი, ბასი, პიანო, საყვირი და საქსოფონი. ჩაინერება D. B. სტუდიაში, ბოსტონში. მიქსი გაკეთდება Avatar Studio-ში, NY ასევე, ვაპირებ ვიდეოკლიპის გადაღებასაც... ბერკლი არის ჯაზის ოჯახი, მე გამიმართლა, რომ ამ ოჯახში მოვხვდი და ასეთი კარგი მუსიკოსები გავიცანი... დიდ მუსიკოსებთან ურთიერთობა ყველანაირ შემზღვევას გიხსნის და თავისუფალი ხდები...

**„მას ბევრი ისეთი თვისება აქვს, რომელიც აუცილებელია ჯაზში... ბაჩა ნიჭიერი და ძალიან შრომისმოყვარეა, მისგან დიდ წარმატებას უნდა ელოდოთ“.** - ასე აფასებს ბაჩა მძინარაშვილს ამერიკაში აღიარებული ჯაზმენი დარენ ბარეტი... მუსიკოსები, რომლებიც ალბომის შექმნაში მონაწილეობენ ბაჩა მძინარაშვილისა და შავი ზღვის ჯაზფესტივალის მესვეურთა და მსახურებით საქართველოს კარგად იცნობენ...

**ბაჩა მძინარაშვილი:** - მაირონ უოლდენი (Myron Walden) - საქსოფონი, დარენ ბარეტი (Darren Barret) - საყვირი და კიდევ ჩემი ორი ახალგაზრდა მეგობარი - მუსიკოსი ნიუ-იორკიდან - ეს მუსიკოსები ამერიკაში გავიცანი. ჩვენი ბენდი პირველად საქართველოში შავი ზღვის ჯაზფესტივალზე ბატონი ნიკა რურუას ხელმძღვანელობით მიიწვიეს 2011 - 2012 წწ.-ში. რამაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენს თანამშრომლობას. დარენ ბარეტი - Thelonious Monk-ის კონკურსის გამარჯვებული და პირველი პრიზის მფლობელია. მრავალი წლის განმავლობაში ის Elvin Jones-სა და Herbie Hancock -თან ერ-



**„ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც ბერკლიმ მომცა, პრობლემებთან გამკლავების უნარია. ასევე, მასწავლა, როგორ ვიმოკო საკუთარი ადგილი ისეთ კონკურენტულ და მრავალფეროვან გარემოში, როგორც ამერიკის მუსიკალური სამყარო“**

**დარენ ბარეტი:**  
„მას ბევრი ისეთი თვისება აქვს, რომელიც აუცილებელია ჯაზში... ბაჩა ნიჭიერი და ძალიან შრომისმოყვარეა, მისგან დიდ წარმატებას უნდა ელოდოთ“

# ეპუღ ჯაზმენებთან ერთად

თად უკრავდა. მას ოთხი წლის წინ ბერკლიში შევხვდი. ეს ჩემი კოლეჯში ყოფნის პირველი კვირა იყო და ცოტა დაბნეული ვიყავი. მის კლასში მოვხვდი. დარწმუნებით სტუდენტებს ეკითხებოდა, ვინ რა უნარში და რა ინსტრუმენტზე უკრავდა. როდესაც ჩემი ჯერი დადგა, ვუბასუხე - ფორტეპიანო და ჯაზი - მეთქი. მან მითხრა, მოდი, რამე დაუკარიო, მე მივუჯექი ინსტრუმენტს და ბლუზის დაკვრა დავიწყე. დარწმუნებამ გამაჩერა, აიღო თავისი ინსტრუმენტი და იგივე მელოდია დაუკრა, შემდეგ იმპროვიზაცია დაიწყო. რომ დაამთავრა, მითხრა, აი, ეს ასე იკვრებაო. გამეცინა, თუმცა, რა მაცინებდა, თვითონ არ ვიცოდი. მაგრამ მახსოვს, რომ მისმა შესრულებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მან ეს იგრძნო და იმ დღიდან ჩვენ ძალიან დავახლოვდით, მე მას დიდ პატივს ვცემ, როგორც მუსიკოსსა და მეგობარს. მივხვდი, რომ მისგან დიდი ინფორმაციის მიღება შემეძლო. მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა. დღესაც მასთან ერთად ვარ და ვხვდები, რომ ასეთი მუსიკალური და მოაზროვნე შემსრულებელი ძალიან ცოტაა. საქსოფონისტი მაირონ უოლდენი, ასევე, გამორჩეული მუსიკოსია. ის Manhattan School-ში ასწავლის და ცნობილ Brian Blad-ის კვინტეტში უკრავს. მასთან მუშაობა ჩემთვის დიდი პატივია.

- რა სამომავლო გეგმები გაქვს?

**„ამერიკა არა მხოლოდ თავისუფალი ქვეყანაა, არამედ ეს არის კეთილგანწყობილი, მოტივირებული და წარმატებული ადამიანების სამშობლოც, სადაც არ მუშაობს სუბიექტური პრინციპები. ეს არის კონკურენტული გარემო, რომელიც ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა განაპირობებს წარმატებას“**

# სიასლა ბერკლიდან



- პირველ ყოვლისა, მინდა დავამთავრო ამ ალბომის ჩანერა. მასზე მუშაობა იენისის ბოლოს დასრულებდა. შემდეგ, უნდა ვიფიქრო პრეზენტაციებზე. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ძალიან გამეხარდებოდა, თუ საქართველოშიც შედგება ჩემი სადებიუტო ალბომის წარდგინება. ივლისში ბერკლი დოთრესტერში ფესტივალს აწყობს, სადაც თავად კოლეჯიდან სამი ბენდი მონაწილეობს: აქედან ორი - კოლეჯის მასწავლებლებით არის დაკომპლექტებული, ერთი კი - სტუდენტებით. მისარია, რომ სტუდენტურ ბენდში მიმიწვიეს და მაქვს საშუალება, მონაწილეობა მივიღო ამ მნიშვნელოვან ფესტივალში. საცხოვრებლად ნიუ-იორკში ვაპირებ გადასვლას და იქ გარკვეული დროის შემდეგ მასტერ პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას... ასევე, ჩემი

მიზანია, საქართველოში დაბრუნების შემდეგ გავხსნა ჯაზის სკოლა და ის გამოცდილება, ცოდნა და კონტაქტები, რაც აქ შევიძინე, ახალ თაობას გადავცე, რათა საქართველოში ჯაზის ტრადიციები გაგრძელდეს და კიდევ უფრო განვითარდეს. საქართველოში ძალიან ნიჭიერი ადამიანები ცხოვრობენ და მათ გზის გაკვალვა სჭირდებათ.

- საქართველოში ჩამოსვლა რამდენ ხანში ერთხელ გიხდება? მონატრება ისევე არის თუ... უკვე აღარ?

- საქართველოში წელიწადში ერთხელ ჩამოვდივარ. მონატრება, რა თქმა უნდა, ისევე არის და ალბათ, სულ იქნება... ყოველთვის მენატრება ჩემი ქვეყანა. დღე არ გავა ისე, რომ არ გავიხსენო ჩემი ოჯახი და მეგობრები.

- როდის და როგორ ქმნი მუსიკას?  
- მუსიკის წერა ძალიან მიყვარს მაშინ, როცა კარგ ხასიათზე ვარ. ისე, არ დავკვირვებებივარ, როგორ ვქმნი, ეს თავისთავად ხდება. თავიდან ყოველთვის უბრალოდ იწყება, შემდეგ ვცდილობ, გავამდიდრო და დავხვეწო მუშაობა... საერთოდ, ირგვლივ რაც ხდება, ვცდილობ, ყველაფერი მუსიკას დავეუბნო. კომპოზიციას ადრეც ვწერდი ჩემთვის, მაგრამ ახლა მივხვდი, ლამაზი მუსიკა რომ შექმნა, ცხოვრებიდან უნდა აიღო მასალები...


- რას ნიშნავს ნიჭიერი კაცისთვის ამერიკა... რა მოგცა შენ?  
- ამ შეკითხვას ასე ვუბასუხებ. დიდი ამერიკელი რეჟისორი, ნარმოშობით ჩემი, მილომ ფორმანი მხოლოდ მას შემდეგ გახდა მსოფლიო კინემატოგრაფის ვარსკვლავი, როდესაც პოლიუდში გააგრძელა თავისი მოღვაწეობა. ამერიკაში გაძევებული დიდი რუსი პოეტი, იოსიფ ბროდსკი კი ნობელის პრემიით ინგლისურენოვანი ესპების შექმნისთვის დააჯილდოვეს. ამერიკა არა მხოლოდ თავისუფალი ქვეყანაა, არამედ ეს არის კეთილგანწყობილი, მოტივირებული და წარმატებული ადამიანების სამშობლოც, სადაც არ მუშაობს სუბიექტური პრინციპები. ეს არის კონკურენტული გარემო, რომელიც ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა განაპირობებს წარმატებას.



ბეჩა გოჩიაშვილთან და გიორგი მიქაქაშთან ერთად



დაჟენ ბაჟაძე



## my View თაბარ ზონდაძე

მისი ხმა ზაზა შენგელიამ გახეხილ ჯინსებს შეადარა და იმდენად მომწონს, რომ ვეთანხმები. „საქართველოს ვარსკვლავში“ ლევან მასპინძელაშვილი თავისი ტემპით გამორჩეული კონკურსანტია. ჩემი აზრით, საკონკურსო ტიპაჟი არ არის, უფრო ჩამოყალიბებული შემსრულებელია, რომელიც ორშაბათობით ფილარმონიაში მღერის. ამ დროს მას ასე სახალხოდ შესრულების გამოცდილება არც ჰქონია. ხმა უცხოელი შემსრულებლების იმიტაციამ ჩამოიყალიბაო, ამბობს. „საყვარელ შემსრულებლებს ვბაძავდი. მათ შორის ალანის მორისეტს, ზემფირას, ნიქელბეგს“. ლევანის საყვარელი ჟანრი - გრანჟია.

„საქართველოს ვარსკვლავში“ მონაწილეობის მისაღებად თანამშრომელმა დაარეგისტრირა. „მეგობრები სულ მეუბნებოდნენ - რომელიმე კონკურსზე რატომ არ გადიხარო. მერე მამამაც მითხრა, შანსი უნდა გამოიყენო. მრავალფეროვნებისთვის ცხოვრების ცოტა ხნით შეცვლა მეც მომიხდა“. ასე მოხდა ლევანის პროექტი.

### ბავშვობა - ლამპის შუქზე სიმღერა

„ჩემს ძმას მუსიკალური შვიდწლიანი აქვს დამთავრებული. საერთოდ, ძმის გავლენა მაქვს. ეს ის ადამიანია, რომლის გავლენაც შეიძლება გქონდეს. პაპაჩემი ყიდულობდა ელტონ ჯონის ფირფიტებს, გვეკონდა ბევრი შოპენის, მოცარტის და ბახის ფირფიტა... ბავშვობა და მუსიკა ჩემთვის 90-იანი წლების მუსიკასთან ასოცირდება. „პასტი“ გადახვეულ კასეტასთან და ლამპის შუქზე ძმის მეგობრებთან ერთად სიმღერასთან ასოცირდება. „ასი პოპულარული ქართული სიმღერა“ იყო ასეთი ნიგნი, რომელიც კორპუსში ერთი ეგზემპლარი იყო და იქიდან ვმღეროდი სიმღერებს. ეს იყო სიმღერები ქართული კინოფილმებიდან. გვიყვარდა „ბითლზების“ რეპერტუარის შესრულება“.

### ანდერგრაუნდში

„როკერი ბიჭი ვიყავი. ღია ფერის გახეხილ ან დაგლეჯილ ჯინსებსა და კედლებს ვიცვამდი. თმას ვერ ვიზრდი, ხვეული მაქვს და ფუფუნებოდა. დედა მაშაყობდა, „ბონიემს“ მეძახდნენ. იყო პერიოდი მე და ჩემი მეგობარი გიორგი გზირიშვილი ოპერის მიწისქვეშა გადასასვლელში ვუკრავდით. სამწუხაროდ, გიორგი ცოცხალი აღარ არის. ერთი საინტერესო ისტორიაა. ჩემი დაბადების დღე იყო და ტრადიციულად, მე და გიორგი ერთად ვიყავით. მას თავისი მეგობარი გოგონა უნდა ენახა. თანაც



**„ალბათ, მოგების ყველაზე დიდი შანსი ნინა სუბლატს აქვს. ყველაზე პარსკვლავური, ჩემი აზრით, სუბლატია“**

**„შეიძლება მომინდეს და გავყვე მუსიკას, შეიძლება - არა. ჯერჯერობით სტაბილური შემოსავლის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოვიდგენია. 19 წლიდან ფინანსურად არავისზე არა ვარ დამოკიდებული, სულ ვმუშაობ“**

იმ დღეს ბილიარდის თამაში გვეკონდა დაგეგმილი. მე ჩავედი მიწისქვეშა გადასასვლელში... და სასწაული მუსიკალური პერფორმანსი მომესმა! ზაზა კვარაცხელია და „33 ა“-ს გიტარისტი აჩიკო ციმაკურიძე უკრავდნენ. მას შემდეგ ასეთი მუსიკა არც ერთ მიწისქვეშაში არ მომიხმენია. მოკლედ, იქ დავტყვევდი. სულ არ მახსოვდა ჩემი დაბადების დღე. მერე მახსოვს, გიორგის ეს ამბავი რომ მოუყვავი, ერთი კვირა არც იყო გასული, ჩავედი მიწისქვეშა გადასასვლელში და რას ვხედავ, გიორგი უკვე ყველას იცნობდა, იდგა და მუსიკოსებს ესაუბრებოდა. მერე

ჩვენ დავინწყით მიწისქვეშა გადასასვლელში გიტარაზე დაკვრა, მაგრამ, როცა ისინი არ იყვნენ. მაშინ დავინწყე „33 ა“-ს მოსმენა, ჩაუღრმავდი „პინქ ფლოიდსა“ და „დედეტს“.

### „სულ ვმუშაობ“

მონღლებით მუსიკოსმა ლევანმა შემდეგი ფაქტული აარჩია - ტურიზმი, კომერცია, სარეკლამო ბიზნესი. 19 წლიდან მუშაობს. იყო ბანკის ეტაპი მის ცხოვრებაში. „საქართველოს ბანკში“ და „ტიბისში“ მუშაობდა. ახლა ონლაინ მარკეტინგში მუშაობს და კმაყოფილია.

**„ასეთი განსაკუთრებული ღიმილი არ მინახავს, მომონების ნიშნად ცერი ამინია. მამ დროს მივხვდი, რა მამარია, როცა ვილატ გცნობს და აღამიანებისგან განსაკუთრებულ ემოციებს ბრძნობ“**




„შეიძლება მომინდეს და გავყვე მუსიკას, შეიძლება არ გავყვე. ჯერჯერობით სტაბილური შემოსავლის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოვიდგენია. 19 წლიდან ფინანსურად არავისზე არ ვარ დამოკიდებული, სულ ვმუშაობ. ეგ არის, მშობლებთან ერთად ვცხოვრობ. ცალკე რომ ვცხოვრობდე, ყველაზე მაგარი იქნებოდა. ამ პროექტმა ნოტების წერის სწავლის სურვილი გამიჩინა. მუსიკალური იდეა რომ გამიჩნდება, ფურცელზე გადავიტანო და არ დავკარგო. 15 წლამდე ფეხბურთს ვთამაშობდი. მერე უკვე გიტარა და მუსიკა შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში. მუსიკას ვიკონებდი, მაგრამ ფურცელზე რომ ვერ გადმოქონდა, ვკარგავდი. გავიხსენე რაღაც ძალიან ძველი ჩემი მელოდია, მაგრამ ტექსტს ბოლომდე ვერ ვიხსენებ“.

**„გამარჯვება პირველხარისხოვანი არ არის ჩემთვის“**  
„პირველად მიკროფონი ამ კონკურსში დავიჭირე. აღმოვაჩინე, რომ მასში სხვანაირად ისმის ხმა. პირველად სცენაზე აქ გამოვედი. მეშინოდა გასვლამდე, მერე უკვე სულ სხვა ემოცია დამეუფლა. დაბაზიდან დადებითი ემოცია წამოვიდა, მე ეს ვიგრძენი და დედა აღარ მქონია. იქ ყოფნა მსიამოვნებდა. მერე ასეთი შეგრძნებები დამეუფლა. რაც ვიმღერე, ჩემი შესრულებით „Silent Swim“ რომ მოვისმინე, მომეწონა. სიმღერა „Lonely Day“-ის შესრულების დროს ზემდეტი ემოციები მომივიდა. რომ მოვრჩი, ფეხი მიკანკალედა ისე შევედი მუსიკა-



**„მე, სკოლის მოსწავლეები და 50 წელს გადაცილებული მღერობითი სქესი მიმეხიჯება“**

## „გული იმაზე მწყდება, რომ პროექტის დატოვების შემთხვევაში ბენდთან მუსიკის კეთების პროცესი აღარ მქონდება“



## „ჩემი ძმა იმუხნება, როცა შეყვარებული ხარ, უინტერესო ხდებიო. მაგონად მიყვარს და ძირითადი ჩემი ზიქრი მისკენაა მიმართული“

# EXCLUSIVE



ში. ერთ ორ მომენტში ვხავი და არ მომწონს. ანუ მაყურებელზე ასეთმა მუშაობამ და მეტმა ექსპრესიამ სიმღერის რალაც ნაწილი გამიფუჭა. დეჟა გომესი? მაგარი ქალია, მაგარი აურა აქვს. სტივ უანდერის სიმღერის სიტყვები უნდა დამავიწყდეს-მეთქი, დილიდან ავიკვირებ. სტივისაც ავიწყდება ზოგჯერო, იმდენად დამაჯერებლად მითხრა, დავიჯერე და განწყობაც შემეცვალა. მისი პოზიტიური განწყობა გადამდებია.

კონკურსი ჩემთვის მეორეხარისხოვანია. თუმცა კონკურსანტი ვარ და ვიბრძვი გამარჯვებისთვის. მაგრამ გამარჯვება პირველხარისხოვანი არ არის ჩემთვის. ყველაზე მეტად მიხარია ის, რომ ბენდთან ვმუშაობ. „ბრაგო ბენდზე“ შეყვარებული ვარ, სასწაული ბიჭები არიან. მიხარია ის, რომ ნიკოლოზ რაჭველთან, ნინო ქათამაძესთან მომიწია მუშაობა. ეს საოცრებაა, ძალიან მახარებს. ანუ ჩემთვის მთავარი კონკურსში მონაწილეობა და მთელი ეს პროცესია. გული იმაზე მწყდება, რომ პროექტის დატოვების შემთხვევაში ბენდთან მუსიკის კეთების პროცესი აღარ მქონდება.

**- ვინ გიმეხიჯებს, რა კატეგორია?**

- მე მიმეხიჯებენ სკოლის მოსწ-

აღლებები და 50 წელს გადაცილებული მდედრობითი სქესი. კომენტარები ვნახე და იქიდან ვივსაქვნი.

**პოპულარობა**

„პოპულარობა სასიამოვნოა. სეირნობა მიყვარს. როცა ვსეირნობ, მუსიკას ვუსმენ და მილიმიან, როგორ შეიძლება არ მომწონდეს? არანორმალურად სასიამოვნოა. ჭკუა მეკეტება, როდესაც ბავშვები გამომხატავენ ამ სიბოძს. მესმის ფრაზები - „ეს არის? არ არის. შენ მასწავლი?“ რომ ბჭობენ და თან რომ გიყურებენ, სასაცილო და სასიამოვნო საყურებელია. საბურთალოზე ვიყავი, ტაქსმა ამოუხვია, ნ წლამდე იქნებოდა მძლოლი, დამინახა და - ასეთი განსაკუთრებული ლიმილი არ მინახავს, მონონების ნიშნად ცერი ამინია. მაგ დროს მივხვდი, რა მაგარია, როცა ვილატ გცნობს და ადამიანებისგან განსაკუთრებულ ემოციებს გრძნობ. პოზიტიურ განწყობაზე მაყენებს“.

**სიყვარული**

„შეყვარებული არ ვარ. ურთიერთობები მაქვს, ეს სიყვარული არ არის. ადრე მიყვარდა, ერთადერთხელ და დიდი ხნის განმავ-

ლობაში, რამდენიმე წელი... ეს იყო ნამდვილი სიყვარული. სიყვარული ბევრი მძაფრი ემოციის ერთობლიობაა. ეს გაკავშირებს იმ ადამიანთან. შესაძლოა, ამ დროს გიყვარდეს ის, რაც სხვაში არ მოგეწონებოდა“.

**- შეყვარებული როგორ ხარ?**

- ჩემი ძმა იმუხნება, როცა შეყვარებული ხარ, უინტერესო ხდებიო. მძაფრად მიყვარს და ძირითადი ჩემი ფიქრი მისკენაა მიმართული. საერთოდ, სიყვარულობანას თამაში არ მჩვევია. ერთადერთხელ მიყვარდა. თუ ვიცი, რომ გრძნობა არ მაქვს, სიყვარულს არ ვარქმევ. ეს ჩვეულებრივი ურთიერთობაა. როცა განსაკუთრებული ემოცია მოდის, მერე უკვე ვეღარ აკონტროლებ.

**- ახლა შეყვარებული რომ ყოფილიყავი შეგიშლიდა ხელს კონკურსში?**

- საგარეოდ, არანაირად არ შემიშლიდა. სიმღერა მაინც სიყვარულზე და ემოციაზეა. ვფიქრობ, ანი უკვე ისე აღარ შემეყვარდება, პირველად რომ მიყვარდა.

**„თავდაჯერებული ვიქნები...“**

**- მოგების ყველაზე დიდი შანსი ვის აქვს?**

- ალბათ, მოგების ყველაზე დიდი შანსი ნინა სუბლატს აქვს. ყველაზე ვარსკვლავური, ჩემი აზრით, სუბლატია. არანორმალურად კარგად მღერიან მარიკო და ნუკა.

**- საფინანსო სამეული როგორი იქნება?**

- მარიკო ლეჟავა, ნინა სუბლატი და ნუკა გვალია.

**- შენ რომ მოიგო, რას შეცვლის შენს ცხოვრებაში?**

- მექნება გამარჯვების შეგრძნება, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაგარი შეგრძნებაა. დავრწმუნდები, რომ რალაც მომენტში რჩეული ვარ, ისე ვერ გავიმარჯვებდი. ჩემს შესაძლებლობებში უფრო მეტად დავრწმუნდები. თავდაჯერებული ვიქნები. გარდა ამისა, ყოველწელს ბათუმში დავისვენებ და ბრიტანეთში ვოკალის კურსებს გავივლი. თავდაჯერებული გამოცდილებაა. მოკლედ, ბევრ რამეს შეცვლის.

**- ახლა რა სურვილი გაქვს?**

- მინდა აკუსტიკური, წყნარი სოლო კონცერტი, პატარა 200-კაციანი დარბაზში, პატარა სცენით, ორი გიტარით და ქავერებით.

# თემურ ჩხეიძე დაბრუნდა - პრემ

**my View**  
თამარ გომეზაძე

თემურ ჩხეიძემ ინტერვიუს ჩანერამდე რეპეტიციაზე დასწრება შემომთავაზა. მარჯანიშვილის თეატრში კატალონიელი თანამედროვე დრამატურგის - ფორდი გალსერანის პიესას დაგმს. მესტრო პეტერბურგიდან თბილისში 4 აპრილს დაბრუნდა. 22 წელია სანკტ პეტერბურგის დიდ თეატრში მოღვაწეობს. ბოლო ექვსი წელი ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ. გამოთხოვება ძალიან გაუჭირდა... ეს ბუნებრივად არის. 22 წელი ხომ 22 დღე არ არის?! ქალაქისა და დიდი თეატრის მადლობელია. თუმცა თემურ ჩხეიძე ახლა უკვე ჩვენია. ჩამოვიდა თუ არა, ახალი სპექტაკლის დადგმას შეუდგა. 16 აპრილს რეპეტიციები დაიწყო. ფორდი გალსერანმა თავისი პიესა - „გრონოლმის მეთოდი“ თავდაპირველად მშობლიურ ენაზე დაწერა, მერე კი ესპანურად თარგმნა. ბატონმა თემურმა პიესა ქართულად თამაშ გოდერძიშვილს ათარგმნა. პიესის ფაქტი ინტელექტუალური ტრილერისა და ფსიქოლოგიური დეტექტივის ნაზავია. „ხელში ჩამოვარდა და ნავიკითხე. ვერ ვიხსენებ თანამედროვე პიესას, რომელიც ბოლო წლებში ასე მომწონებოდა“. სპექტაკლის პრემიერა თვე-ნახევარში, 9 ივნისს, მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე შედგა. სპექტაკლის მხატვარი გოგი ალექსი-მეხსიშვილია. რეჟისორს გამოყენებული აქვს პეტიოვენი „ელიზი“.



**„ბედნიერება, ალბათ, ის არის, რომ ვცხოვრობ ქალთან, ვისთან ერთადაც მიწა ვიტყვით. ნანისთან არ გგებოდა. პეტერბურგში ყოფნისას, მენატრებოდა, მაგრამ ის იმდენად ჩემშია, რომ მასთან დაბრუნების შებრძობა არც ერთხელ არ მქონია“**

დამთავრებული. ასევე ორი თეატრმცოდნე, რომ ამათთან ერთად იცხოვრონ და თეატრი შეგინდნან ნახონ, რომ საღი წარმოდგენა ჰქონდეთ, რას ეძებს თეატრი. პარალელურად თეატრალურ სპინდისგან მცხოვრებლებს სამსახიობო-სარეჟისორო კურსი. ათი ივნისიდან მისაღები გამოცდები მენწყება“.

**„დიდი თეატრში მოხვედრა შემთხვევითობა იყო, ალბათ“**  
1991 წლიდან თემურ ჩხეიძე სანკტ პეტერბურგის დიდი თეატრის რეჟისორია, 2004 წლიდან - მთავარი რეჟისორი, 2007 წლიდან კი მისი სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ. ხომ წარმოგიდგენიათ რამდენი წარმოდგენა, აპლოდისმენტისა და ოვაციის ექო ახლავს ამდენ წელს. წელს რეჟისორმა საბოლოოდ წამოსვლა გადაწყვიტა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა ანდრეი მაგუჩინი გადაიბარა.  
„არ მინდა გამოთხოვების გახსენება. ძალიან ძნელია. ამ თეატრთან 22 წელი ვუერთიერებოდი. თუმცა აქაურობასთან კავშირი არასდროს გამიწყვეტია. რაღაც უნდა შეცვლილიყო. თეატრისთვისაც ჯობია პერიოდულად მმართველის ცვლა. რაღაც დამოკიდებული და ხელმძღვანელისთვისაც. თანამდებობაზე შეჩვევა არ უნდა მოხდეს, რომ ყურადღება არ მოღწეოდეს. ამას თუ სხვა ამჩნევს უკვე შენ კი არ მოდიხარ, გაგდებენ. საქმე მანდამდე არ უნდა მიიყვანო“.  
კირილ ლავროვი მარჯანიშვილის თეატრის გასტროლებზე ლენინგრადში გაიცნო. სპექტაკლებზე მოვიდა... მაშინ ლენინგრადის თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელი იყო. 1987 თუ 1988 წელი იყო... ბატონი თემური ერთ-ერთ მცირერიცხოვან დელეგაციაში მოხვდა იაპონიაში. იმ ჯგუფს ლავროვი ხელმძღვანელობდა... მერე ტოვსტონოვოვი რომ გარდაიცვალა და ლავროვი გახდა დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ჩხეიძეს მიმართა: ძალიან დაბნეული ვართ, ასეთი პიროვნება გამოგვეცალა ხელიდან და იქნებ შენ დაგვიდგა რამეო.  
„ადრე, ტოვსტონოვოვი მეუბნებოდა, შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ და-

**რა ხდება სპექტაკლში**  
რეპეტიციაზე დიდი საამოვნება მივიღე. რეჟისორსა და მსახიობებს შორის სულ სხვა დონის ურთიერთობა ვნახე, რაღაც პარამონიული და დახვეწილი. „სულ სხვა ხელნერა აქვს, თავისი. სხვა თეატრია“ - ამბობს ეკა ჩხეიძე, მესტროს ქალიშვილი. ის ერთადერთი ქალია სპექტაკლში. მის გარდა „გრონოლმის მეთოდი“ სამი მამაკაცი თამაშობს: ალექსი მახაროზიშვილი, აპოლონ კუბლაშვილი და ნიკა თავაძე. იმისთვის, რომ ინტრიგაც დავეტოვოთ და კარტეტიც ბოლომდე არ გავხსნათ, ფაბულას მშრალად გიყვებით. მოქმედება ვითარდება საერთაშორისო კორპორაციის ოფისში, სადაც კომპანიის ტოპ-მენეჯერის მერჩენის ბოლო ეტაპი მიმდინარეობს. ოთხი კანდიდატი სასტიკ ბრძოლაში ჩართული, ყოველი მათგანი მზადაა, რომ მიზნის მისაღწევად ფსიქოლოგიურად გაანადგუროს მოწინააღმდეგე.  
**თემურ ჩხეიძე:** „სამუშაოდ ასაკურად მსგავსი ტესტები ამერიკელებსაც აქვთ, ევროპაშიც არის. კარგია ტესტი, მთლიანად გამოიკვლევ ადამიანს, დარწმუნდები მიიღო თუ არა სამუშაოდ; მაგრამ ხანდახან ეს ტესტები ადამიანისთვის ისეთი მტკიცეულია, რომ იწყებ

ფიქრს, ამის საფასურად სამსახურში მონაცობა ღირს? ამ პიესაში სწორედ ამგვარი ტესტის შედეგად ანადგურებენ ადამიანს. ყველაფერი თანამედროვეს ფრთხილად უნდა მიდგომა. ყველაფერი ახალი ავტომატურად კარგს არ ნიშნავს. რაღაც დროს უნდა გაუქლოს და მერე ის ან მკვიდრდება, ან - არა. ყველა ახალგაზრდა ბიოლოგიურად მშვენიერია, თუმცა ვერ იტყვი, მისგან რა აღმოცენდება“.

**„ძალიან გამიკვირდა, მე რომ დამაკავა“**  
ერთადერთი ქალის როლს, როგორც ვახსენე, ეკა ჩხეიძე თამაშობს. ის ბედნიერია, რომ მამასთან მუშაობის შესაძლებლობა მიეცა, რაც თურმე დიდი იშვიათობაა. რომ ვაკვირდებოდი, მას ყველაზე მეტ შენიშვნას აძლევდა რეჟისორი მამა. ეკა კი სცენაზე ჩვეუ-

ლებრივი მსახიობი იყო და არა ქალიშვილი.  
„თუ კონკრეტული როლის თამაში სხვა-საქმე უნდა, ამყავს სხვა, და არა ჩემი ოჯახის წევრი - შვილს ეხება ეს, ცოლს თუ დედას. თუმცა დედაჩემს სამაგისო არაფერი სჭირდა, მაღალი დონის მსახიობი იყო. ამ შემთხვევაში მომინდა, რომ ეკას ეთამაშა. ბიჭებიც კარგად არიან თავიანთ როლებში. „პოლიკა“ დიდი ხანია მაინტერესებდა და ავთო ვარსიშაშვილის ფიზიკა, მენი მსახიობი მათხოვრე-მეტი...“  
**ეკა ჩხეიძე:** „ჩემთვის მამა სცენაზე დაბრუნდა. მასთან ვეთამაშებ და ჯერ მამის რუსეთიდან დაბრუნებას ვერ აღვიქვამ. ჯერ რეჟისორის დაბრუნება. მასთან სულ ორჯერ მიმუშავია. ვითამაშე სპექტაკლებში - კატა გაგარეარებულ სახურავზე“ და „სელიემის პროცესი“, ათწლიანი პაუზებით.  
„გრონოლმის მეთოდი“ ძალიან რთული სპექტაკლია და ძალიან ენერგიული. ასე რომ რომელიმე სპექტაკლზე მენერვიულა, მსახიობი არ ვიქნებოდი. ეს ლეღვა სპექტაკლის სირთულეს და თემურის მოთხოვნებს მოაქვს. სხეულის ყველა მოძრაობას თავისი მნიშვნელობა აქვს, ყველაფერი მათემატიკური სიზუსტით არის გათვლილი, იმპროვიზაციას ვერ გააკეთებ. თანაც ყველას ტექსტი უნდა იცოდეს. პარტნიორები ერთმანეთს უნდა ვერძობდეთ. ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული. ვინატრებდი, რომ მამასთან სათამაშოდ კიდევ ათი წელი ლოდინი არ დამჭირდეს. შვილის დაკავება უჭირს. ძალიან გამიკვირდა, ამ სპექტაკლში მე რომ დამაკავა. ყველაზე მეტი მე მხვდება. რასაც სხვას ვერ ეტყვის, მე მეტყვის“.



**კირილ ლავროვთან ერთად**



**დავასთან, მადეა ჩხეიძესთან და ალინა ფჩინდისთან ერთად**

**„არ არსებობს გოგონების ნასვლასთან შეგუება. ტკივილი გადის, მონატრება გატულობს. მკაფრი ტკივილი მღრღნელ ტკივილში გადადის... ის მონატრება გჭამს“**

**„ზნეობრიობა მანუხებს“**  
**თემურ ჩხეიძე:** - გულდასმით ვიმუშავებ და კმაყოფილი ვარ. მუშაობის პროცესისგან უზარმაზარი სიამოვნება მივიღე. შედეგი როგორი იქნება, ემბაკმა უნყის. ეგ არასდროს ვიცი. მაგაზე ფიქრი არ შემიძლია, ვერ გათვლი. მე ყოველთვის იმას ვაკეთებ, რაც იმნამს მანუხებს.  
**- ახლა რა განუხებთ?**  
- ზნეობრიობა მანუხებს საერთოდ. მთელი ცხოვრება ადამიანი ფიქრობ, რისი უფლება შეიძლება მისცე საკუთარ თავს. სად თავდება შენი პირადი უფლება და შენი სურვილი. რამდენად უშლის შენი სურვილი სხვას ხელს? შენი სურვილის შესრულებისთვის რამდენად გაქვს სხვისი გადათვლების უფლება? მთელი ცხოვრება უნებს ადამიანს ამაზე ფიქრი და პასუხის გაცემა. ხშირად ცხოვრება ისეთ სიტუაციაში ვადგება, მოფიქრების საშუალება არა გაქვს. ჯერ აკეთებ და მერე ფიქრობ. სად არის განსჯის დრო? ცხოვრება ამდენს არ გაძლევს. მე ვფიქრობ, ყველაზე დიდხანს ადამიანს დამეხებული შეცდომით გამოწვეული ტკი-

ილი მიჰყვება. მერე ხვდება, რომ ეს შეცდომა იყო.  
**სახელოსნო**  
თემურ ჩხეიძე თავის ორწლიან სახელოსნოს ხსნის. მომავალ რეჟისორებს, დრამატურგებსა და თეატრმცოდნეებს თვითონ ასწავლის. პირველი წელი თეორიული იქნება, მეორე წელს სპექტაკლების გამოშვებას დაიწყებენ, სადაც მსახიობების მოწვევასაც გეგმავს. სახელოსნოსთვის ლოკაცია სამეფო უბნის თეატრია.  
„თითქოს ოქტომბერში უნდა გავხსნა. თუმცა მანამდე, სანამ არ გავხსნი, მიჭირს ლაპარაკი. ამ სახელოსნოში სასწავლებლად აუცილებელი პირობაა უმაღლესი განათლება ჰქონდეთ. მინდა ოთხი სარეჟისორო კურსდამთავრებული, დრამატურგისთვის ორი ჰუმანიტარული (ფილოლოგია) კურს-

დგო... მერე ავად გავხდი და ვერ წავიდე... კირილ ლავროვმა ეს სპექტაკლი გამახსენა, რაკ ტოვსტონოვოვსაც უნდოდა, მოდი, ეს დადგო. დავდგი. ამ სპექტაკლში თამაშობდა კიდევ...“  
**- ეს ბედისწერაა?**  
- მგონია, რომ ბევრ რამეს ბედისწერა წყვეტს. ერთ მცენიერთან ნავიკითხე და ძალიან მომეწონა. თუ ყველაფერი შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, მაშინ ჩვენი ცხოვრება ფარსია და თუ ყველაფერი კანონზომიერია, მაშინ ჩვენი ცხოვრება ტრაგედიაა. კანონზომიერება მხოლოდ სიკვდილია. ბედმა გვარგუნა სასწაული, გავჩნდი, მაგრამ დანამდვილებით მარტო ის ვიცი, რომ სიკვდილი არ აგცდებდა. სხვა დანარჩენი კითხვის ნიშნის ქვეშ არის. ცხოვრება ის არის, ამ კითხვის ნიშნებს შეძლებისდაგვარად პასუხი გასცე, მიაღწიო, გააკეთო...“

# იერა მარჯანიშვილის თეატრში

ჩემი დიდ თეატრში მოხვედრაც შემთხვევითობა იყო, ალბათ. კანონზომიერება კი იმაშია - მანამდე ტოვებდით სამსახურს და მიხდებოდათ სპექტაკლის დასადგმელად. რომ გარდაიცვალა, ახსოვდათ, რომ მიხვედდა ამიტომ შემომთავაზეს სპექტაკლის დადგმა. მეც, ის პიესა დავედი, რომელსაც ის მთავაზობდა. მეც, გაისადაც დავდი და ასე გავიდა წლები... სამუშაოდ იდეალური პირობები მქონდა და მადლობის მეტი იმ ხალხის მიმართ არაფერი მეთქვის. იმ საშინელი წლების დროს - ჩვენ ორ ქვეყანას შორის საშინელი სიტუაცია რომ იყო, თანადავმა გამინიეს. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცოდვა უმადურება მგონია. ვცდილობ, ამ მხრივ, არაფერი შემეშალოს. ისე კი შეცდომა ყველას მოვდის.

**„მეტრბურგში რუსებმა თემურ ჩხეიძეს დაცვა დაუნიშნეს...“**

- სცადეს, დამანებეთ თავი-მეთქი, ვუთხარი. ქართველების მიმართ ცუდი ფაქტი მოხდა და ორი კვირა დაცვა მყავდა. საერთოდ კავკასიელების მიმართ დაიბაბა იმ დროს სიტუაცია. ქართული სახე მაქვს და უცნობებს რამე რომ არ ეკადრებინათ, თეატრიდან ზომავზე მეტად ყურადღებით იყვნენ.

**„რა გენატრებათ?“**

- გენიალური ქალაქია. მენატრება კონკრეტული თეატრი და კონკრეტული მსახიობები. რომ გითხრათ, იქ სრულიად სხვანაირად ვმუშაობდი, ვიდრე აქ-მეთქი, ტყუილია. კმაყოფილი იმით ვარ, რომ მე არ დამჭირდა შეცვლა. მსახიობები აენცივნენ ჩემზე. ამიტომაც მადლობელი ვარ. საინტერესო კი იყო, თან ძალიან.



ყოფდი. მახსოვს, რამდენჯერმე მე და დედა ძნელადს ქუჩიდან გავიპარეთ, რომ ხალხს ავრიდებოდით. ასეთი აღიარების და წარმატების გამო დედა ოჯახს არ დასცილებია. ყველაფერი ის იყო, როგორ ასწრებდა, არ ვიცი. მე არ ვიცი მასზე უკეთესი მსახიობი და კულინარი. რაღაც კერძებს იგონებდა. ყველაფერი მიყვარდა, ძალიან გემრიელს ამზადებდა.

**„სოლიდურ ასაკს დავარქმევდი“**

„მთავარია, შვილიშვილებს არ დავაგვიწყდი. სულ უფროსი 23 წლისაა, პატარა 2 წლის. მადლობის თქმა ისინაველა. რაღაც მომანოდა, მადლობა-მეთქი და გაიხარეო, მიპასუხა.“

**„როგორი ბაბუა ხართ?“**

- მე ის ვერ გამოვიდა, როგორი რეჟისორი ვარ და როგორი ბაბუა ვარ, მაგის გამგები ვარ? ვიცი, რომ უსამველოდ მიყვარს ყველა. პატარებს მშობლები მშენიშენას რომ აძლევენ, მოდიან და ჩემთან სხედებიან, ეს

დაგვიცავსო. მინდა წესიერი ადამიანები იყვნენ.

**„რამდენი წლის ბრძანდებით?“**

- მალე 70-ის გავხდები.

**„რა ასაკია?“**

- დევენერატული. სრულიად! იცით რა? ეს ის ასაკია, ხვალ რომ რამე მომივიდეს (არაფერს ვაპირებ) და უცებ გავქრე, არავინ იკითხავს, უფ, ეს რა მოსვლიაო. 70 წლისაა, მეტი რა უნდაო, იტყვიან.

**„სიბრძნის ასაკია?“**

- სიბრძნეს ვერ ვატყობ ჩემს თავს. სოლიდურ ასაკს დავარქმევდი.

**„სიბერე არ არის...“**

- სიბერის დასაწყისი ხომ არის? ყველაზე ცუდი ის არის, რომ ვერაფერს შეცვლი. ამ ბოლო დროს სულ ვფიქრობ - „კარგი და ეს სპექტაკლი ბოლოა?“ ჩემთვის ბედნიერებაა, სანამ მსახიობებს ვატყობ, რომ ჩემთან უნდათ მუშაობა. ეს რომ არ იქნება, ეტყობა სულ ბოლო ეტაპიც იქ დაიწყება და მალეც დამთავრდება.



**ეპა ჩხეიძე: „შვილის დაკავება უჭირს. კალიან გამიკვირდა, ამ სპექტაკლში მე რომ დამაკავა. ყველაზე მეტი მე მხვდება. რასაც სხვას ვერ ეტყვის, მე ეტყვის“**

**თემურ ჩხეიძე: „ვერ ვიხსენებ თანამედროვე პიესას, რომელიც ბოლო წლებში ასე მომწონებოდა. გულდასმით ვიშუშავ და კმაყოფილი ვარ. შედეგი როგორი იქნება, ეშვავა უწყის. მე ყოველთვის ვაპირებ იმას, რაც იმ წამს მანუხება“**

**EXCLUSIVE**

**„მშობელს უფრო მეტად უყვარს შვილი“**

- ბატონო თემურ, თქვენს ახალ სპექტაკლში ერთი გმირი ამბობს - შვილი მშობლის ამბავს ვერასდროს გადაიხდისო. ასე ფიქრობთ?

- რა თქმა უნდა, ვერასდროს, გამორიცხულია. მშობელს უფრო მეტად უყვარს შვილი, უფრო მეტი დრო უყვარს. შვილი რომ ჩნდება, მშობელს გააზრებული აქვს მისი სიყვარული. მე რომ ცოცხალი ვარ, ეს დედაჩემის უშუალო დამსახურებაა. ლოგიკით, კარგა ხნის წასული უნდა ვიყო. უბრალოდ, დედაჩემს არ უნდოდა და რას არ აკეთებდა, ოღონდ გადავეჩინე. ავადყოფობას რამდენჯერ გამომგლიჯა თავისი შინაგანი ძალით. მე კიდევ ვერ გადავარჩინე, ფაქტია. ვერ შევძელი, ვერც დედასთან, ვერც მამასთან. ძალიან მწყინს, მაგრამ არ მესიზმრებინან. დედა ერთხელ დამესიზმრა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ის იდგასე მგონია სიზმარშიც რაღაცას ვკითხავ ერთსაც და მეორესაც, მაგრამ არ მესიზმრებინან. მამა 1981 წელს დაიღუპა, არც ერთხელ არ დამსიზმრებია. დღე არ არის ისეთი, ის კი არა, რომ უბრალოდ, გამახსენდეს - არამედ ფიქრით არ ვეკონტაქტობ. განსაკუთრებით ღამობებით... ნებისმიერ თემზე, ყოფითი დანაშაული, „ეს როგორ მოუწონებოდათ“ დამთავრებული. რას იტყვოდა? მაშინ რომ რაღაც არ თქვა, ნეტა რას გულისხმობდა? არ არსებობს მშობლების ნასვლასთან შეგუება. ტკივილი გადის, მონატრება მატულობს... მძაფრი ტკივილი მღრღნელ ტკივილში გადადის, მეც ყრუ ტკივილში... აი, მონატრება გჭამს.

**„დედაზე ვეჭვიანობდი“**

„დედა ჩემი ოჯახის თავყრილობების მოთავე იყო. მართლა დედა იყო... თეატრიდან რომ წამოვიდა, სულ მეშინოდა ამის განცდას არ გადაყვეს-მეთქი. მეჩვენება თუ იოლად გადაიტანე, ვიდრე წარმოემდგინა-მეთქი? - ვკითხე. ამდენ ბავშვს მოვლა არ უნდაო? ერთი თვისება მქონდა, როგორ ახერხებდა, არ ვიცი. ამდენი შვილიშვილი და შვილთაშვილი ჰყავს, ყველასთან გამორჩეული, მორგებული ურთიერთობა მქონდა. ეს პატარები მასთან მიდიოდნენ და უამბობდნენ რაღაცებს.

მე მგონი მე მამაჩემს უფრო ვყავარ. ასე მიყურებენ, „მამამისი შვილი ამას არ იზამსო“. ვინც არ მიცნობს და მამაჩემს იცნობდა, აპრიორი მენდობა. კარგი გრძობაა, როცა მამის გამო გენდობიან“.

**„დედის ჩრდილქვეშ ცხოვრება არასდროს გაკომპლექსებდათ?“**

- დედაზე ვეჭვიანობდი. კვირას დღის სპექტაკლს რომ ითამაშებდა და გარეთ რომ გამოვიდოდით, უამრავი ხალხი ელოდებოდა, ბავშვებით და მე სულ ვეჭვიანობდი. დედას სხვის სიყვარულს ვერ ვუ-

**„ნანისთან არ მბეზრდება“**

- ბედნიერება, ალბათ, ის არის, რომ ვცხოვრობ ქალთან, ვისთან ერთადაც მინდა ვიცხოვრო. და არც ერთხელ არ მინანია. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო ბედნიერი ვარ. ნანისთან არ მბეზრდება, არ მწყინდება. შეიძლება ერთ სივრცეში ისიც ჩუმად იჯდეს, მეც, აქეთ ჩუმად ვიყო და მორჩა. პეტრბურგში ყოფნისას, მენატრებოდა, მაგრამ ის იმდენად ჩემშია, რომ მასთან დაშორების შეგრძნება არც ერთხელ არ მქონია. უმისოდ არაფერი გინდა, გინდა ყველაფერი მას უთხრა. ეს არის სიყვარული... მყავს შვილები, შვილიშვილები... მამობა? რა თქმა უნდა, ეს ბედნიერებაა. თუმცა ეს შეგრძნება გვიან მოდის. ბავშვი რომ გაგიღიმებს, გათავდა! თავისუფალი ხარ! ბედნიერებაა ისიც, რომ მთელი ცხოვრება იმ საქმეს ვაკეთებ, რომელიც მიყვარს. ეს არის საყვარელი საქმეც, ჰობიც და ყველაფერი.

**„სიყვარული რა არის?“**

- ყველაფერია. ამის გარეშე არსებობა არ შეიძლება. მე არ ვაკრიტიკებ ადამიანს, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ სოლემ. მაგრამ ადამიანთან, რომელსაც სიყვარულის და ოუმორის გრძობა არ აქვს, ძალიან გამიჭირდება ურთიერთობა. მედიცინაში გარკვეული მიმდინარეობა სიყვარულს დაავადებას არქმევს. მე სხვა მეხედულა მაქვს. დაავადება მაშინ, როცა არ გიყვარს. ძალიან ბევრ რამეზე პასუხი არც მე მაქვს.

**„მთავარი რა არის ცხოვრებაში?“**

- არ გამაგიჟო, თამუნა, ეგ რომ ვიცოდე, აქ ვიქნები? მართლა არ ვიცი, რა არის მთავარი. მე ავირჩიე, ვაკეთო ეს საქმე, შეძლება ისდაგვარად, რამდენადაც ქვია მეყოფა. შეგნებულად არანაირი ბოროტება არ ჩამიდგინია. ეტყობა, ყველა ადამიანმა თვითონ უნდა გადამწყვიტოს, მისთვის რა არის მთავარი.

# ნიკოლოზ რაჭველი



უცნაური დამთხვევაა, რომ ნიკოლოზ რაჭველი მალერის სიმფონიაზე მუშაობს, ან უბრალოდ, ბედისწერა... მალერის ბიოგრაფიაშიც არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - მასაც ებრძოდნენ. ეს ძალიან ჰგავს თანამედროვე ხელოვანის შემოქმედებით ბიოგრაფიას...


„მე არ შემოიძლია გულგრილი ვიყო მაშინ, როდესაც ღვთისგან ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს ებრძვიან“ - აცხადებს სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული გია ყანჭელი... მისი თქმით ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ ნიკა სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლონ... ბოლოს კი მათს დასძენს - ვილაციისთვის უნდათ ეს ადგილი... ათეული წლების წინ, გია ყანჭელის წინააღმდეგაც გაილაშქრეს საბჭოთა კომპოზიტორებმა. მის შემოქმედებით ნაკლოვანებებზე გაკეთებულმა განცხადებებმა და ხშირმა დაბეზულებებმა, მოსკოვიდან კულტურის კურატორი მოავედინა. ამას ყანჭელის საქმიანობის „შესწავლა“ მოჰყვა... მას შემდეგ ათწლეულები გავიდა და გია ყანჭელი მსოფლიოში აღიარებულ კომპოზიტორად იქცა. მომჩივანი კომპოზიტორები კი კლავ შეუმჩნეველი დარჩნენ...

ნიკოლოზ რაჭველს, რომ პრობლემები შეექმნა ეს უკვე დამალული თემა აღარ არის. ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელი ჯერ შიდა კონფლიქტს ინახავდა ჩუმად, მერე ცენტრიდან განთავისუფლებული ორკესტრანტების ღია დაპირისპირებას იგერიებდა... თვეების მანძილზე არ პასუხობდა ჟურნალისტის ზარებს, უარს ამბობდა ინტერვიუებასა და კომენტარებზე... მას შემდეგ კი, რაც კულტურის სამინისტრომ ღიად გააკეთა განცხადება, ნიკა რაჭველი „პრაიმტიმითან“ ექსკლუზიურ ინტერვიუს დათანხმდა. „პრაიმტიმითან“ ამ თემაზე კულტურის მინისტრის მოადგილემ ბადრი გრუზინსკიმაც ისაუბრა.

ნიკა რაჭველი: - მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელის პოსტი ჩემთვის არის საშუალება, რომ ჩემს ხალხს ვემსახურო. ბევრი შემოქმედებითი პროექტი განვახორციელო იმ ინსტრუმენტებით, რაც ამ ცენტრის საშუალებით მაქვს. ვგულისხმობ სიმფონიურ ორკესტრს, ჩასაბერ საკრავთა ანსამბლს, საგუნდო კაპელას და საკონცერტო დარბაზს... ორი აზრი არ არსებობს, რომ მსგავსი პირობა და მსგავსი საშუალებები ძალიან ბევრი ადამიანისთვის არის სასურველი და ექვემდებარება, რომ დღესაც არსებობენ დაინტერესებული პირები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გარკვეულ დარღვევებში ბრალი დამდონ, რის შედეგადაც ცდინობენ შექმნან საზოგადოებრივი აზრი, თითქოს მე არ ვიმსახურებ, რომ ვიყო მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელი...

- ხომ არ ფიქრობთ, რომ ასეთი აზრის დამკვიდრება თქვენს მიერ სიმფონიური ორკესტრიდან ორკესტრანტების გაშვებას უკავშირდება?

- წელს განვახორციელებთ ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა ორკესტრის შემადგენლობაში, ყოველ ამგვარ ნაბიჯს, იმას, რაც მომავალ განვითარებას ემსახურება, რა თქმა უნდა, ჰყავს თავისი მსხვერპლი. საკონკურსო მოსმენების შედეგად ხელშეკრულდება ველარ გაუგრძობელი სიმებიანი საკრავებზე შემსრულებელ მუსიკოსთა იმ ნაწილს, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ იმ კომისიის წევრების მოთხოვნებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ვყავდა მოწვეული, ეს იყო ზუბინ მეტასი, ცნობილი ისრაელის ფილარმონიული ორკესტრის და იერუსალიმის სიმფონიური სახელმწიფო ორკესტრების კონცერტმეისტრები, ნამყვანი მუსიკოსები. განაყენებულმა ორკესტრანტებმა, საჩივარი შეიტანეს კულტურის სამინისტროში, სამინისტრომ კი საჩივრის



**„საზოგადოებას შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს კულტურის მინისტრის მოადგილე დამნაშავესა და კანონდამრღვევზე საუბრობდა“**

დაკმაყოფილების მიზნით მუსიკალურ ცენტრში გარკვეული კომისია გამოიშვა, რომელსაც ჩვენი ცენტრის ფინანსური, იურიდიული და შემოქმედებითი საქმიანობა უნდა შეესწავლა. რამდენიმე დღის წინ ამ კვლევის შედეგებს გავცანით და როგორც მოსალოდნელი იყო, ფინანსურ და იურიდიულ ნაწილში, როგორც თავად კულტურის მინისტრმა თავის სატელევიზიო კომენტარში საჯაროდ განაცხადა, მცირედი ხარვეზების გარდა, არ იქნა დაფიქსირებული არც ერთი კანონდარღვევა. ამ ფაქტმა ძალიან გამახარა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ არაჩვეულებრივი გუნდი მუშაობს ჩემ გვერდით, ისინი, ვინც ცენტრს ადმინისტრაციულად და ფინანსურად მართავენ.

- მიუხედავად თქვენი სიხარულისა, კულტურის სამინისტრო ევგენი მიქელაძის ცენტრში მაინც აგზავნის ოთხკაციან საბჭოს თქვენს გასაკონტროლებლად...

- ამ დასკვნაში არის კიდევ ეგრეთ ნოდებული შემოქმედებითი ნაწილი, რომლის გაცნობამ მეც და სიმფონიური ორკესტრიც ძალზე აღგვაშფოთა. რადგან წლების მანძილზე ჩვენი ორკესტრის, კაპელისა და სიმებიანი კვარტეტის მიერ შესრულებული აკადემიური კლასიკური კონცერტების რაოდენობა 5-6-ჯერ აღემატება ანალოგიური ფუნქციის მქონე სხვა შემოქმედებითი ორგანიზაციების სამემსრულებლო კალენდარს. რაც ცხადყოფს, რომ ჩვენ სრულყოფილად ვასრულებდით ჩვენს უმთავრეს მისიას, ხოლო ხსენებულ დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ორკესტრის მონაწილეობაზე იმ მუსიკალურ პროექტებში, რომელიც ტელევიზიით შესაძლოა, უფრო ხშირად შექმნილია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დასკვნის ავტორები ან არ ეხსენებოდნენ ჩვენს მიწოდებულ ფაქტობრივ მასალას, ან მრჩება შთაბეჭდილება, რომ სპეციალურად გააკეთეს ამ ინფორმაციის იგნორირება! მართალი გითხრათ, არ ვიცი რატომ და რის გამო მოიქცნენ ისინი ამგვარად! ამ დასკვნის გაცნობისას თუ რეალობა არ იყო, შთაბეჭდილება გრჩება, რომ ჩემ შემთხვევაში საქმე არაპროფესიონალ მუსიკოსთან გაქვს, რომელმაც მუსიკის განვითარებისთვის მთელი მისი მოღვაწეობის განმავლობაში უფრო მეტიც, ამ დასკვნის მიხედვით მე თითქოს დავლუპე, ხელი შევუძლავ და დავანგრე მუსიკალური ცენტრი და ქართული პროფესიული მუსიკის განვითარება საქართველოში. იქ წერია, რომ მხოლოდ გასართობი შოუ-პროგრამებია ჩემთვის ახლობელი და არაფერი სხვა. როგორც ჩანს, კულტურის მინისტრმა გაითვალისწინა აღნიშნული არაობიექტური დასკვნის შედეგები და არა მსოფლიოში სახელგანთქმული ისეთი მუსიკოსების მოსაზრებები, როგორცაა გია ყანჭელი, პაატა ბურჭულაძე, სოსო ბარდანაშვილი, ლექსო თორაძე, ანტონ რაჭველიძე და სხვები... ამის გამო სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საჭიროა ოთხკაციანი საბჭო, რომელმაც უნდა გააკონტროლოს ჩემი, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელის შემოქმედებითი მუშაობა.

- რამდენად გიღირდათ ორკესტრანტების გაშვება ამ ნერვიულობად?

- დეკემბერში მთელი სიმფონიური ორკესტრის ხელშეკრულების ვადა შეუწყდა და მე, როგორც ხელმძღვანელმა, იმ საკონკურსო მოსმენებისა და აგრეთვე, მათთან ჩემი მრავალწლიანი თანამშრომლობის გათვალისწინებით მივიღე გადაწყვეტილება, თუ ვინ უნდა დარჩენილიყო ორკესტრის ძირითად შემადგენლობაში. ჩემთვის ეს ადამიანურად ძალიან მძიმე გადასაწყვეტი იყო, რადგან თითოეულ მათგანთან წლების ურთიერთობა მაკავშირებდა. მაგრამ აუცილებლად ჩავთვალე ორკესტრში ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსების მოყვანა, რამაც მნიშვნელოვნად ამაღლა ორკესტრის სამემსრულებლო დონე. ჩვენ დღეს ვუკრავთ ისეთ ნაწარმოებებს, როგორც თუნდაც მალერის პირველი სიმფონია. შემოიძლია თამამად გითხრათ, რომ ასეთი ურთულესი ნაწარმოების შესრულებაზე აქამდე მხოლოდ ოცნება შეგველო. რეფორმის შემდეგ ორკესტრს და კაპელას მართავს არა მარტო მუსიკალური ცენტრის მენეჯმენტი, არამედ ორკესტრისა და კაპელის მიერ არჩეული ათკაციანი ბორდი, რაც ცენტრის ფილარმონიული ორკესტრისა და გუნდის მოდელის მაგალითზე ჩამოყვანილია. ჩვენ გვყავდა არაჩვეულებრივი კონსულტანტები უცხოეთიდან, არა მარტო ისრაელის ფილარმონიული ორკესტრიდან, არამედ, ვენის და ბერლინის, ფილარმონიული და ბავარიის რადიო ორკესტრებიდან. საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით და დღემდე ვაგრძელებთ.

- სამხატვრო საბჭოს იდეა ძალიან მომწონს, ოღონდ იმ შემადგენლობით, ვისაც წარადგინეს ჩვენი ორკესტრი და კაპელა. დანარჩენ მუსიკალურ ცენტრებსა თუ თეატრებში სამხატვრო საბჭოს სწორედ არჩევითა და არა სამინისტროდან დანიშნვადი. სამინისტრომ საგანგებო ცვლილებაც კი შეიტანა ჩვენი ცენტრის მოქმედებაზე, რაც სრულიად არ ემთხვევა თუნდაც პარლამენტის მიერ ახლახან მიღებულ თეატრის კანონს, სადაც მსგავსი ტიპის სამხატვრო საბჭოები კოლექტივების მიერ უნდა აირჩეს და სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდეს.

- ნიკა, იმასაც ამბობენ, როდესაც რაჭველი წინა ხელისუფლების დროს მოღვაწეობდა, მაშინ მივიწყებული ჰყავდა მეგობრები, იგივე ნატო მეტონიძე, ლიზა ზაგრატიონი და სხვები, მაგრამ იგივე მეგობრებმა ახლა ის არ მიატოვეს...

- რაც არ უნდა მდომოდა ჩემი მეგობრის, ნატო მეტონიძის მივიწყება, ამის საშუალება არააჩიარად არ მომეცემოდა, თუნდაც ერთი მარტივი მიზეზის გამო, მუსიკალურ ცენტრში, იმ ოთახში, სადაც მე მთელი ეს წლები ვმუშაობ, სწორედ ამ ოთახის გვერდით ოთახში მოღვაწეობს ნატო. შესაბამისად, ყოველ დღით ვხვდებოდი ერთმანეთს მაშინაც და დღესაც. ნატოც და ლიზაც მუსიკალურ ცენტრში არიან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები. იმ წლებში, როდესაც ისინი მთავრობასთან

**ბადრი გრუზინსკი: „ვინ უზლის ხელს?! პირიქით, კულტურის სამინისტრო მას ხელს უწყობს და ეხმარება“**

- შენობაზე აფიშებს გადავალე თვალი და ვნახე, რომ უამრავი კონცერტი გაქვთ დაგეგმილი...

- 14 და 15-ში გვაქვს კონცერტები, სადაც მალერს და სტრავენსკის ვუკრავთ, ხოლო რაველის საფორტეპიანო კონცერტს ჩვენთან ერთად ალექსანდრე თორაძე ასრულებს, ამის შემდეგ გია ყანჭელის პრემიერას ვუკრავთ, საქართველოში პირველად სრულდება მსოფლიოში განთქმული მისი ერთ-ერთი ნაწარმოები, რომლის სოლისტები, სწორედ ამ რეფორმის შედეგად, ჩვენს ცენტრში მოსული ახალგაზრდა მუსიკოსები არიან. იქნება შნიტკეს ნაწარმოების პრემიერა, რომელსაც ასევე ალექსანდრე თორაძე შესასრულებს, დავუკრავთ სტიქსს იმ ადამიანებისთვის, ვისაც ძალიან უყვარს ყანჭელის ეს უკვედვი ქმნილება. ამას მოჰყვება ჩაიკოვსკის საფორტეპიანო კონცერტი, რომელსაც ჩვენი თანამემამულე, ქართველი მუსიკოსი, ეკა შამანაური დაუკრავს. შემდეგ მარიამ როინიშვილი იმღერებს საოპერო არიებს... ასევე, უცხოეთში მოღვაწე ცნობილი მეცო-სოპრანოსთან ანიტა რაჭველიშვილთან ერთად მთელ საქართველოში დაგეგმილი გვაქვს ეროვნული ტურნე; ჩავატარებთ რამდენიმე რეგიონალურ კონცერტსაც, მათ შორის სურვილი გვაქვს რაჭაში მივცეთ კონცერტი ლექსო თორაძესთან ერთად. შემოდგომიდან კი ვინცებთ დიდ საგანმანათლებლო პროექტს, სადაც მთელი საქართველოდან ჩავრთავთ დაახლოებით 150 000 მოზარდს, სკოლის მოსწავლეს... დარწმუნებული ვარ, კულტურისა და განათლების სამინისტროები მხარში დაგვიდგებიან. უბრალოდ, ამ ეტაპზე შემოიძლია ვთქვა, რომ კულტურის მინისტრის მოადგილესთან ბადრი გრუზინსკისთან თანამშრომლობა პირადად მე ამის შემდეგ ძალიან გამიჭირდება. რადგან მისი სატელევიზიო კომენტარი, რომელიც 7 ივნისს მივიხიინე, ჩემთვის შეურაცხყოფელი და სრულიად მოულოდნელი იყო. მაშინ, როდესაც კულტურის სამინისტრომ უკვე გაასაჯაროვა და გაგვაცნო ფინანსური-იურიდიული დასკვნის შედეგები, რომელსაც კულტურის მინისტრმა მხოლოდ უმნიშვნელო ხარვეზების შეფასება მისცა და სრულიად გამორიცხა ჩემი, როგორც მმართველის რაიმე ტიპის პასუხისმგებლობის დადგომის საკითხი, მისმა მოადგილემ ამავე დასკვნის საფუძველზე განაცხადა, რომ საქმეს გადასცემს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს, და სწორედ მათი რეაგირების შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელად ჩემი დარჩენის შესახებ. საზოგადოებას შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ის დამნაშავესა და კანონდამრღვევზე საუბრობდა. მე მგონი, რბილად რომ ვთქვათ, ძალზე უცნაურია, როცა ერთსა და იმავე დღეს მინისტრი და მისი მოადგილე ასეთ განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებენ.

- სამომავლოდ მუშაობას ამ ახალ სამხატვრო საბჭოსთან ერთად გააგრძელებთ?

- სამხატვრო საბჭოს იდეა ძალიან მომწონს, ოღონდ იმ შემადგენლობით, ვისაც წარადგინეს ჩვენი ორკესტრი და კაპელა. დანარჩენ მუსიკალურ ცენტრებსა თუ თეატრებში სამხატვრო საბჭოს სწორედ არჩევითა და არა სამინისტროდან დანიშნვადი. სამინისტრომ საგანგებო ცვლილებაც კი შეიტანა ჩვენი ცენტრის მოქმედებაზე, რაც სრულიად არ ემთხვევა თუნდაც პარლამენტის მიერ ახლახან მიღებულ თეატრის კანონს, სადაც მსგავსი ტიპის სამხატვრო საბჭოები კოლექტივების მიერ უნდა აირჩეს და სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდეს.

- ნიკა, იმასაც ამბობენ, როდესაც რაჭველი წინა ხელისუფლების დროს მოღვაწეობდა, მაშინ მივიწყებული ჰყავდა მეგობრები, იგივე ნატო მეტონიძე, ლიზა ზაგრატიონი და სხვები, მაგრამ იგივე მეგობრებმა ახლა ის არ მიატოვეს...

- რაც არ უნდა მდომოდა ჩემი მეგობრის, ნატო მეტონიძის მივიწყება, ამის საშუალება არააჩიარად არ მომეცემოდა, თუნდაც ერთი მარტივი მიზეზის გამო, მუსიკალურ ცენტრში, იმ ოთახში, სადაც მე მთელი ეს წლები ვმუშაობ, სწორედ ამ ოთახის გვერდით ოთახში მოღვაწეობს ნატო. შესაბამისად, ყოველ დღით ვხვდებოდი ერთმანეთს მაშინაც და დღესაც. ნატოც და ლიზაც მუსიკალურ ცენტრში არიან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები. იმ წლებში, როდესაც ისინი მთავრობასთან

დაპირისპირებულები იყვნენ, ერთად განვახორციელებთ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი. ერთ-ერთი, „მუსიკის ჰანგები“, დავით დოიაშვილთან ერთად, მრავალი კონცერტი პაატა ბურჭულაძეს უკავშირდება... „იან-ანას“ ყველა პროექტში მე მეძლეოდა საშუალება, მათთან ერთად ვმდგარიყავი სცენაზე. საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც!


- რაც შეეხება თქვენს ხშირ მონაწილეობას „სამთავრობო“ ღონისძიებებში, ამ ფაქტმა ხომ არ გამოიწვევს თქვენს მიმართ გაღიზიანებას?

- მე, მოგეხსენებათ, სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრსა და სახელმწიფო კაპელას ვხელმძღვანელობდი; სახელმწიფო არის დამკვეთი და მათ მიერ ნებისმიერ სამთავრობო ღონისძიებაში მონაწილეობა იყო ჩვენი ვალდებულება. ვთვლი, რომ ამ წლებში მე ჩემი ხალხისთვის ვეძინიდი ყველა ამ კონცერტს და ერთგულად ვემსახურებოდი მათ. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მეგობრები დღეს ჩემ გვერდით არიან, ამავე დროს ასევე გვერდით მყავს სოფო ნიჟარაძე და ის ადამიანები, ვინც შემოქმედებით თვალსაზრისით იმ დროს წინა ხაზზე იყვნენ, ამიტომ მე ვთხოვ ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილს, ვისაც უყვარს ასეთი გამიჯვნები, ეს იარაღი არ მოგვაკურონ, ჩვენ ამას არ ვიმსახურებთ, არც ერთი წუთით მე არ მიმიტოვებია ჩემი მეგობრები და არც ერთი წუთით არ მიმატოვებენ ისინი მე...

## „არც ერთი წუთით მე შემოქმედებთ არ მიმიტოვებია ჩემი მეგობრები და არც ერთი წუთით არ მიმატოვებენ ისინი“

**ბია ყანჩელი: „ჩემი ღრმა რწმენით, ის მუსიკოსად დაიბადა და გახდა მუსიკოსი“**

# exclusive



**სტატუსი „ფეისბუქდან“:**  
**ანიტა რაჭველიშვილი:** - ნიკა გენიოსია, საოცარი მოსიკოსია, გენიალური კომპოზიტორია და არაჩვეულებრივი დირიჟორი! და ვინც ამას ვერ ხვდება, უბრალოდ, ღვარძლი, შური, განათლების უქონლობა და სიძულვილი ალაპარაკებს!

**ვალერიან შიუკაშვილი:** - საერთოდ, როგორ არ გრცხვენიათ ნიკას ნიჭზე საუბარი?! რამ გაგაბოროტათ ასე?! ცოტა გონზე მოდით... ასე რამ დაგაბრძავათ, ან რა შური გჭამთ! გიხაროდეთ, რომ ნიკა საქართველოში მოღვაწეობს და შეირგეთ... თუ რამეში არ ეთანხმებით, შეიკავეთ თავი. ნიკას გენიალურობა სწორედ იმაშია, რომ მას შეუძლია მუსიკის ნებისმიერი ჟანრი, დარგი, ინსტრუმენტი მორგოს და შეასრულოს ისე, რომ მსმენელმა ბევრი დღე იფიქროს მის შესრულებაზე (რასაკვირველია, გააჩნია მსმენელს), ხოლო ის, რომ დღეს საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის მენობა, რომელიც პრაქტიკულად ერის სახეა, ასეთ სავალალო მდგომარეობაშია, ეს არის დიდი სირცხვილი და როგორ ბედავთ ნიკას გენიალურობაზე საუბარს?!

**გიორგი ცაგარელი:** - რეორგანიზაცია და რეფორმები აუცილებელი იყო ამ ორკესტრისთვის, თუმცა ხედავთ, ამან როგორი მღელვარება გამოიწვია... სამაგიეროდ გაიზარდა ორკესტრის ხარისხი, მსოფლიო დონის მუსიკოსები ჩამოვიდნენ და გაცილებლები და აღფრთოვანებულები რჩებიან. მე, როგორც უცხოეთში მოღვაწე მუსიკოსი და ამ ორკესტრის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ვაცხადებ, თუ მიზანმიმართულად იქნება ორკესტრისა და ნიკას წინააღმდეგ რაღაც ნაბიჯები განხორციელებული, სხვა ქართველ და იმ უცხოელ მუსიკოსებთან ერთად, რომლებიც მუსიკალურ ცენტრთან თანამშრო-

მლობენ, მივმართავთ იმ საერთაშორისო მუსიკალურ ორგანიზაციებსა და საზოგადოებებს, ყველას გავაგებინებთ, რომ ასეთი რაღაც ხდება 21-ე საუკუნეში და ფაქტობრივად, რაღაც ცენზურის ქვეშ უნდათ მოაქციონ და საბჭოური მეთოდებით აკონტროლონ რეპერტუარს.

**კომენტარისთვის კულტურის სამინისტროს დაუკავშირდით.**

- ბატონო ბადრი, რატომ გახდა საჭირო ნიკოლოზ რაჭველის შემოქმედებითი კონტროლი?

- თქვენ ხომ იცით საიდანაც დაიწყო ყველაფერი, შემოვიდა საჩივარი, კულტურის სამინისტრო ვალდებულია ამ საჩივრის საფუძველზე რეაგირება მოახდინოს. მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ.

- გაჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ მის ადგილზე სხვას აშაადებენ?

- მე ნამდვილად ვიცი, რომ არავინ არ მოიაზრება მის ადგილას. სწორედ ამიტომ შეიქმნა ოთხკაციანი სამხატვრო საბჭო, რომ მეხუთე კაცად უნდა ყოფილიყო სამხატვრო ხელმძღვანელი

და მოიაზრება დღემდე ნიკა მემანიშვილი. არ არის იმაზე ლაპარაკი, რომ ნიკა მემანიშვილი უნდა მოიხსნას გათავისუფლდეს და ა.შ. ფინანსური განყოფილება და იურიდიული მხარე მე არ შეეხება.

- ნიკოლოზ რაჭველს შემოქმედებით მხარეში ჰქონდა დარღვევა?

- დარღვევას ვერ დარქმევ ამას, უბრალოდ, კარგი იქნება თუ გადაიხედება ის პროგრამა და ის სამუშაო გეგმა, რითიც მუშაობდნენ, უნდა დაიგეგმოს. ამისთვის არის სამხატვრო საბჭო, რომ დაეხმარონ ნიკას, გვერდით დაუდგნენ და ამ ეტაპზე ერთად იმუშაონ, ამაში ცუდს მე ვერაფერს ვხედავ. ეს საბჭოც შექმნილია დროებით, წლის ბოლომდე...

- თქვენ თქვით, რომ საჩივრის გამო გადაწყვიტეთ შემონება, შემონება-ის შედეგად დაინიშნა საბჭო, მაგრამ არის ბევრი ცნობილი მომღერლის მოსაზრება, რომლებიც განცხადებებს ნიკოლოზ რაჭველთან დაკავშირებით აკეთებენ, ამ ცნობილი და მსოფლიო დონის მუსიკოსების შეფასებას თუ გაუწია ანგარიში?

- მე გეტყვით, არანაკლები ცნობილი მუსიკოსები და მუსიკათმცოდნეები

არიან მუსიკალურ ბორდში, რომელიც არსებობს კულტურის სამინისტროში. იქ არის მანანა ახმეტელი, ნიკა ოძელი, კახა ცაბაძე, ნანა ლორია და ა.შ... თქვენ თვლით, რომ იმ ხალხს ანგარიში არ უნდა გაეწიოთ?

- ისინი უკმაყოფილონი იყვნენ ნიკოლოზის მუშაობით?

- დასკვნა დაიდება ბორდთან შეთანხმებით, მუსიკოსების გამოკითხვით, რა თქმა უნდა, იმათაც ვუწვევთ ანგარიშს და იმათაც. მანანა ახმეტელსაც შეიძლება თავისი აზრი ჰქონდეს... ის, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც არის ცნობილი... საოცარი მუსიკათმცოდნეა... ჩვენ გადაწყვეტილება ვერ არ მიგვიღია, არ ვიცი, რატომ ატეხეს ეს პანიკა. მე გეუბნებით, რომ მისი განთავისუფლების საკითხი არ დგას. ვერ უნდა შევაჯეროთ ეს ყველაფერი და მეორე დავდებთ დასკვნას... შემონების მასალები გვაქვს, შევჯერდება ეს ყველაფერი და ვნახოთ. იქამდე კი უნდა იმუშაოს ნიკამ იქ, სადაც მუშაობს. ვინ უშლის ხელს?! პირიქით, კულტურის სამინისტრო მას ხელს უწყობს და ეს-



ვალერი შიუკაშვილი

მარება. ის ფესტივალი, რომელიც ჩატარდა და რომელიც ხუთი წელი ტარდებოდა ისე, რომ კულტურის სამინისტროს კაპიკი არ გაუღია, წელს ჩვენ დავუფინანსეთ. გვერდში ვუდგავართ და ძალიან გვინდა, რომ კარგი და მაღალი დონის სიმფონიური ორკესტრი გვყავდეს. ნიკა იქნება თუ ვინ იქნება, მაგას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.




ანიტა რაჭველიშვილი




ვალერიან შიუკაშვილი



გიორგი ცაგარელი



ბია ყანჩელი



**ლევან მასკინძელაშვილი - უცხოელი შემსრულებლების იმიტაციით დაყენებული ხმით**





„უბრალოდ, გული მწყდება, რომ ამ ქვეყანაში ადამიანები ხშირად ძალიან ღირებულს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ და რაღაც მეორადს, არარაობას, უფრო წინა პლანზე აყენებენ“

# ნიკოლოზ რაჭველი დუმილს არღვევს

## EXCLUSIVE

**EXCLUSIVE**

**ბაჩა მკინარაშვილი აღიარებულ ჯაზმანებთან ერთად**



# თეიმურ ჩხეიძე დაბრუნდა - პრემიერა მარჯანიშვილის თეატრში